

# სამართლებრივი მოწყვეტილე



2024 წლი, №1. მოწყვეტილე მართლის სახელმწიფო სალიკინგურო უკანასკნელი

ნო. მართლებრივი სამსახური

ნო. მოწყვეტილე მართლის სალიკინგურო

— სიმართლე მართლის შასახელი

ნო. გასილი დიდი

— მართლისათვის



მ ა ქ ა მ ე ნ ე ბ ა დ ა გ ა პ ა





# საქართველოს

## კონსტი

ფიდა ილია მართლის სახელობის  
სალიტერატურო ჟურნალი

გამოცემა 1996 წლიდან

2024



ღმილა ილია მართალო,  
ევალენა ღმერთსა ჩვენოვის!

## საქართველოს

## კულტური

ფილა იღია მართლის (ჭავჭავაძის)  
სახელობის სალიტერატურო ჟურნალი

გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა“. ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა ძიპსცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი ძიპსცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი – ყველა მოყვასია ჩვენი... თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი.

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად,  
გული მიპსცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“



## შინაარსი

მრავალი ..... 5

## ფა. იღია მართალი

საპირაო ქადაგება (ტფილისი, 4 იანვარი, 1896 წ.) ..... 6

## პატრიარქი

საპირაო ქადაგება (2004 წლის 21 მარტი) ..... 7

## ფილა მამათა სიავლანი

ფა. იოანე ოძროვილი სიტყვა მარზების შესახებ ..... 9

ფა. ბასილი ლილი მარზებისათვის ..... 11

## იუბილარი

## გიორგი ლეონიძე – 125

ნოდარ შამანაძე – ის დღეები შენ წაიღე გოგლა ..... 15

გიორგი (გოგი) ქავთარაძე (გიორგი ლეონიძის შვილიშვილი) მოგონებები ..... 20

იოსებ იმედაშვილის ნაამბობი ..... 23

სერგო კლდიაშვილის ნაამბობი ..... 24

ელგუჯა ლებანიძე გიორგი ლეონიძის ორი წერილი ..... 25

|  |    |
|--|----|
| კვეთავა  | 27 |
| გიორგი ცორგუაშვილი სადღეგრძელო და ლექსი ერთია      | 29 |
| ვალერიან გოგოლაშვილი „მშობელ მიწაში მეღას ფესვები“ | 30 |
| ლადო მრელაშვილი „მიკლინება“                        | 33 |
| ოთარ ცუციშვილი ქართული სიტყვის ფალავანი            | 36 |
| უშავებ სახლოებციშვილი გიორგი ლეონიძე ლატვიურად     | 38 |
| <br>„ერთხელ საქართველოში“... (რაზიონგადაცემა)      | 40 |
| <br>ირიე ჯაშიაშვილი „ქვეყნას ოთხი რამ აკლია...“    | 45 |
| ლევან გოთუა „ლექსად მოსული ქართული მიწა“           | 50 |
| <b>რედაქტორის გვერდი</b>                           |    |
| დეპარტი ილია ჩიკვაიძე „გიორგი ლეონიძე“             | 53 |
| <br><b>ზოგად გამსახურებია — 85</b>                 | 54 |
| <b>მერაბ ქოსტივა — 85</b>                          | 55 |
| <b>ლიტერატურული ცობათი</b>                         |    |
| <b>პროზა</b>                                       |    |
| გიორგი ლეონიძე                                     |    |
| ჩორეზი   | 56 |

---



---

რედაქტორ-გამომცემელი: დეპარტი ილია (ჩიკვაიძე)

აასუსტესმგებელი რედაქტორი: გრიგოლ (გოჩა) სოჭიაშვილი

შემდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის სალიტერატურო ჟურნალი  
„საქართველოს მოამბე“

---

აკრედიტებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ

# გ ლ ი ა ბ ს ი



მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და  
ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა;

და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან  
შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშ-  
მარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა,  
რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა  
ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწუ-  
ლისა, და განკაცნა.

და ჯუარს ეცვა ჩუენთვის პონტოელისა პილატეს-ზე და ივნო, და დაეფლა.

და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა.

და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და კუალად მომავალ-არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა,  
რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან  
გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების,  
რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.


ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა.

მოველი აღდგომასა მკუდრეთით.

და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა, ამინ.

## ცმინდა ილია მართალი



### შინაური მიმოხილვა



„ცხოვრება ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, უფრო წეწვა-გლეჯის ბაზარია. დღეს ესეა მოწყობილი და რას იზამ?

ცხოვრება მარტო აღებ-მიცემობაა ერთმანეთის ჭკუისა, თუ ხელის ნაწვავ-ნადაგისა, ნაამაგარ-ნაშრომისა, ნაომარ-ნარბევისა. იგი ის მოედანია, საცა ჭიანჭველასავით ირევა დიდი და პატარა, საცა მაძღარი მშიერს წვრილად უფრენის, გამარჯვებული დამარცხებულს ფეხ-ქეშა სთელავს, ძლიერი უძლურს ეტანება შესაჭმელად, უძლური ძლიერს გაურბის და ორნივ-კი – დამწევიც და გამქცევიც – ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ღმერთს ეხვეწებიან – ხელი მომიმართეო.


ჯოჯოხეთი იქნებოდა ეს ასეთი ცხოვრება, რომელსაც სხვა მიზანი არსებობისა არა აქვს, თუ არ ის, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს, სიამოვნებას, ლხენას და სიხარულს არ იყოს მოკლებული, გამბობთ, ჯოჯოხეთი იქნებოდა, რომ ამ წეწვა-გლეჯის ბაზარში სხივფენილ მადლისაც არ გაჰქონდეს თავისი პატიოსანი

ნაამაგარი, თავისი ნაშრომ-ნაღვაწი კაცთა სანუგეშოდ და სასიქადულოდ. დიდ-ბუნებოვანობა ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, მისმიერ გატანილ მადლის მეტ-ნაკლებობაშია. ეგ მეტ-ნაკლებობა მადლისა არის უტყუარი საწყაო ცალკე ადამიანის, თუ მთელის ერის, კაცურ-კაცობისა, მისის შინაგან სიმაგრისა, ქვაპუთხედი მისის აღმატებულობისა. მადლი არის კრებული იმა კეთილთა, რომელიც შეადგენს ზნეობურს განძს, როგორც თვითოულ ადამიანისას, ისეც მთელის ერისას, და ეგ განძია იგი კლდე, რომელზედაც შენდება ციხე-სიმაგრე ერის ცხოვრებისა, ერის აწმყოსი, ერის მერმისისა.

ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო „პურითა ერთითა ცოცხალ არს“. მართალია, მშიერი დიდი მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტის ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისა. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთი რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს – სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, – გვამი ერისა მკვდარია, გოთარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა სჩივის და ჰლალადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისათვის. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩერილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი.

„ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“ – აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, – ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, – აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა.“

ტფილისი, 4 იანვარი, 1896 წ.



## უნიტარიული და უნიფიკირების, სხერიაღ საქათველოს კათოლიკოს-პატრიარქის

მცხოვრიშობის მთავარეპისკოპოსის,  
ბიჭვინთისა და ცხემ-აფხაზეთის მიუწოდების  
იღია II - ის

### საკუთხაო ქადაგება

სიონის საკათედრო ტაძარი, 21 მარტი, 2004 წ.

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

„უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი არ შეიძლება სულ ერთ სულიერ მდგომარეობაში  
იყოს: იგი ან ეცემა, ანდა სულიერ კიბეზე მაღლა მიიწევს“.

უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: „მე ვარ გზა, ჟეშმარიტება და სიცოცხლე.“ სწორედ ეს გზა უნდა განვლოს თითოეულმა ადამიანმა, რომელიც მოდის ამსოფლად ღვთის განგებით. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ „არა არს

კაცი, რომელი ცხონდეს და არა სცოდოს.“ ამიტომაც ესაა გზა სინაულისა და სულიერი განწმენდისა.

შემთხვევითი არ არის, რომ დღეს მთელი მართლმადიდებელი მსოფლიო ზეიმობს წმიდა იოანე კლემაქსის (კიბისაღმწერელის) ხსენებას. იოანე კლემაქსი ნათლად წარმოაჩენს იმ სულიერ კიბეს, რომელითაც უნდა აღვიდეს

ადამიანი მიწიდან ზეცად. ეს პროცესი ძალიან ძნელია. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი არ შეიძლება, სულ ერთ სულიერ მდგომარეობაში იყოს: იგი ან ეცემა, ანდა სულიერ კიბეზე მაღლა მიიწევს. ღვთის ღიდი წყალობით და მისი საიდუმლო განგებით ჩვენ ვართ წევრნი ეკლესისა და, ამდენად, მოწოდებულნი ვართ ზეაღსლისთვის.

თითოეულ ჩვენთაგანს მრავალი განსაცდელი აქვს დასაძლევი და შეუძლებელია, იგი პრობლემების გარეშე განვკლოთ. ერთი მეცნიერი ამბობს: ქვეყანა შუაზე გაიპო და ბზარმა ჩემს გულზე გაიარაო. თითოეული ჩვენთაგანის გული უნდა გამთლიანდეს და მასში სიკეთემ უნდა სძლიოს ბოროტებას. ცოდვა ოდითგანვე არსებობდა, ჯერ კაენისა და აბელის დროიდან, მაგრამ მაშინ ცოდვას ცოდვა ერქვა. მას გრძნობდა და ზედავდა ყოველი ადამიანი და ცდილობდნენ მისგან განთავისუფლებას.

ძველი აღთქმის რჯულის თანახმად, ის-რაელში განტევების ვაცს ხელს დაადებდნენ და შემდეგ უშვებდნენ უდაბნოში. მიჩნეული იყო, რომ მასზე გადავიდოდა ცოდვები და ადამიანი ამით იწმინდებოდა.

წარმართებსაც პქნდათ თავიანთი წესი. ისინი გადიოდნენ ზღვასთან და ცოდვებს წყლის ტალღების წინაშე აღიარებდნენ და ფიქრობდენენ, რომ მათ ცოდვებს ტალღები წაიღებდა და სულიერად განიწმიდებოდნენ.

ეკლესიაში ცოდვების მისატევებლად და სულიერი განწმედისათვის დაწესებულია აღსარება და წმიდა ზიარება. ეს საიდუმლო თვით უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ დაადგინა და პირველად თვითონ აზიარა თავისი მოწაფეები დიდ ხუთშაბათს.

შევთხოვთ ღმერთს, მოგვანიჭოს ძალა და მაღლი სულისა წმიდისა, „უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი“, ის სულიერი ძალა, რომელიც „ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს მაღლითა“ თვისითა. სულიწმიდა მოვიდეს ჩვენ ზედა და ძალი მაღლისა გვფარვიდეს ჩვენ!

ამ ღიდებულ დღეს ჩვენ გულითადად მივესალმებით მის აღმატებულებას, საბერძნეთის ელჩს და საელჩოს თანამშრომლებს და ვულოცავ მათ დამოუკიდებლობის დღე-სასწაულს. მინდა ვთქვა, რომ ურთიერთობა საბერძნეთსა და საქართველოს შორის ჯერ კიდევ ძველი აღთქმის პერიოდიდან იწყება. ჩვენ გვქონდა და გვაქვს ამ ქვეყანასთან სულიერი და კულტურული ურთიერთობა და იგი არასდროს შეწყდება.

შარშან, როგორც გახსოვთ, ჩვენთან ბრძანდებოდა მისი უნეტარესობა, ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსი ქრისტოდულოსი, რომელმაც უდიდესი სიწმინდე ჩამოაბრძანა – თავის ქალა წმიდა ანდრა პირველწოდებულისა. თქვენ გახსოვთ, რომ დღე და ღამე ქართველი ხალხი მიდიოდა ამ სიწმინდის თაყვანსაცემად. წელს მზადდება ჩვენი საპასუხო ვიზიტი საბერძნეთში. ჩვენ გვექნება საშუალება, მივეახლოთ საბერძნეთის სიწმინდეებს, ასევე გვექნება საშუალება მოვილოცოთ ათონის მთაც.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის, ჩვენი სამღვდელოებისა და ერის სახელით მოგვესალმებით, თქვენი აღმატებულებავ, ქალბატონო ელჩო და გილოცავთ ამ ღიდ, ეროვნულ დღესასწაულს. ღმერთმა დალოცოს და აკურთხოს თქვენი ქვეყანა, თქვენი ეკლესია და ჩვენი მეგობრობა. ნიშნად ჩვენი პატივისცემისა და სულიერი სიყვარულისა, გადმოგცემთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს. იგი იყოს ჩვენი ქვეწებისა და ეკლესიების მფარველი!


ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა დალოცოს საქართველო და ელადა! ღმერთმა მოგვცეს მშვიდობა და ბედნიერი და მშვიდობიანი აღღომა გაგვითხოს!

კიდევ ერთეულ ვულოცავ საბერძნეთს დამოუკიდებლობის დღესასწაულს. მშვიდობა, სიხარული და წინსვლა სუფევდეს თქვენს ქვეყანაში.

ჩვენთან არს ღმერთი!



## მიმდინარე გამათა სცავლანი



### მიმდინარე მიმდინარე

**ტროპარი:** პირისა შენისა მადლი, ვითარცა ოქრო გამობრნყინდა, და სოფელი განანათლა უპოვარებისა საუნჯენი სოფელსა შინა განამრავლნა, და სიმაღლე სიმდაბლისა გვიჩუენა ჩუენ: არამედ ვითარცა იგი სიტყვითა შენითა განმჰსნავლენ ჩუენ, ეგრეთვე სიტყვასა ქრისტე ღმერთსა ევედრე მამაო ოქრო-პირო შენყალებად სულთა ჩუენთათვის.

**კონდაკი:** ზეცით მოილე საღმრთო მადლი, და ბაგითა შენითა ყოველთა ასწავე თაყვანის-ცემა სამებისა მხოლოდისა ღმრთისა, იოანე ოქროპირო, ყოვლად-სანატრელო, ღირსო, ღირსად გაქებთ შენ, რამეთუ ხარ მოძღვარი, ვითარცა საღმრთოდ გამოჩინებული.

### მიმდინარე მიმდინარე

### სიტყვა მარხვის შესახებ

ისევ გვიხმობს წმიდა მარხვა და კვლავ გვთავაზობს მადლს.

კვლავ მოგვიწოდებს, რომ შევუერთდეთ მოსაგრეებს. ისევ სურს, რომ გავხდეთ მამაცნი, ვნებათა დამთრგუნველნი, უმეტესნი სულიერებით განვბრწყინდეთ და ჩვენი შრომის საზღაურად გვირგვინით შევიმქოთ თავი.

მართლაც და, რა არის მარხვა, თუ არა გვირგვინი გმირობისა, საფუძველი ჯილდოსი და გზა ცხოვნებისა? მარხვით ვიხსნებით მონობისაგან და თავისუფლებას ვიხვეჭთ, მამულს უუბრუნდებით უცხო ქვეყანაში დატყვევებულნი, მარხვა კურნავს სულიერ ჭრილობებს და აახლებს ცოდვით გახრწნილ სულს. იგი განამტკიცებს გონებას, შთაგვა-გონებს ღვთის შიშს, ანაღგურებს ვნებებს, ათვინიერებს ზრახვებს.

მარხვის ქამს ცხრებიან ვნებანი, აღს-დებიან სათნოებანი, უმეტესი სიწმიდით

ელვარებს უბიწოება, ხორცი მორჩილ ზღება სულისა და მას ემსახურება.

სიხარულით შეუდექი მარხვას და ნუ ემს-გავსები იმ თვალთმაქცთ, რომელნიც კაცთა სახილველად დაღვრემილი სახით დადიან. ამ მწუხარების გამო ისინი ვერ იღებენ იმ ჯილდოს, მარხვის გამო რომ ეძლევა ადამიანს. მაცხოვარი ბრძანებს: „ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავსა შენსა და დაიბანე პირი შენი, რათა არა ეჩუენო კაცთა მმარხ-ველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად“ (მათე 6, 17-18).

ნუ განუდგები, საყვარელო, მარხვას, რა-მეთუ იგია დედა სათნოებათა, საფუძველი სიკეთისა, წყაროა უბიწოებისა და მცველია ღვთისმოსაობისა. იგია გამომზირალი წმიდა-თა, თანამყოფია ანგელოზთა, წინამებრძოლი ბოროტი მალისა, მეგობარი წმიდა სულისა; მის გამო გვშორდებიან ვნებანი და გვცილ-

დებიან ეშმაკეულნი, მისი მიზეზით ცხრება მრისხანება, ითრგუნება ავხორცი გულისთქმა, ცოცხლდებიან და ბრწყინდებიან ჩვენში სათნოებანი; მისი წყალობით მშვიდებიან ვნებანი და ყუჩდება გულისთქმათა ამბოხი; გონება თითქოსდა წყნარ ზღვაში ექცევა, იგი წარმატებით ებრძვის უკეთურ საქმეთა ქარიშხლის მღელვარებას და ხომალდი სათნოებათა ნავთსაყუდელში მიჰყავს. მარხვა მოგაგებს უხრწნელ გასამრჯელოს, მის საზღაურს ვერაფერი გაანადგურებს, თუკი სულიწმიდის მცნებებს აღასრულებ, თუკი ღვთის შიშში განმტკიცებული უარპყოფ წუთიერს და მიჰყვები წმიდა წერილი სიტყვებს: „ნუ გიყუარნ სოფელი ესე, ნუცალარა არს სოფლისა ამისი“ (1 იოანე 2, 15). ნუ გექნება სიყვარული ამა სოფლის სიამეთა, მძიმე ტვირთივით რომ აწევს ჩვენს სულს და ჩაძირული ხომალდივით ფსკერისკენ მიაქანებს. განა არ იცი, რომ საჭმლის გემოს მხოლოდ ყელი გრძნობს, ხოლო სასჯელი, რომელიც მოჰყვება მას სასტიკ ტანჯვას განგვაცდევინებს? თავშეუკავებლობა ბილწავს მათ, ვინც არ ინახავს მარხვას; იგი ამახინჯებს სულის მშვენებას, გვამად აქცევს სიცოცხლით აღვსებულს. იგი უკეთურებისაკენ მოუწოდებს ადამიანს, აღაგ ზნებს სიამოვნებებს, ამრავლებს ომებს, აღვივებს მტრობას და ბოლოსდაბოლოს, სათნოების უნარს უკარგავს კაცს, რაღგან, როცა სხეული უძლურდება და ღვინის ჭარბი სმით განსჯა იკარგება, ადამიანი ვეღარ პოულობს წინააღმდეგობის ძალას და მტერთათვის იოლი დასაძლევი ხდება. ამ დროს იგი ემსგავსება ქარით გატაცებულ ხომალდს, რომელსაც არა ჰყავს მესაჭე, რომ შეებრძოლოს აზვირთებულ ტალღებს და ზღვის სივრცეში უგზოუკვლოდ დაკარგული დასაღუპადა განწირული.

ამიტომ გევედრები, მარხვის შემდგომ ნუ შეუდგები განცხრომით ცხოვრებას, უზრუნველობის გამო ნუ გადაპყრი წყალში შრომას, არამედ საქმეს საქმე დაამატე და იმედი გქონდეს, რომ მოგეგება. ნუ დავღუპავთ მარხვის ძალას და ნუ მივცემთ ნებას ჩვენს გონებას, განსჯა დაპყარგოს სოფლიური სიამოვნებებით, რათა სულს გამოუსწორებელი ბოროტება არ ვაგემოთ. თუ გსურს მარხვის

შემდგომ განიკურნო სხეული, დაუძლურებისას თავშეკავებით უნდა უწამლო მას, რათა მსუბუქად დატვირთული ხომალდის მსგავსად, სული ბიწიერი ტალღების ზემოთ მოექცეს, რათა მან განაგოს ზრახვანი და მზად იყო წინ აღუდებე მათ შემოტევას, რომ განსაცდელისაგან იხსნა ხომალდი.

მარხვასთან ერთად ამ ბრძოლაში ადამიანს ერთი მოკავშირეც ჰყავს – ესაა ლოცვა. სიკვდილის ჟამი იქნება თუ რაიმე სხვა განსაცდელისა, მარხვითა და ლოცვით ყველაფერი ნადგურდება; მარხვით ძრწიან და ილტვიან ბოროტნი სულნი, იმუსრება დემონური ძალების მეუფება; მარხვის ძალა განსაკუთრებულია მაშინ, როცა მას ჰყავს მოკავშირე ლოცვის სახით. მარხვამ და ლოცვამ აღამაღლა ზეცად ილია წინასწარმეტყველი, დაღუპვას გადაარჩინა ნინეველნი, მარხვამ დაიცვა დანიელი უკნებოდ ლომებით სავსე ორმოში, მარხვამ გადაარჩინა შეუწველად ცეცხლოვან ღუმელში სამი ყრმა; მარხვამ შემოსა უსაზღვრო დიდებით მოსე; მარხვამ აქცია წინასწარმეტყველად ელისე. რა შეიძლება ითქვას კიდევ მარხვის შესახებ? რომ არ ყოფილიყო მარხვა - ხსნისა და მარადიული ცხოვრების მიღწევის გზა, ღმერთი არ დაადგენდა მას დასაბამიდან. თუკი ადამი დაიცავდა მარხვას, სიკვდილი ვერ მიეკარებოდა მას, არ დაპყარგავდა იგი ღირსებას, ღვთისაგან რომ ებოძა, არ განიღევნებოდა იგი სამოთხიდან და არ დაისჯებოდა ტანჯული ცხოვრებით. მაგრამ რადგან დაემორჩილა სტომაქის ხმას, სიკვდილის მონა შეიქმნა.

მარხვა სახეა ანგელოზებრივი ცხოვრებისა. და, რაც უმთავრესია, მარხვა დაიცვა მაცხოვარმა; მან იმარხულა არა იმიტომ, რომ იგი საჭიროებდა მას საკურნებელად, არამედ იმის გამო, რომ ხსნის გზაზე მარხვის მაგალითი მოეცა კაცთათვის.

ცხოვრების თანამგზავრად გაიხადე მარხვა, რათა დაგიცვას და სიკვდილს გადაგარჩინოს, განსაცდელი აგაცილოს და სასუფევლის ბჭესთან მიგიყვანოს.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ჩვენ თანა, რომელსაც შვენის დიდება, თანა მამით და სულით წმიდათურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



### ნეიდა პასილი დიდის

**ტროპარი:** ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა  
შენი, რომელმანცა შეიწყნარა სიტყვა შენი,  
რომლითა ღმრთივშუენიერად ჰქადაგე სარ-  
წმუნოება, ბუნებანი დაბადებულთანი გამო-  
აცხადენ, წესი კაცთანი განაპრენვენ და  
სამეფო იგი მღუდელობა განაშუენე, წმიდაო  
მღუდელ-მთავარო ბასილი, ევედრე ქრისტესა  
ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის.

**კონდაკი:** გამოსჩნდი შეუძრველად სიმტ-  
კიცედ ქრისტეს ეკლესიისა, და მიანიჭებ ყო-  
ველთა კაცთა მადლითა სალმრთოთა, რამეთუ  
განფინენ სწავლანი სალმრთონი ყოველსა  
ქუეყანასა ზედა, და ბრნყინავ ზეცათა შინ  
ყოვლად პატიოსანი მნათობო სოფლისაო  
ლირსო ბასილი.

### ნეიდა პასილი დიდი

## მარხვის სათვის

ჯერ კიდევ ესაია წინასწარმეტყველმა დაგ-  
მო წესი ებრაელების მარხვისა და ჭეშმარიტი  
მარხვისაკენ მოგვიწოდა, როცა გვითხრა: „ნუ  
სასჯელად და ბრძოლად იმარხავთ, არამედ  
განხსენით ყოველი საკრველი ბოროტებისაი“  
(ესაია 58, 4-6). ხოლო უფალი მოგვიწო-  
დებს: „იცხე თავი შენი და დაიბანე პირი  
შენი“ (მათე 6, 17), რაც ასე უნდა გავიგოოთ:  
სული შენი ცოდვებისაგან განიბანე და თავსა  
შენსა საცხებელი სიწმიდისა იცხე, რათა  
ქრისტეს ეზიარო და მარხვას ასე შეუდექი.  
მწუხარე სახეს ნუ მიიღებ, რათა ადამიანებს  
დაანახო, რომ შენ მარხულობ. მჭმუნვარების  
გამოფენით ძლევის გვირგვინსა და სამკაულს  
ვერავინ შეიმოსავს. ან რად უნდა იყოს კაცი  
სევდიანი მარხვის ანუ განკურნების უამს?  
პირიქით, მარხვის დადგომას სიხარულით  
უნდა შევეგებოთ, რადგან სახიერმა მკურ-  
ნალმა მისი სახით ცოდვის განსაქარვებელი  
წამალი მოგვცა, მარხვა ხომ სიღრმეში დამ-  
კვიდრებული ცოდვებისაგან ათავისუფლებს  
სულს.

ნუ შევეცდებით საკუთარ თავს დიდება  
თვალში საცემი მწუხარებით მოვუხვეჭოთ,

იმიტომ, რომ ვერც განცხადებული მარხვა და  
ვერც სხვათა დასანახად ჩაღენილი კეთილი  
საქმე სარგებელს ვერ მოგვცემს, რადგანაც  
ქებას აქვე დავიმსახურებთ და თანაც არა  
ზეციერი მამისაგან, რომელიც დაფარულსაც  
ხედავს.

მარხვა დასაბამიდან მოდის და რჯულზე  
უფრო ძველია. იგი უფალმა სამოთხეშივე  
დააწესა, რადგანაც პირველი მცნება, რო-  
მელიც ადამმა მოისმინა, იყო: ძელისა მისგან  
საცნაურისა კეთილისა და ბოროტისა, არა  
შჭამოთ (დაბ. 2,17). მაშინ რომ ევას ეს  
მცნება არ დაერღვია და ემარხულა, ჩვენ  
დღეს მარხვა არ დაგვჭირდებოდა, რადგანაც  
მკურნალი არა ჯანმრთელებს, არამედ სწეუ-  
ლებს სჭირდება (მათე 9,12). რამდენადაც  
ცოდვის სენი ჩვენივე ნებით შევიყვარეთ და  
დაუყმლურდით, ახლა სინანულით უნდა გან-  
ვიკურნოთ, სინანული კი წარმოუდგენელია  
მარხვის გარეშე. ადამს, რომელმაც მცნება  
დაარღვია, ებრძანა: „წყეულ იყავნ ქუეყანაი,  
ეკალი და კუროისთავი აღმოგიცენოს შენ“  
(დაბ. 3,17-18). ე.ი. ჩვენზე ჭირის მოწევაა  
ნაბრძანები და არა შვებისა. სამოთხე მარხვის

დარღვევის გამო დავკარგეთ და ახლა მაინც ვიმარხულოთ, თვალწინ გვქონდეს ლაზარეს მაგალითი, რომელიც სამოთხეში მარხვამ შეიყვანა (ლუკა 16,20-31).

ნუ მიძაბავ ურჩობაში ევას და ნუ შეიწყნარებ მრჩევლად უხსენებელს, რომელიც იქითკენ გაქეზებს, რომ მუდმივად სხეულს სწყალობდე. ზოგჯერ, ვინც მარხვას არ ინახავს, თავის საქციელს სხეულის უძლურებითა და უსუსურობით ხსნის. მაგრამ ჩვენ გვავიწყდება, რომ ესეცა და სხვა მსგავსი მიზეზებიც, ერთმანეთის გარდა, პირველ რიგში იმას უნდა ვუთხრათ, რომელმაც ყოველივე იცის. დაფიქრდი, მარხვა არ შეგიძლია და ათასგარი საჭმელით სხეულის დამძიმება კი შეგიძლია? მკურნალნი ხომ ავადმყოფებს ხშირად მარხვასა და მრავალფეროვანი სურ-სათ-სანოვაგისაგან თავის შეკავებას ურჩევენ? ვისაც გაძლიმა და ნაირ-ნაირი კერძთა სიმძიმის ტვირთვა შეუძლია, მარხვა აღარ შეუძლია? სხეულისათვის რა უფრო აღვილი და სასარგებლო იქნება – მსუბუქი საზრდელის მიღების შემდეგ მსუბუქად გატარება დამისათუ საჭმლის სიმრავლისაგან დამძიმებული ძილი? განა შეიძლება თქმა იმისა, რომ მძიმედ დატვირთული ნავი უფრო გადაურჩება ზღვის დელვას, ვიდრე მსუბუქად დატვირთული? ასევეა აღამიანის სხეულიც, ვინც საკვებს ზომიერად და მსუბუქად იღებს, ის უფრო დიდი წარმატებით მოიგერიებს ავადმყოფას, ვიდრე ის, ვინც მრავალფეროვანი სანოვაგით ტვირთავს სხეულს.

მარხვის განმწმედ ძალაზე ძეველი აღთქმის წიგნებიც ნათლად მეტყველებენ. წინასწარმეტყველი მოსე სწორედ მარხვის წყალობით მიერახლა წმიდა მთას (გამოსვლ. 24,18). მარხვა რომ არ ჰქონოდა საჭურველად ასხ-მული, როგორ გაბედავდა შესულიყო მთაზე ნისლში, რომლისაგან კვამლი ადიოდა? რომ არ ემარხულა, ღვთისაგან ვერც ფიცარზე დაწერილ მცნებებს მიიღებდა. სამაგიეროდ ნაყროვანებამ მისი ერი აქცია კერპომსახურად: „დასხდა ერი იგი ჭამად და სუმად და აღდგეს სიმღერად“ (გამოსვლ. 32,6). ერთი დღის სიმთვრალემ და ნაყროვანებამ ორმოცი დღის მარხვა და ვედრება წყალში ჩაყარა,

ხოლო მარხვის წყალობით მიღებული ფიცარი სიმთვრალემ შემუსრა. შეადარე ერთმანეთს მოსესა და მისი მშობელი ერის საქციელი და დარწმუნდები, რომ მარხვას კაცი ღმერთთან მიჰყავს, მაშინ როცა შვება და სიმაძლე შინაგანმცემია.

განა სამუელი მარხვამ და ლოცვამ არ შეძინა მის მშობლებს? (I მეფ. 1,13-20) და სამსონიც მარხვის წყალობით არ იქცა უძლეველად? მარხვამ შვა იგი, მარხვამ აღზარდა და მარხვამ განუმტკიცა ძალა, რადგან დედამისს ანგელოზის პირით ებრძანა: „ვენახისაგან რაც არს, არ შეჭამოს და ღვინო და თაფლუჭი არა სვას“ (მსაჯ.13,14). ორმოცი დღის მარხვის წყალობით წინასწარმეტყველი ილია ღირსი გახდა ქორების წმიდა მთაზე უფლის ხილვისა.

წინასწარმეტყველმა დანიელმა არც პური ჭამა და არც წყალი სვა სამი შვიდეულის მანძილზე; სამაგიეროდ მარხვა ლომებსაც ასწავლა. როცა იგი ლომებით სავსე ორმოში ჩააგდეს, მხეცებმა, როგორც ქვას ან რვალს, კბილი ვერ შეახეს. როგორც ვზედავთ, მარხვამ ლომებს პირი აუკრა, მარხვა ლოცვას ცად აამაღლებს, ფრთებს ასხამს. მარხვა წინამძღვარია განსვენებისა, დედა სიმრთელისა, განმსწავლელი ჭაბუქთა, სამკაული მოხუცებულთა, კეთილი თანამგზავრი მოგზაურთა. არ იჭვნეულობს ქმარი, როცა მეუღლეს მმარხველს ხედავს, ხოლო სახლი მარხვით ვინ გააღარიბა?

მარხვის გამო პირუტყვები სიკვდილზე არ გოდებენ, არ ჩანს ბრძანება მუცლის მიერ გამოცემული, დასვენებულია მახვილი მზარეულთა, სახლიც ისვენებს კვამლისა და ოხშივარისაგან, ქვაბებისა და ტაფების რახარუხისაგან.

მარხვა სიხარულის მიზეზიცაა, რაც უფრო ძლიერ მოსწყურდება კაცს, მით უფრო ტკბილი აღმოჩნდება მისთვის წყლის დალევა. ასევე მიმზიდველია მარხვის შემდეგ გახსნილება. დაუსრულებელი შვებითა და უზომო ჭამა-სმით ადამიანი კარგავს გემრიელი სასმელ-საჭმელის დაფასების უნარს. ხომ ვზედავთ, რომ მზე უფრო ბრწყინვალეა შემდგომად ღამისა, მღვიმარება უფრო ტკბილია

ძილის შემდეგ, ხოლო სიმრთელე უფრო სასურველია მას შემდეგ, რაც სწორებას გადავიტანთ. ასევე სასურველი ხდება ჭამა მარხვის შემდეგ როგორც მდიდრების, ასევე ღარიბებისთვისაც.

განა მარხვამ არ განუსვენა ლაზარეს აბრაამის წიაღსა შინა? დიდი იოვანეს ცხოვრებაც ხომ მარხვა იყო? (მათე 3,4). არც საწოლი ჰქონდა, არც ტაბლა, არც სათესი მიწა და ხარები, არც ხორბალი და მეტურე, მაგრამ იოანე ნათლისმცემელზე უფრო დიდი არავინ ყოფილა ქალის ნაშობთაგან. ნეტარ პავლესაც სხვა ჭირთან ერთად მარხვაც ჰქონდა სიქადულად, ამიტომაც გახდა იგი ღირსი მესამე ცის ხილვისა (II კორინ. 11,27;12,2).

თვითონ უფალმაც, როცა მან ჩვენთვის ხორცი შეიძოსა, მარხვით შეზღუდა იგი, რათა ესწავლებინა, რომ მარხვით უნდა განვწვრთნათ და დაგმწესოთ თავნი ჩვენნი (მათე 4,2). ხორცის საკვებზე ზრუნვას სჯობია იმაზე ვიფიქროთ, რომ საღმრთო სწავლა გონებას არ მოვაკლოთ; გავიხსენოთ, რას გვასწავლის პავლე მოციქული: რაზომ გარეშე კაცი ჩვენი განიხრწნების, უფროსად შინაგანი განახლდების (I კორინ. 12,10). მარხვა სასუფევლის ტაბლას განგვიმზადებს, ხოლო გემოთმოყვარება სხეულს გაასქელებს, რის გამოც მისი მტანჯველი მატლი კიდევ უფრო გაღაღდება. ვის მიუღია ოდესმე შვებით და ფუფუნებით რაიმე საღმრთო მადლი?

მარხვა იარაღია ეშმაკის წინააღმდეგ; სახარებაში ვკითხულობთ: ესე ნათესავი სხვითა არარაითა განიდევნების, არამედ ლოცვითა და მარხვითა (მარკ. 12,10). ბევრი საჭმელი ნისლითა და კვამლით მოიცავს და აბნელებს გონებას.

მაგრამ მარხვა მხოლოდ საჭმლისაგან თავის შეკავებას როდი ნიშნავს, ჭეშმარიტი მარხვა ბოროტისაგან განშორებაა, რადგან შეიძლება ხორცი არ სჭამო, მაგრამ ძმა შეჭამო, ღვინოზე უარი თქვა, მაგრამ გინება ვერ დათმო, საღამომდე თავი შეიკავო ჭამისგან, მაგრამ მთელი დღე მოყვასის განსჯაში გაატარო. ვაი მათდა, რომელნიც უღვინოდ არიან მთვრალნი (ესაია 51,2), რადგან გულისწყრომაც, რომელიც გონებას ახშობს და

უადგილოდ აღძრული შიშიც, სიმთვრალედ იწოდება. ცუდია ვნებებით თრობა, მაგრამ არც ღვინით დათრობა გვმართებს. სიმთვრალით ისევე ვერ შეინახავ მარხვას, როგორც ანგარებით ვერ მისწვდები სიმართლეს, შეგინებით – სიწმიდეს და უკეთურებით – სათნოებას.

მონაც კი გაურბის ბატონს, რომელიც ურტყამს, ჩვენ კი ვერ განვშორებივართ ღვინოს, რომელიც თავში გვიტყამს და ეს მაშინ, როცა ჩვენში ის უნდა მივიღოთ, რომელმაც თქვა: მე და მამაი მოვიდეთ და სავანე მის თანა ვყოთ (იოანე 14,23). განა ჩვენში შემომავალ მეუფეს კარი უნდა დავუხშოთ სიმთვრალით? სიმთვრალე სული წმიდას ისევე განდევნის, როგორც კვამლი ფუტკრებს.

ვინც კაცობრივ მხედრობას სწავლობს, ის დაკარგულ ძალას საჭმლით ივსებს, რათა ბრძოლის ველზე მტკიცე იყოს. ხოლო „რომელთაი იგი ბრძოლაი არა არს სისხლთა მიმართ და ხორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და ხელმწიფებათა და სოფლისმცყრობელთა ბნელსა ამის სულთა მათ უკეთურთა“ (ეფეს. 6,12), მათ პირიქით, მარხვით უნდა გაიძლიერონ თავი, რადგანაც ხორცისათვის მოკლებით სული განბრწყინდება, ხოლო უხილავ მტერთა ძლევა სწორედ სულის მხნეობით და ჭირთათმენით ხდება.

### ესეც გვახსოვდეს:

ამ სოფლის მხედართ მათი შრომის მიხედვით ეზრდებათ გასამრჯელო, ხოლო სულიერ მხედრებს, რომელნიც დიდად ავიწროვებენ ხორცს, უმეტესი პატივი ექნებათ. ჩვენი ჩაფეუტი განსხვავდება მათი ჩაფხუტისაგან, რადგან მათი ჩაფხუტი რვალისაა და ჟანგი სჭამს, ხოლო ჩვენი მარადიული ცხოვრების სასოებითაა შემზადებული (I თესალ. 5,8). მათი ფარი განხრწნადია, ჩვენ კი სარწმუნოების ფარი გვაქვს მოცემული, ჩვენ სიმრთელის ჯაჭვით ვართ აღჭურვილნი, ხოლო ისარი რკინის პერანგით. ჩვენ სულის მახვილი მოგვეცა საბრძოლველად (ეფეს. 6,7),

ხოლო მათ რკინის მახვილი უჭირავთ გაშიშვლებული. არც საზრდელი გვაქვს ერთნაირი, ჩვენ საღმრთო სწავლანი განგ-

ვამტკიცებენ, ხოლო მათ მუცლის აღვსება.

ჩვენი ცხოვრების გვირგვინად მარხვა რომ გვექცია, მაშინ იგი არ იქნებოდა ასე მრავალი მწუხარებითა და ტანჯვით აღსავსე, იმიტომ, რომ მარხვა არა მხოლოდ საჭმლისაგან თავის შეკავებას გვასწავლის, არამედ ყოველგვარი უკეთურობისაგან, ანგარება იქნება ეს თუ მრისხანება.

ვიყოთ მართალნი, რადგან როგორც დავით წინასწარმეტყველი ამბობს, მართალს არა-სოდეს გაუჭირდება: არა ვიზილე მართალი დაგდებული, არც თესლი მისი მთხოელ

პურისა (ფსალმ. 36,25). რა თქმა უნდა, იგი წილულ პურს არ გულისხმობს, რადგან კარგად იცის, რომ მართალი იაკობის ძენი ეგვიპტეში წავიდნენ სათხოვნელად პურისა. არამედ მას მხედველობაში აქვს სულიერი საზრდო, რომლის წყალობითაც ჩვენი შინა-განი სამყარო სრულყოფის კიბეზე თანდათან მაღლდება.

და ჩვენი ცხოვრების წესით თავიდან ავიცილოთ ის შიმშილი, რომელიც წყლისა და პურის მოკლებაზე უარესია, შიმშილი - უფლის სიტყვის მოსმენისა (ამოს. 8,11).



## ი უ ხ ი ლ ა რ ი



გ ი რ ა რ ა გ ი      ლ ე კ ა რ ნ ი ლ ე - 1 2 5

გენიალური ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით მწერალი აკაკი დაუშვილის რედაქტორობით გამოიცა კრებული „გოგლა“. განსაზღვრული იყო კრებულის უფრო დიდი მასშტაბით გამოცემა, მაგრამ უსახსრობის გამოეს კეთილშობილური განზრახვა ვეღარ განხორციელდა. გთავაზობთ რამდენიმე მასალას ამ დაუსტამბავი კრებულიდან.

ნოდარ შამანაძე

ის დღეები შენ წაღლე გოგლა


ეს მრავალისმთქმელი სიტყვები გოგლას სიყრმის მეგობარმა შალვა აფხაიძემ ამოიკვენსა, დიდი პოეტი რომ გარდაიცვალა, მან ცხელ გულზე ვრცელი წერილი დაწერა, სადაც გოგლასთან გატარებულ დღეებს იხსენებს.

ვამაყობ, რომ გოგლასთან შეხვედრის დღეები მეც მქონდა, თუმცა ის ჩემი დღეები გოგლას არ წაუღია, ღირსახსოვრად მუდამ ჩემთან დარჩა. ამის დასტურია ის მცირე მოგონებანი, ქვემოთ რომ მოგითხრობთ.

ოჯახში წევულება გვქონდა, გოგლა თამაღლობდა. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ განსხვავებული სასმისი აიღო, ფეხზე წამოდგა და ჩაიბუხუნა:

— ვადღეგრძელოთ ის პატარა ქართველები, ამ ჩვენი ლხინის დროს რომ მოევლინენ ქვეყანას. ლხინი და ბედნიერება დაპბედებოდეთ. გაუმარჯოს ჩვენი ერის ზრდასა და გამრავლებას!

სულ უბრალო პურის ჭამაც რომ ყოფილიყო. ეს სადღეგრძელო გოგლას მაინც



არ დაავიწყდებოდა. შემდეგ სხვა თამაღებმაც გაითავისეს და ამ სადღეგრძელოს „გოგლაურა“ უწოდეს.

„გოგლაურა“ ყველამ რომ შევსვით, თამაღამ თანამესუფრე ქალებს სათითაოდ გამოკითხა, ვის რამდენი შვილი გყავთო. ძირითადად სოფლიდან ჩამოსული სტუმრები მყავდა და გოგლა გაახარეს: ზოგი ოთხი შვილის დედა იყო, ზოგი კიდევ უფრო მეტისა. მხოლოდ ორი მანდილოსანი აღმოჩნდა „პირშერცხვილი“ და ორივე თბილისელი: ერთს ორი შვილი ჰყავდა, მეორეს კი — ერთი.

გოგლა მაინცდამაინც ორშვილიანს ჩააცივდა, რატომ მეტი არ გყავსო. მე წაეჩურჩულებ: — ბატონო გიორგი, მაგას რომ საყვედურობთ, რატომ ერთშვილიანს არაფერს ეუბნებით— მეთქი.

— იმას ერთიც ეყოფა, — ერთშვილიანისკენ არც გაუხედავს, ისე ჩაილაპარაკა გოგლამ, — მაგის შვილი რა უნდა იყოს! მარტო რიცხვმ-

რავლობა კი არა კმარა, ჯიშიანობაა მთავარი!

ერთშვილიანი, მართლაც, კრუხის პალოს ჰგავდა. დაგვაჯული და კაფანდარა რომ იყო, ეს კიდევ არაფერი. მეტად უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა მომავალიანი კი აფეთქებული ატმის ხესავით დაუდაუბდა და თვალთაგან ნაპერწელებს აფრქვევდა.

— მარინე, — უთხრა გოგლამ ორშვილიანს, — ოღონდ მესამე შვილის დედა გახდი და ნათლია მე ვიქნები, ნამდვილ მოყვრობას გაგიწევ!

მარინეს თვალი ცრემლით აევსო. თქმით კი ვერაფერი თქვა. მისი მდგომარეობა ჩვენ გავაცანით გოგლას: ქმარმა მიატოვა. სასამართლო მათი განქორწინების თაობაზე იმ დღეებში უნდა შემდგარიყო. თამადა დაღონდა. ერთხანს სდუმდა, მერე პაპიროსი გააბოლა და მე მომიბრუნდა:

— წადი ჩემი მანქანით და ის ვაჟკაცი ახლავე აქ მომიყვანე, გიორგი ლეონიძე გიბარებს-თქო. „ვაჟკაცი“ ისეთი აქცენტით თქვა, რომ ამ სიტყვაში ვაჟკაციობისა აღარა რჩებოდა რა.

მარინე ჩემი დის მული იყო, მის ქმარს მათ შეუძლებამდე ვიცნობდი, დამეს სადაც ათევდა, ვიცოდი. იღბლად შინ დამხვდა. რომ ვუთხარი გიორგი ლეონიძე გიბარებს-მეთქი, არ დამიჯერა. ლეონიძეს ჩემისთანა ხალხისთვის სცალიან სწორედო, ჩაიქირქილა. ბევრი ვეხვეწე, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დავიყოლიე. ვეხვდები რა ოინსაც მიწყობთ, სულ ტყუილად ირჯებით, მოვკვდები და ცოლსა და ცოლეურებს მე აღარ შევურიგდებით.

გოგლას ეწყინა, დავალება რომ ვერ შევუსრულე.

— როგორ, პატარა კახი ერთს რომ იტყოდა, მთელი საქართველო დგებოდა ფეხზე და მე რით ვარ ნაკლებიო, გაიცინა, მერე წამოდგა და მარინეს უთხრა, ქმარს ამ წუთში გვერდით მოგისვამო.

გურამი სირცევილით დაიწვა, ლეონიძე მოულოდნელად რომ დაადგა თავზე. კრინტიც არ დაუძრავს, ისე გამოგვევა. გოგლას მოეწონა: ქალი ხომ კარგია, ბიჭი უკეთესი ყოფილაო.

მალე გოგლამ თავისი სიტყვა შეასრულა: სუფრასთან დავბრუნდით თუ არა, ქმარი მარინეს გვერდით მოუსვა. გურამი ისე იყო

დარცხვენილი, საყვარელ პოეტს უარს ვერაფერზე ეუბნებოდა. გოგლამ ცოლსაც და ქმარსაც უკმაყოფილების მიზეზი დაწვრილებით გამოჰკითხა.

გურამი ზედსიძედ იყო ოჯახში მისული და განსაკუთრებით სიდედრს ემდუროდა.

— მერედა, ამის გამო ანგრევთ ოჯახს?!  
— შემოუძახა გოგლამ ცოლ-ქმარს, — ოთახი იქირავეთ. ფული თუ არ გაქვთ, მე დაგეხმარებით. არ შეშინდეთ და ცოტა ხანში ბინასაც მიიღებთ.

მეორე დღეს გოგლა რაიონში წავიდა, მკითხველებს ხვდებოდა. სამ დღეს აღარ მინახავს. მეოთხე დღეს მივედი თუ არა ლიტერატურის ინსტიტუტში, მითხრეს დირექტორი გეძახისო. ვეახელი, „ახალშეუღლებული“ ცოლ-ქმარი რას შერებიანო, მკითხა ღიმილით.

მე ისე უცებ იმ დამის ამბავი აღარ გამხსენებია.

— ვინ ცოლ-ქმარი მეთქი? — შევუბრუნე კითხვა.

გოგლამ წარბები შექრა და ისე ამხედ-დამხედა, თითქოს რაღაც ცუდ საქმეში გამოვეჭირე. კიდევ კარგი, სანამ რამეს მეტყოდა, ყველაფერი მომაგონდა... ბინა უკვე იქირავეს და შეთანხმებულად არიან-მეთქი, ვუთხარი დარწმუნებით, თუმცა იმ დამის მერე მათი ამბავი არც მიკითხავს. გოგლამ უჯრიდან ორი თავისი ფოტო-სურათი ამოიღო, ერთი მე მაჩუქა, მეორე კი „ახლადშეუღლებულ“ ცოლ-ქმართან გამატანა, ზედ გაკრული ხელით წააწერა: „გურამ და მარინე ხელაძეებს ნათლიისაგან. გ. ლეონიძე, 15. 11. 65 წ.“

გურამს ოთახის დაქირავება ადრეც უნდოდა, მაგრამ ცოლი არ თანხმდებოდა. დედაჩემს ვერ მივატოვებო. გოგლას საუბრის შემდეგ მარინე ქმრის ხებას დაჰყოლოდა და მეორე დღესვე გადასულიყვნენ ნაქირავებ ბინაში. პოეტის სურათმა ორივე ძალიან გაახარა.

გავიდა ხუთიოდე დღე.

ლიტერატურის ინსტიტუტის დერეფანში რამდენიმე თანამშრომელი ვიდექით და ვსაუბრობდით. თავის კაბინეტიდან გოგლამ გამოიხედა. გაგვიღიმა. მერე მოვიდა და ყველას სათითაოდ გამოელაპარაკა, სულ ბოლოს მე გადმომხედა და თითქოს ვინმეზე უთითებსო, ხელი აიქნია:

— როგორ არიან?

მივხვდი ვისზეც მეკითხებოდა. ოთახის ქირას რამდენს იხდიანო. თავი გადაიქნია. ერთხანს ჩაფიქრებული იყო, მერე მკლავში ხელი მომკიდა, კაბინეტში შემიყვანა და მითხრა:

— მოდი, შევიაროთ გურამის სამსახურში უფროსები ვნახოთ, მოველაპარაკოთ!..

გურამი თბილისის რკინიგზის სადგურში მუშაობდა. სადგურის ხელმძღვანელობა გოგლას დიდი სიყვარულით შეხვდა. გოგლამ გურამზე ჩამოაგდო სიტყვა. კარგი მუშაქაციაო, ყველამ ერთხმად თქვა.

რკინიგზის სამმართველო რვასართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას ამთავრებს და გურამსაც უეჭველად დავაკმაყოფილებთო, შეპირდა უფროსობა.

გადიოდა კვირები, თვეები, გოგლას ახლად შეუდლებული ცოლ-ქმარი არ ავიწყდებოდა. რამდენჯერმე მკითხა:

— რას შვრებიან, სიტყვას ხომ არ მიტეხავენ, მე სანათლიოდ მზადა ვარ და ბალლი სად არისო?

— ბატონო გიორგი, მახარობელი სულ მალე ვიქები-მეთქი, — ვპირდებოდი.

გურამსა და მარინეს სიტყვა არ გაუტეხავთ, 1966 წლის სექტემბერში ბიჭი შეეძინათ. გოგლა დაარქვეს. მაგრამ ვაგლას, რომ ბატონ გიორგის ვეღარ მივახარე. იგი უკვე ერთი თვის გარდაცვლილი იყო და მთაწმინდაზე განისვენებდა.

პატარა გოგლა ხუთი წლისა რომ გახდა, მშობლებმა დაბადების დღე საზეიმოდ აღნიშნეს. ახალ სამოთხიან ბინაში გულუხვი სუფრა გაშალეს თამადამ „გოგლაურა“ განსაკუთრებული სასმისით შესვა, მერე დიდი გოგლას შესანდობალი დალია. ამ დიდ ადამიანზე ყველანი სიამაყითა და გულის თრთოლვით ლაპარაკობდნენ. მეორე ოთახიდან ხანდახან პატარა გოგლა შემოცუნცულდებოდა-ხოლმე და ისეთი თვალით გვიყურებდა, თითქოს უპირს, ასე ხშირად რატომ მახსენებენო.

\* \* \*

სულხან-საბა ორბელიანის იუბილეა. ჭანდიაში ვართ. საბას ბეგლი გახსნეს. იქვე ორბელიანთ კარის ეკლესია. ვათვალიერებთ, გოგლამ და მე აკაკი გეწაძეს გვითხრა, ჩემთან წამოდით, კარგ ადგილას წაგიყვანთო. ჩაგვსხა „ვოლგაში“ და რესტორნისკენ

გაგვაქროლა. იქ ბანკეტია. უკვე სუფრასთან სხედან. მწერლებს ცალკე კუთხე უჭირავთ. თამადა ბოლნისის რაიონმის პირველი მდივანი, რომელმაც გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, გიორგი შატბერაშვილი, რევაზ ჯაფარიძე და სხვები. კ. გამსახურდიას გვერდით იჯდა მირანდა, მერე ზვიადი, ზვიადის შემდეგ კი — რევაზ ჯაფარიძე. თამადამ მწერლების სადლეგრძელო რომ დაამთავრა, რევაზი კონსტანტინესკენ გადაიხარა და რაღაც ჩაულაპარაკა. მირანდასა და ზვიადს გაეღმიათ, კონსტანტინე მხოლოდ შეიშმუშნა.

ცოტა ხნის შემდეგ რევაზმა თამადამ წერილი მისწერა, კონსტანტინე ადლეგრძელე ხელმეორედ განსაკუთრებულადო. მან მიუყრუა. რამდენიმე წუთს აცალა, მერე წამოხტა და უყვირა, შენ ვისთან გაქვს საქმე თუ იციო! თანაც წერილში რაც ეწერა, ახლა უკვე ბრძანებით გაუმეორა. თამადა გაჯიქდა... დაბადულობა გოგლამ განმუხტა, წამოდგა, სასმისი აიღო და პოლონელი მწერლის ირინა მაიევსკაიას სადლეგრძელო წამოიწყო, ირინა გვერდით იჯდა. გოგლამ რუსთაველის სტრიქონები მოიშველია, მერე ადამ მიცემიჩის ლექსიც გაიხსენა. სადლეგრძელო რომ დაამთავრა, ირინეს გადაეხვია და აკოცა.

... შინ რომ ვბრუნდებოდით, სიტყვა მწერლობაზე ჩამოვარდა. გოგლამ თქვა, ხელმოკლე და დატაკი ოჯახის შვილი დიდი შემოქმედი ვერ გამოვა, მას ოცნების საშუალებაც არ გააჩნია, ფრთები დაჭრილი აქვსო. გოგლა ერთხანს ჩაფიქრდა, მერე წარბები უცებ გახსნა და ირინე გაიხსენა.

\* \* \*

რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდი. მოპირდაპირე მხრიდან გოგლა მოაბიჯებდა. ჩაფიქრებული იყო. ფიქრის ძაფი არ გავუწყვიტო-მეთქი, გავივდე გულში და გვერდის ავლა დავაპირე. შემამჩნია, ხელი დამიქნია. რომ მივეღი, გამესაუბრა:

— მგოსანო, ახალი რამე თუ დაწერეო. ასპირანტობა და სამეცნიერო ხარისხი არაფერია, ერთი კარგი პოეტური სტრიქონი ათ დოქტორობას აიწონისო მერე გაგვაკრიტიკა: ახალგაზრდა პოეტები ლექსის ფორმას ნაკლებ ყურადღებას აქცევთ. „ნინოწმინდა“ რომ მოგწონთ, აქ მე უჩვეულო ზომა — თერთმეტი

მარცვალი გამოვიყენე, ყველა სხვა ზომა უვარებისი იქნებოდაო.

პეტრე ამირანაშვილი გამოჩნდა. გოგლა შეეგება. გადაკოცნა. შემდეგ „მინდიაზე“ ჩამოაგდო სიტყვა, ოპერა შექმნით, ეროვნულია, სტალინის დღევანდელ ამბებს ეხმაურებაო.

\* \* \*

ინსტიტუტის თანამრომელმა ნიკოლოზ კილანავამ ერთხეოლ გოგლასთან სიტყვა ქართულ მწერლობაზე ჩამოაგდო და როყიოდ წამოისროლა: პოეზია აკაკი წერეთლისა სჯობია, მაგრამ ილია ჭავჭავაძე მრავალმხრივი შემოქმედია, ამიტომა უფრო დიდი და სახელოვანი. — გოგლა განაწყენდა:

— ასე დაპირისპირება არაა სწორი, ჯერ ერთი, აკაკიც მრავალმხრივი შემოქმედი იყო, მეორეც, ილია დიდი პოეტიცა, აკაკი ვერ დაწერდა „აჩრდილს“, როგორც ილია „განთიადს“ ვერ შექმნიდაო.

\* \* \*

გოგლას ხელში გადაბეჭდილი თაბახებით სავსე საქაღალდე უჭირავს და გვეუბნება:

— ჩვენმა ინსტიტუტმა რომ მოამზადა ქართული მწერლობის ისტორიის მრავალტომეული. მუშტრის თვალით წავიკითხე და ასგვერდიანი რეცენზია დავწერე. მეცნიერებს შავი დღე ვაყარე. აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს რომ შეუსწორო, მასზე მეტი უნდა იცოდე. პოეზიას რომ არ გავყოლოდი, დიდი მკვლევარი ვიქნებოდიო.

\* \* \*

გოგლას ორი ქალიშვილიდან ორი შვილიშვილი ჰყავს და ორივეს გიორგი ჰქვია. ეს გამოვიყენე და ერთ სუფრასთან მის სადღე-გრძელოს რომ ვამბობდი, სხვათა შორი ვუთხარი: „ორი გიორგი კისერზე გიზის“... როგორ, როგორ ორივე სიძეს გიორგი ჰქვიაო, იკითხა ერთმა თანამესუფრემ. გოგლამ მიუყრუა, უმცროსი სიძე — ოთარ გვინჩიძე წამოწითლდა.

\* \* \*

ლიტერატურის ინსტიტუტის წინ ვიდექი „ვოლგა“ მოგიგინდა. კარი გაიღო, გოგლა გადმოვიდა, იღლიაში წიგნების გროვას ძლივს იკავებდა, წავიწიე, წიგნებს წამოგიღებ-მეთქი.

თავი გაიქნია, ხალხი იფიქრებს გოგლა დაბერებულაო.

\* \* \*

ასპირანტურა დავამთავრე, ახლა მეცნიერ-თანამშრომლად უნდა მიმიღონ. მიმიღებენ? დღეს გოგოლასთან შევედი, გთხოვთ, დამეხმაროთ-მეთქი. შენ მეცადინე ჭაბუკი ხარ, დაგეხმარებიო, შეპირდა. ის იყო უნდა წამოგულიყავი, წიწაკის მწნილი და შავი პური შემოუტანეს. უჰ, კარგიაო, ჩაილაპარაკა გოგლამ და წიწაკა პირისკენ გააქანა, პურიც დააყოლა, მერე კი შემიპატიუა, წიწაკა გასინჯეო.

— თქვენი ტკბილი სიტყვების შემდეგ წიწაკას როგორ გავეკარები-მეთქი.


გაიცინა.

\* \* \*

გალაკტიონ ტაბიძის მრავალტომეულის პირველი წიგნი გამოვიდა. შიგ შეცდომები და უზუსტობანი აღმოჩნდა. ტექსტოლოგის განყოფილებას, სადაც აღნიშნული ტომი მომზადდა, სოლომონ ყუბანეიშვილი ხელმძღვანელობს დაიბარა გოგლამ და პირდაპირ მიახალა:



გიორგი ლეონიძე და გალაკტიონ ტაბიძე ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე ქ. მოსკოვში.



— შენ რა გაგეგება პოეზიისა, რატომ ზარ ხელმძღვანელი?

— თქვენ დამაყენეთ, ბატონო!

— რომ არ შეგეძლო, რატომ ითავე?

— მომხსენით, ბატონო და ის იქნება! — ისე მოსაწყლებით ამოთქვა სოლომონმა, იუიქრებდი სადაცაა ატირდებაო.

გოგლა ჩაფიქრდა, ცოტა ხნის შემდეგ უთხრა:

— წადი, წადი, იმუშავე! რომ მოგხსნა, ვინ დავაყენო?! შენ გამრჯე და მუყაითი მაინც ზარ, სხვები ზარმაცები არიან, ზელნაწერის წაკითხვა ესიკვდილებათ.

\* \* \*

გიორგი ლეონიძე თელავმა მიიწვია. ვახლდით: ანდრო აბაშიძე, მამია ასათიანი, ამირან გაბესკირია, შალვა დემეტრაძე, ნოდარ გურეშიძე და მე. თეატრის შენობა ხალხით გაიჭედა. ძვირფას სტუმარს გამორჩეული სიყვარულით და მოწიწებით შეხვდნენ.

სიტყვით მეც გამოვედი. ვთქვი:

„მე იმერეთიდან გახლავართ, იმერლები „წინანდლისა და „საფერავის“ მფლობელებს ვერ შეგვიძრებით დვინის დაყენებაში. გულბათ ჭავჭავაძეებს დვინის სმაში, ნატო გაჩნაძის გამზრდელებს — ქალების სილა-მაზეში...“

გოგლამ შეაჩერა და განაცხადა:

— ეს ჭაბუქი სასიძო არ გეგონოთ, ცოლიც ჰყავს და ორი შვილიცაო (სიცილი დარბაზში, ტაში). — მე განვაგრძე — აქ რომ წამოვედი, შინ მხოლოდ ერთი შვილი დავტოვე, მეორისა კი არაფერი ვიცი (ისევ სიცილი, ტაში).

ვამთავრებ: „გეჯიბრებოდით და კვლავ შეგე-ჯიბრებით გიორგი ლეონიძის სიყვარულში!“

მინაწერი:

გოგლა რომ საოცარი მეხსიერებით გა-მოირჩეოდა საყოველთაოდ ცნობილი იყო, მა-გრამ ვერ წარმოვიდგენდი, თელავში ოდესაც ნათქვამი ჩემი სიტყვა თუ გაახსენდებოდა.

1966 წლის ივლისის დამდეგს ფოლკლო-რულ ექსპედიციაში გავემგზავრეთ ფშავ-ხევსურეთს. რომ დავპრუნდით, გოგლა უკვე სასიკვდილოდ სარეცელზე იწვა წყნეთში, თავისავე აგარაკზე. დავით გოგოჭური და მე სანახავად წავედით. თავზე ნესტანი ედგა, უფროსი ქალიშვილი, თქვენი სახელი რომ ვუხსენე, ხელი ჩაიქნია, გვითხრა უზომოდ დასევიანებულმა. მივხვდით, განაწყენებული იყო, ნახვა რომ დაუგვიანეთ. ქალბატონ ნესტანს არ მოგეშვით, როგორც იქნა და-ვიყოლიეთ. შეგვიძლვა. გულის თრთოლვით შევყვეთ.

გოგლა გულაღმა იწვა. მარჯვენა ხელი წყლიან ჯამში ჩაეყო, კედლიდან ვაჟა-ფშავე-ლა წარბშეკრული იყურებოდა, მის სურათთან ძირში მოჭრილი ვეება ხე იდო ტოტებგაბარ-ჯდული, ყვავილებითა და სუროთი შემოსილი. გოგლამ ჯერ დავითს ამოხედა, მერე მზერა ჩემზე შეაჩერა და ძლივს გასაგონი ხმით ამოილაპარაკა: რაო, კახელებს ვეჯიბრებიო?!

ისედაც სულშეძრული ვიყავი და პოეტის საყვედურმა მთლად თავგზა ამირია. აივანზე როგორ გამოვლასლასდი, აღარ მახსოვს,

მეორე დღეს რადიომ საზარელი ამბავი გვამცნო...

გიორგი (გოგი) ქავთარაძე  
(გიორგი ლეონიძის შვილიშვილი)

## მოგონებები

გიორგი ლეონიძე 1966 წლის 9 აგვისტოს გარდაიცვალა...

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი (გოგი) ქავთარაძე გოგლა ლეონიძის შვილიშვილი გახლავთ, პოეტის უფროსი ქალიშვილის – ნესტანის შვილი.

როცა გიორგი ლეონიძე გარდაიცვალა, ის 21 წლისა იყო. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ წლები ვერ გაახუნებს მოგონებებს პაპაზე და ბატონი გოგი მასთან ურთიერთობის ეპიზოდებს ყოველთვის სიყვარულით იხსენებს.



გიორგი ქავთარაძე პაპასთან.

პროფესიით ისტორიკოსი და არქეოლოგი ვარ. ამ სფეროების მიმართ ინტერესი გოგლასგან გამომყვა. კითხვა მან შემაყვარა. ბავშვობიდან უამრავ წიგნს მაკითხებდა და ანტისაბჭოთა ლიტერატურით მამარაგებდა...

რამდენჯერაც ზოოპარკში ვთხოვდი წაყვანას, მეტყოდა, მანდ ცხოველებს აწვალებდნო.

ძალიან თბილი, მოსიყვარულე იყო. ზედმეტი მოფერება იცოდა, ჩქმეტა და ამის გამო მე და ჩემი დეიდაშვილი ხშირად ვემალებოდით.

ბაბუსთან გატარებული წლები ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ჩემზე სულ ამბობდა, ნამდვილი ლეონიძეაო. ექსპრომტად მიძღვნიდა ლექსებს. ბებო ცხელი რძის დალევას მაძლებდა, რაც არ მიყვარდა. სათამაშო მელია მყავდა, ხელს დავავლებდი და ბებოს გარეთ გავექცეოდი ხოლმე.

ერთხელაც ასე გავექცი ბებოს და თან ექსპრომტად ვთქვი: „ცხელია, ცხელია, წამო, ჩემო მელია“. გოგლამ მომაძახა: „წამო, მელია, მელია, მოთმენა გამომელია“.

ფიზიკურად ძალიან ვგავდი ბაბუას და რაც წლები მემატება, უფრო ვემსგავსები. ეს ფაქტი ძალიან ახარებდა. სახელით კი არ მომმართავდა, ლეონიძეს მემახდა. „ლეონიძე, მოდი! ლეონიძე, წადი! ლეონიძე, ეს მომიტანე!“.

მთელი დღე ასე მემახდა და თან კმაყოფილი იყო. ძალიან უნდოდა, მისი გვარი მეტარებინა, მაგრამ ჩემი მეორე ბაბუა ექიმი-პროფესორი პეტრე ქავთარაძე (ქავთარაძის ქუჩა სწორედ მისი სახელობისაა) წავიდა



ეფემია ლეონიძე, გიორგი ქავთარაძე,  
გიორგი ლეონიძე, ნესტან ლეონიძე.

ამის წინააღმდეგი, ქალი ხომ არ არის, ორი გვარი ატაროსო.

გოგლას და პეტრეს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, მაგრამ ამ საკითხში ვერ შეთანხმდნენ. შემდეგ გამოსავალი ისევ მამაჩემმა გამონახა. მას ლეო ანუ ლეონი ერქვა და მე გიორგი ლეონის ძე ქავთარაძე გამოვდიოდი. მამაჩემმა თქვა, ხომ ხედავთ, ორივე გვარი გამოდისო. სხვათა შორის, ჩემს პუბლიკაციებს ბოლოში გიორგი ლეონ ქავთარაძეს ვაწერ. ამით მამაჩემის სახელსაც პატივს ვცემ და ჩემი ბაბუების გვარებსაც.

\* \* \*

...ერთხელ ზედმეტად გათამამებულად მის კაბინეტში შესულს, ხუმრობით შემომიტია: შენ ეტყობა არ იცი, რამზელა პოეტს ელაპარაკებიო.

მეც იხტიბარი არ გავიტეხე და ხუმრობითვე შევეკითხე:

— „შენ უფრო დიდი პოეტი ხარ, თუ გალაკტიონი?“

უეცრად სრულიად სერიოზულად მიპასუხა:

— „გალაკტიონიც დიდი პოეტია, ძალზე ფაქიზი პოეტური ბუნების, პოეზის გედია“, — მერე ხუმრობით გააგრძელა: — „შენ მე ეგრე ნუ მიყურებ, მე ლომი ვარ, ლომი. ჩემს ფასს მხოლოდ ჩემი ასი წლის იუბილეზე გაიგებ, როცა კიროვის ქუჩას ლეონიძის ქუჩა დაერქმევა და იქ ჩემი მუზეუმი გაიხსნება. ხოლო წყნეთის სახლში მუზეუმი რომ იქნება, იქვე ქავთარაძეების სახლში მუზეუმის ადმინისტრაციას ექნება ბინა“. ჩემი მეორე ბაბუის — აკადემიკოს პეტრე ქავთარაძის აგარაკი გოგლას სახლის მეზობლად დგას წყნეთში. არ უყვარდა სიტყვა „ბაბუა“, მე „პაპა“ ვარო — ამბობდა, თან დასძენდა: „აბა სად გაგიგიათ, ვინმეს ეთქვას „საფლავნი მამა-ბაბუათაო“.



გალაკტიონ ტაბიძე და გოგლა ლეონიძე „ვაჟაობაზე“ ჩარგალში.  
1955 წლის 14 აგვისტო.



გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმი პატარძეულში.

ზოგჯერ ტრაბახნარევი ხუმრობით იტყოდა: „იცის ბიჭმა“. დიდი კმაყოფილებით იხსენებდა ხოლმე, ნატა ვაჩნაძემ რომ უთხრა: „ლეონიძე, კოხტა ბიჭო, შენ კი გენაცვალეო!“

როდესაც საღმე მივდიოდით და მასპინძელი გოგლას წინ გაატარებდა, არასოდეს პირველი არ გავიდოდა და უხერხულობის გასაფანტავად ეტყოდა: „გაგვიძეხ, ბერო მინდიავ!“ ზოგჯერაც, ვითომდა მოისაწყლებდა თავს და იტყოდა: „ერთი საწყალი კაცი ვარ, ტყეში ვეფარები ხესა!“

ახლობელთა გადმოცემით, გოგლას მამა-პაპას ტყე-ღრე პყვარებიათ წოწიალი.

## 0 0 ს 0 ბ 0 მ 0 ე დ ა შ გ 0 ლ 0 ს ნ ა ა მ ბ 0 ბ 0

(მისი ქალიშვილის, თამარის მოგონებით)

ერთ ცინცხალ დილას გიორგი ლეონიძე გაღიმებული მეწვია.

— იოსებ, მინდა გაცინო.

— რა მოხდა? — ვკითხე.

— წუხელი დაშხოშიანად ვიხულიგნე.

— რა გაიკვირვე? ვინ მე და ვინ ხულიგნობა? კეთილი, გეტყვი.

ლამის პირველი საათი იქნებოდა, რუსთაველზე მივდიოდი. მე ხორციელი არავინ ჭაჭანებდა. ნასვამი ვიყავი, არა იმდენად ღვინით მთვრალი, რამდენადაც ჩემი ხალხის სიყვარულით.

რაკი მარტო ვიყავი, ჩემთვის ავმდერდი ლალად, ლამის სიწყნარეს ჩემებურად შევეხმიანე. უცებ მილიციელი გამომეჭიმა:

— მოქალაქევ, წესრიგს არღვევ, ადამიანებს ძილს უფრთხ! ჯარიმა!

მე კი ვითომ არც მილიციელი დამინახავს, არც მისი მუქარა გამიგონია, სიმღერა უფრო გავახურე, ხმას ავუწი: — „საყვარლისა ეშნითა ღვინო დამილევია...“

— თქვენი გვარი მოქალაქევ! — გადამეღობა.

— გზა მიტიე, თორემ გვარის მოთხოვნას გიჩვენებ მე შენ! — შევუძახე.

— ჯარიმა! ახლავე ჯარიმა გადაიხადე! დამმორჩილდი, თორემ ძალით მიგათრევ სამორი-გეოში და თავს ვირის აბანოში გაკვრევინებ! — გაბრაზდა.

— გზიდან ჩამომეცალე-მეთქი, თორემ!.. დავაშავე რამე? მემღერება და ჩემთვის ვლილინებ, კაცო.

— მოქალაქევ, ღილინი გულში უნდა, შენ კი მძინარე ქალაქს ღრიალით იკლებ... თავხედობ! ვინა ბრძანდებით ასეთი, თქვენი გვარი!

დავუსხლტი, ხმას დავუწი: და გზა ახლა ღილინით გავაგრძელე. ის კი გაგულისებული მომდევს.

მოდი, ერთს გავამასხარავებ-მეთქი, გავუჩერდი,

— ჩემი გვარი გნებავთ? კი ბატონო, მოგართმევთ. პოეტი ალექსანდრე აბაშელი გახლავართ.

მილიციელმა სიტყვა პოეტი რომ გაიგონა უცებ შეიცვალა, „ჩესტით“ გამომეჭიმა:

— კაი, კაი, იმღერეთ, ოღონდ, ხმამაღლა არა, გულის გულში, გულის გულში. ისე, მე თქვენს გვარს მაინც ჩავიწერ და მოვახსენებ უფროსს. ესე იგი, პოეტი ალექსანდრე აბაშელი!

— თავი დავუკარი.

გიორგი თავისებურად ბუხუნებდა:

— აი, ასე ჩავაწერინე იმ ადამიანის გვარი, ვისაც ღვინის წვეთიც არასდროს დაუჭაშნიკებია, არადა, თუ უვიცი, რეგვენი მილიციის უფროსი შეხვდა, ალბათ, ღამით ქალაქში წესრიგის დარღვევისათვის ნამდვილად დააჯარიმებენ და ეს ჩემი ხულიგნობის ბრალი იქნება. — იცინოდა გოგოლა.

მეც გულიანად ვხარხარებდი.

# ს ი რ გ თ კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი ს ნ ა ა მ ბ რ ბ ი

გოგლას ვეწვიე შინ, თავის კაბინეტში. ვხე-  
დავ ერთ მაგიდაზე „ივერიის“ კომპლექტებია  
გადაშლილი, მეორეზე ნაირნაირი უურნალ-  
გაზეთებია დახვავებული: ზოგი აკინძული,  
ზოგიც აუკინძავი, ყველაფერი ერთმანეთში  
არეულად ისეა ჩაწყობილი, ადამიანი განზრახ  
თუ აწეწავს.



გოგლა ლეონიძე და ეფემია ლეონიძე.

გოგლას მეუღლემ, ეფემიამ (შინაურები  
და თვითონ გოგლაც ფეფუცას რომ ეძახდა)  
ცალკე გამიხმო საჩუმათოდ და შემომჩივლა:

— ბოლიში უნდა მოგიხადო. ღმერთმანი,  
არ ვიცი, რა ვიღონო. საქვეყნოდ მარცხვენს.  
ეს ჩემი ქმარი, ყველა სტუმარი ამ არეულ-  
დარეულ ოთახში შეჰყავს. ამხელა კაცია და  
ბავშვივითაა. ხელს არაფერზე გვაკარებინებს  
არც მე, არც ქალიშვილებს. ამას წინათ შე-  
ვიპარე, კოხტად დავულაგე და მთელი თვე  
მწარედ ოხრავდა: ეგრე როგორ ამირ-დამირიე  
ყველაფერი, ველარაფერი მიპოვნიაო. დამემ-  
დურა, თავს ვიმტკრევ და ვერ გამიგია, რა  
დავუშავე? დიასახლისი მაშ რისი დიასახლი-  
სია თუ სახლი არ დაალაგა, არ მოაწესრიგა?  
რას იტყვის ხალხი?.. რას და, იმ განათლე-  
ბულ დიდ კაცს ცოლი „ნირიახა“ ჰყოლიაო,  
ჰო, ასე იტყვის.

აი, ასეა: რაც დიასახლისს არეულ-  
დარეული ჰეროინია, მწერლისთვის ის არის  
ჩინებულად დალაგებული, რათა ადვილად  
იპოვოს, როდის რა სჭირდება.

\* \* \*

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ერთ რომანს  
ხშირად სცემდა და ყოველი ახალი გამო-  
ქვეყნებისას სახელს უცვლიდა გარკვეული  
თვალსაზრისით.

პირველად იმ რომანს ერქვა „ძირს სიმინ-  
დის რესპუბლიკა“, მერე „იმერეთის ცისკარი“,  
მერე კიდევ რაღაც...

მორიგი გამოცემისას გიორგი ლეონიძეს  
შესჩივლა:

— ადარ ვიცი, რა ახალი სახელი მოვუ-  
გონო, მთელი თვეა, ამაზე ვფიქრობ და ვერ  
მომიგონებიაო.

— მაგას მთელი თვის ფიქრი რად უნდა,  
რაკი პირველად „ძირს სიმინდის რესპუბ-  
ლიკა“ ერქვა, ახლა ბატი-ბუტი დაარქვი, ბა-



ტი-ბუტი! — ბუხუნით ჩაიროხროხა გოგლამ  
და კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მხარზე  
ხელი დაპკრა.

შექრიბა აკაკი გეწაძემ

ელგუჯა ლებანიძე

## პიონერი და მოწინდილი ორი ცეკვის

1965 წლის ივნისი იწურებოდა. ახმეტის რაიონული გაზეთი „ბახტრიონი“ ივლისში უნდა გამოსულიყო. არასოდეს დამავიწყდება მღელვარება. პირველი ნომრის მზადებას რომ ახლდა განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი შემთხვევა. იგი ჩვენს საყვარელ პოეტან – გიორგი ლეონიძესთან არის დაკავშირებული.

გაზეთის მაშინდელი რედაქტორი სერგო გონჯილაშვილი საგანგებოდ წავიდა თბილისში, რათა ძველი ბახტრიონელის – გიორგი ლეონიძის მისალმება ჩამოეტანა. დაბრუნდა თუ არა, ყველას დასანახად ფურცელი ააფრიალა.

— ჯერ უარზე იყო, საქმე არ დაგიწყიათ და უკვე მისალმებას თხოულობთო. კართან დამაწია ბუხუნა ხმა... ხელცარიელი მაინც არ გამომიშვა...

„მივესალმები ახალი გაზეთის, „ბახტრიონის“ გამოხვდას, დე, ყოფილიყოს იგი ისეთივე გონებრივი სიმაგრე, როგორიც იყო გმირთა სავანე წარსულისა, განთქმული ციხე-სიმაგრე ბახტრიონი!

ეს სახელი მე ვუწოდე პირველ პერიოდულ ლიტერატურულ გაზეთს, რომელიც 1922 წლის განმავლობაში ჩემი თაოსნობითა და რედაქტორობით გამოდიოდა.

მიხარია, რომ ახალი „ბახტრიონი“ ერთ-აულებით ძოემსახურება ჩვენს მკითხველებს – ბახტრიონის გმირთა შთამომავლებს.

გიორგი ლეონიძე.

დრო მიდიოდა.

დიდ პოეტს გაზეთის ყველა ნომერს ვუზავნიდით და ჩვენთვის მოულოდნელად, იმავე წლის ოქტომბერში, ფოსტალიონმა გიორგი ლეონიძის წერილი არ მოგვიტანა?

გავხსენით და...

„სალამი და გამარჯვება, — ასე იწყებოდა წერილი, — თქვენს გაზეთს ვიღებ სისტე-მატურად, რისთვისაც დიდად გმადლობთ. მე

ძალიან მომწონს „ბახტრიონი“. შედარებით კარგი მექაროულება. არ გეპატიებათ სიტყვა „ნალოგი!“ კარგი ენთუზიასტები გყვათ ტ. კართაგავასა და ე. ლებანიძის სახით. უნდა შევუწყოთ ხელი და შევუქმნათ პირობები თქვენის შეძლებისამებრ. მათ ნარკვევებს ინტერესით ვკითხულობ.

— ეცადეთ, უფრო გაამრავალფეროვნოთ მასალა, მოუხშირეთ ნარკვევებს. ისინი უფრო მიდის მკითხველებთან, ვიდრე გამომშრალი, საკანცელარიო ენით დაწერილი, ანგარიშის მსგავსი მასალა. რასაკვირველია, ზომისამებრ. სხვათა შორის, კარგი იქნება, მეტი ყურადღება მიაქციოთ ადგილობრივ ფოლკლორს, ფრთვან სიტყვებს და არ გაატანოთ სამარეში მოხუცებულებს.

შემოიღეთ მთქმელთა განყოფილება მეოთხე გვერდზე. რიგი გამოაქვეყნეთ, რიგი გამოუგვავნეთ რუსთაველის ინსტიტუტის ფოლკლორულ განყოფილებას, რომელიც შეიძენს.

ენა უფრო გაიმდიდრეთ... ხალხური, ცოცხალი მეტყველება მთავარია რაიონული გაზეთისათვის.

აი, მოკლედ, სურვილები თქვენი მორიგი მკითხველისა, ნება თქვენია!

რატომ არა სჩანს გაზეთში თუშების ცხოვრება ისე, როგორც საჭიროა? ან პანკისი? რატომ არ გაქვთ ნარკვევები აღვანზე და სხვა.

უნდა გაგახსენოთ, აგრეთვე, მანდაური მწერლები ივანე ბუქურაული და ი. ცისკარიშვილი (ი. კახელი). კარგი იქნება, რომ აღნიშნოთ მათი თარიღები და შეაგროვოთ მასალები მათი ბიოგრაფიისა, ან რამე ნაწყვეტები დაბეჭდოთ მათი ნაწარმოებიდან, ან მოგონებები მათზე!

ასე მეგობრებო!

კიდევ მოგახსენებთ, რომ „ბახტრიონი“ კარგი გაზეთია.

მეც ვეცდები ცოტა შეგეწიოთ. ე. ი. გპირდებით თანამშრომლობას.

თუ რამე დახმარება შეიქმნას საჭირო, ნუ მომერიდებით!

სალამი ყველას.

თქვენი მკითხველი, დველი „ბახტრიონელი“ გიორგი ლეონიძე

იქვე მინაწერი იყო:

„მართლა, თქვენს წერილებში რატომ არ ხმარობთ ჩვენი კლასიკოსების ფრაზებს, ციტატებს?

და კიდევ: ჩვენს ცენტრალურ გაზეთებსა და უკრნალებში სისტემატურად იძებნება „უცხოური იუმორი“ (თარგმანები, თითქოს ქართველებს არა გვქონდეს იუმორი! სა-საცილოა მართლა! რატომ არ შემოიღებთ „ქართულ იუმორს“?)

ეს უბრალო ბარათი კი არა, მთელი პროგრამა! და მას ბევრი გაზეთისთვის ლღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა!

მერე რამდენი სითბო, რამდენი ზრუნვა ჩანს! ბევრი, ძალზე ბევრი რამ გვეუცნაურა იმ შენიშვნებიდან! როგორც ჩანდა, იგი გულისყურით კითხულობდა გაზეთის ყოველ ნომერს.

ეს წერილი ჩვენი მუშაობის საპროგრამო ნაწილად იქცა. იგი 1966 წლის „ბაზტრიონის“ პირველ ნომერში დავბეჭდეთ. სამწუხაროდ გიორგი ლეონიძეს არ დასცალდა თავისი სიტყვის შესრულება — „ბაზტრიონში“ მას სხვა არაფერი დაუბეჭდავს.

სამაგიეროდ, გაზეთი არ დარჩენილა ვალ-ში. შეძლებისდაგვარად ვცდილობდით უფრო საინტერესო, შინაარსიანი გაგვეზადა იგი. შემოვიღეთ ხალხურ მთქმელთა და მელექსე-თა განცოფილება, თუმცა ამის გამო ზემდგომი ინსტანციებიდან არაერთხელ გაგვაფრთხილეს, გაზეთის ქაღალდს ნუ ფლანგავთო... ჩვენ მაინც ჩვენსას ვაგრძელებდით.

ივანე ბუქურაულის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით უამრავი მასალა დავბეჭდეთ. ამით მართალია გვიან, მაგრამ მაინც შევასრულეთ საყვარელი პოეტის სურვილი.

\* \* \*

...თელავში, ცნობილი ფოტოხელოვანის — ისაკ ტორის ბინაში 1965 წლის დეკემბერში ვნახე ფოტოსურათი, რომელიც არ შეიძლება, კაცს არ დასხომებოდა.

სურათზე მოჩანდა პოეტის ახოვანი ფიგურა. მას თავი დაეხარა და დაფიქრებული მიჰყვებოდა გზას. პოეტს მოშორებით მის-დევდა პატარა გოგონა. იგი გაფართოებული თვალებით შესციცინებდა მგოსანს და მე ამაში რაღაც სიმბოლური დავინახე: წლებით მხრებდამძიმებული შემოქმედი და სრულიად ნორჩი თაობა, რომელიც პოეტის ნაღვაწს ესტაფეტასავით იღებს. ეს არის, ალბათ, ყოველი შემოქმედის სანუკეარი სურვილი.

...და მიდის დაფიქრებული პოეტი. თან მიჰყვება საუკუნეთა უკუღმართობის სისხლიანი წარსულის მწარე მოგონებები. იმდენად შთამბეჭდავი იყო მისი სახე, არ შეიძლება კაცს არ გაეფიქრებინა „აი, სწორედ სამშობლოზე ამ მარადიულმა დიდმა წუხილმა, სიყვარულმა და შემოქმედებითმა გენიამ აიყვანა იგი პოეზიის ოლიმპზე, ყოველივე ამას კი მაღლიერი შთამომავლობის თაყვანისცემა აგვირგვინებს“.

მართლაც!

## ჯემალ ხუციშვილი

### მოგონება

1966 წლის თებერვალში, საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში მოეწყო ხალხური შემოქმედების და თვითნასწავლი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა (გამოფენის ხელმძღვანელი გურამ გაბაშვილი). გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჩემი 27 ფერწერული ტილო. მათ დიდი წარმატება ხვდათ წილად, რაც ფართოდ გაშუქდა პრესიტ, რადიოთი და ტელევიზიით.

მიღოცების მიღება განსაკუთრებით შემოქმედთაგან მსიამოვნებდა. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ დიდი ქართველი პოეტი და მწერალი გოგლა ლეონიძე.

ერთ საღამოს (გამოფენა ჯერ დახურული არ იყო), ტელევიზიით საგამოფენო დარბაზს უჩვენებდნენ. უცებ, ჩემი ნახატების ფონზე გიორგი ლეონიძე გამოჩნდა. ბატონმა გოგლამ კარგა ხანს იღაპარაკა ჩემს შემოქმედებაზე. მაქებდა, მაგრამ სამწუხაროდ მეხსიერებას აღარ შემორჩა მის მიერ წარმოთქმული სიტყვები, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩანაწერი მომდევნო წელსაც გაიმეორეს.

მოსკოვიდან ჩამოსულმა პრესისა და კულტურის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს ჩემი ნამუშევრების გამოფენის მოწყობა მოსკოვში, ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში.

გამოფენამ მოსკოვშიც დიდი წარმატებით ჩაიარა. იქიდან დაბრუნებული რეზო ინანიშვილს შევხვდი, მან მოსკოვური წარმატებები მომილოცა და მითხრა, ბატონ გოგლასთან სპეციალურად მივედი და შენი გამოფენის შესახებ მოუყევი — ვუზხარი მეორე ფიროსმანი დაიბადა-მეტქი. იმ წამსვე წამოდგა, ერთად წავიდეთ და ვნახოთო. როცა გამოფენას ვათვალიერებდით, დარბაზში ტელევიზიის გადამდები ჯგუფი შემოვიდა გოგლას აზრის გამოთქმა სთხოვეს... მან თქვა, ჯემალ ხუციშვილის ნახატების ფონზე გადამიღეთო. მართლაც ასე გადაუდეს. გოგლა ლეონიძეს შენი გაცნობა უნდა და აუცილებლად მიღიო, — მითხრა რეზომ და საუბარი ამით დაასრულა. ეს ამბავი ცნობილ კოლექციონერსა და საზოგადო მოღვაწეს პაპუნა წერეთელს შევატყობინე, რომელიც დიდად აფასებდა

ჩემს შემოქმედებას და უახლოეს ადამიანად მთვლიდა. მითხრა, მე გაგყვები გოგლასთან.

მეორე დილით ბატონ გიორგი ლეონიძეს ლიტერატურის ინსტიტუტში მივაკითხეთ, მაგრამ მოსული არ იყო. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ბატონმა პაპუნა წერეთელმა ტელეფონით დაურეკა. ჯერ მოიკითხა, შემდეგ შეახსენა — ჯემალ ხუციშვილი დაგიბარებია და გიცდისო. მერე ფურმილი გადმომცა, შენთან დალაპარაკება უნდაო.

— კახელო, დიდო მხატვარო, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, — ჩამესმა გიორგი ლეონიძის ნაცნობი ხმა, დამელოდეთ და მაღე მოვალო.

ბატონ პაპუნას ეჩქარებოდა და ვეღარ მოიცადა. გავაცილე და უკან რომ დავბრუნდი გიორგი ლეონიძის კაბინეტი შევაღე, უბებე მოსულიყო და მწერლებს ესაუბრებოდა. კარი ჩუმად მოვხურე. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ შევაღე და ლეონიძის მძლავრი ხმაც მომესმა:

— შემოდი კაცო, რომელი ხარ მანდ?!

შევედი, მაგიდასთან დავდექი და მივეალმე.

— გაგიმარჯოს, ვინა ხარ, რა გინდა? — მითხრა გოგლამ.

— ჯემალ ხუციშვილი ვარ.

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. გაეღიმა ნელა წამოდგა, მომიახლოვდა და გადამეხვია. მერე მაგიდასთან მსხდომთ მიუახლოვდა:

გაიცანით საქართველოს დიდი მხატვარი! ამ ბუმბერაზი პიროვნებისაგან ეს ისეთი მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო, რომ დავიბენი. ეტყობა ამ ოთხ სიტყვაში გოგლამ ჩემდამი კეთილი განწყობა გამოხატა. ახლოს მიმიყვანა. იქ მსხდომთ ყველას ხელი ჩამოვართვი. თავის გვერდით სკამი დამიღვა და ჩემი ნახატების შესახებ დაიწყო ლაპარაკი. მაქებდა, ხშირად ახსენებდა ფიროსმანს, კაკაბაძეს, გუდიაშვილს, ვაჟას... კახელოს მებახდა. მერე ყველას მოგვმართა, არ წახვიდეთ, ეხლა ვაჟას შვილი ვახტანგი მოვა და გაგაცნობთო. მოსწრებული ენა აქვს, კარგი ლაპარაკი იცისო. ბატონი ვახტანგი არ ჩანდა, სხვები წავიდნენ, მე დამტოვა, მითხრა, მე შენი ერთი ნამუშევარი მაინც უნდა მქონდეს, „ოუნდაც მრავალუამიერიო“ — ასე ეწოდებოდა ჩემს ერთ-ერთ ფერწერულ ტილოს (ამჟამად დაცულია თელავის ქეთევან იაშვილის სახელმწიფო მუზეუმში).

მოკრძალებით ვუთხარი, ახლა ჩემი ნამუშევრების გამოფენა მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლშია და ორგორც კი ჩამოვა უეჭველად მოგართმევთ-მეთქი. მერე მკითხა, ხომ არაფერი გიჭირსო?

მაშინ ოჯახით ნაქირავებ ბინაში ვცხოვ- რობდი და ჩემი გასაჭირი მოვუყევი.

დაგეხმარებიო. ბინისა და სამსახურის ტელეფონის ნომერი მომცა და დამავალა, დამირეკე ხოლმეო. ორი კვირის შემდეგ დავურეკე, ვიღაც ქალაქის საბჭოს თანამშრომელზე მითხრა, ვერ დავიჭირე და ერთ კვირაში გამოიარეო.

ორი კვირის შემდეგ კიდევ დავურეკე. მითხრა, ხვალ სამსახურში ჩემთან მოდიო.

მივედი, კაბინეტში მარტო იყო, მკითხა:

— შენი ნახატები არ დაბრუნდა?

— გამოფენა აღმოსავლეთის ხალხთა კულტურისა და ხელოვნების მუზეუმში გადაუტანიათ და გამოფენა რამდენ ხანს გასტანს არ ვიცი.

უცებ ტელეფონმა დარეკა. გოგლამ ყურ- მილი აიღო და უპასუხა:

— არა, არა ბატონო, არ შემიძლია, ასეთი რაღაცებისთვის მე ლექსს აღარ ვწერ, თანაც შეკვეთით, — ყურმილი დადო, — ხუტა იყო, ბერულავა, მთხოვა საპირველმაისოდ ლექსი დამეწერა. რაღა დროს ჩემი ეგენია. რაზე მუშაობ? ჩემი ახალი წიგნი „ნატვრის ხე“ თუ წაიკითხე?

— ჯერ არ წამიკითხავს.

არ ესიამოვნა. ფანჯარასთან მივიდა. მერე მოტრიალდა და მითხრა:

— იცი რატომ გეკითხები? რასაც შენ ხატავ, მეც ისა მაქვს, ოღონდ პროზაში, ამიტომ შენთვის უფრო საინტერესო იქნება.

ბატონმა გოგლამ „ნატვრის ხე“ წარწერით მაჩუქა.

ცოტა ხნის შემდეგ ქუჩაში გამოვედით და მისი მანქანისკენ საუბრით გავემართეთ. მე მას შევყურებდი (ის ჩემზე გაცილებით მაღალი იყო) და მზის შუქზე პირველად შევამჩნიე რა ლამაზი ცისფერი თვალები პქონდა. საოცარი გრძნობა მეუფლებოდა ამ ბუმბერაზი ადამიანის გვერდით რომ ვიდექი, რატომდაც ვაჟა და ფიროსმანი მახსენდებოდა.


სანამ მანქანაში ჩაჯდებოდა მითხრა, რომ ო-სამ დღეში კიდევ შემევლო მასთან.

ვიდექი მისი ნაჩუქარი წიგნით ხელში და გავცელოდი მანქანას, რომელსაც დიდი გო- გლა მიჰყავდა. გავცელოდი სანამ ჩამავალი მზის სხივებში არ შთაინთქა...

მას შემდეგ ბატონი გოგლა აღარ მინახავს. ერთი კვირის შემდეგ სახლში დავურეკე. ასე მითხრა, ავად ვარ და ოცა სამსახურში გამოვალ აუცილებლად მნახეო.

ჩემი ნამუშევრების გამოფენასთან დაკავ- შირებით ისევ მოსკოვში მომიწია წასვლამ და იქიდან დაბრუნებამდე გავიგე გოგლას გარდაცვალების ამბავი.

ძალიან მეწყინა. ვერ მოვასწარი დიდი ქა- რთველი პოეტის, დიდი გოგლას სურვილის შესრულება.



გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“,  
პირველი გამოცემა, 1962 წელი.

მხატვარულად  
გააფორმა და დაასურათა  
თენგიზ (ჩუფჩიკა) მირზაშვილმა.

## გილრგი ხორგუაშვილი

### სადღებრძელო და ლექსი ერთია

თეზში ჩაფესვიანებული სილაგაძენი: დიდი ლადოც, მისი შვილი — დავითიც, პატარა ლადოც, სახელგანთქმული მევენახები იყვნენ.

დიდ ლადოს აუშენებია თავის ზერების შესაფერისი მარანი, თავისი დედაბომითა თუ თავხეებით, საწნახელითა თუ თაროებით დამშვენებული, მიწაში უფრო დიდი სიმდიდრე იყო ჩამალული, — საზედაშე ქოცოებით დაწყებული თაღარისა და ოცდასამკოკიანი ქვევრებით დაგვირგვინებული და ისინი ყოველ წელიწადს ივსებოდნენ და იცლებოდნენ. ნათესავ-ძეზობელ-მეგობრების გარდა სხვაც ბევრი სტუმარი გაუსტუმრებიათ ამ მარნიდან.

სილაგაძეების სახელოვანი მარანი, როგორც იტყვიან, ერთ მშვენიერ დღეს დაულოცია გიორგი ლეონიძეს, რომელსაც ლექსპრომტიც მიუწერია მარნის კარებზე...

სუფრა „მაღლა-ოთახში“ გაიშალა, გადაღებულ ოთახში, სახელდახელო შეპურმარილება განეზრახათ, გიორგი ლეონიძე სუფრის თავში, სათამადო ადგილას დასვეს.

ჯერ „დვინჯუა“ არ დაწერილიყო.

იქნებ სწორედ იმ ხანებში ჰქონდა უზურში „ნატვრის ხის“ შექმნა, წიგნი — შედევრისა, ნოველებიან რომანადაც რომ ითქმის და ქართული მიწის ფერ-სურნელებით არის გაჯერებული, ქართული ჰაერით სუნთქვას, ქართულ მზეშია ამოვლებული. ლეონიძისეული დიდოსტატობით არის აშენებული ქართული სოფელი, სადაც მკვიდრობენ სხვადასხვა ხასიათის ადამიანები, სიკეთითა და სიყვარულით გულნაჯერები, ქართველნი, გამრჯენი და მოძლენენი, მამა-პაპეული კეთილტრადიციების მიმდევარნი, მშობელ მიწაში ფესვგადგმული, მშობლიურ ცისკარსა და ცას მიჩერებული, ისიც რომ ძალუმთ: თავიანთკენ მიაქციონ სოფელში შემოჭრილი ავყიები, ავსიტყვანი, ავტაცები, ავი ძაღლისა და ავი პატარძლის პატრონები. და ეს ადამიანები — ხასიათები დახატულნი არიან მსუე ფერებით, პირიდან რომ სულ ხატოვანი თქმანი ამოსდით, ბაჯაღლო და ცისნატეხა სიტყვები სცვივათ, ბევრი მათგანი რომ სხვაგან არსად გაგონილა, მხოლოდ იმ სოფელსა თუ უბანში, ანდა თვით გიორგი ლეონიძეს საწერში ხარობს.

პო, ჯერ „დვინჯუა“ არ დაწერილიყო.

აქ, თეზში, სილაგაძეების დიდ სუფრაზე კი გიორგი ლეონიძე აკურთხეს თამადად, არც მას გაუტატანებია ხელები.

„ყველამ იცოდა, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო, ტოლს ვინ დაუდებდა. სად იყო მისი ფარდი?“

სველი საღვინები მოაძუგმუგეს.

თიხის ჯამებში რომ ჩაუშვეს, ისევ შიშინებდა ხუთკოკიანი ქვევრიდან ახალი ამოჩქაუნებული.

„დვინო ქართველი კაცის ხმალია“.

სილაგაძეების დიდ სუფრას ორმოცამდე სტუმარი ამშვენებდა. სტუმრები და რა სტუმრები!

ყოველ სადღეგრძელოს საკადრისი სიმღერა მოსდევდა, ერთი კი არა, ბარე ორი მაინც, სიმღერები და მერე რა სიმღერები! ადვილი წარმოსადგენია, როგორი ურუანტელი დაუვლიდათ თვით მესუფრეებსაც და ზეზემტრიალებლებსაც, ზურაბ ანჯაფარიძე, რომ აბესალომის არიას ამოიმღერებდა, დავით გამრეკელი — მურმანისას. იგივენი რომ აბესალომისა და მურმანის დუეტშიც შეებმეოდნენ შაშვი-კაკაბივითა, პეტრე თომაძე და გივი ტორონჯაძე რომ შეეტოლიტოლებოდნენ და საამო ღვინით შეზარხოშებულნი ამოიმღერებდნენ.

ცა რომ შებაცდა, თამადა მაშინ წამოიმართა საღვთისმშობლოს სათქმელად, წამოიმართა განიერი ბეჭებითა და სასმისიც შეიმარჯვა.

ღიმილი გაიუხვა პოეტ-აკადემიკოს — თამადამ და თავისებურად ჩამოქნა საყოვლადწმინდაო სადღეგრძელო, მაგრამ ეს ბოლო, დამამთავრებელი სადღეგრძელო არ გამომდგარა.

— ერთი ის ქვევრი მანახეთ, საიდანაც ეს ღვინო ამოდიოდაო.

დიდი სიამოვნებითო და სტუმრები შეიპატიუეს მარანში.

ოცდასამკოკიანს მოშვლიპეს თავი.

ქვევრის თავი სველი ჩერით გადაწმინდეს. მერე გამოჩნდა წარწერა „სოსო ბარნაბიშვილი“.

— ეს რომელი სოსოაო? — იკითხა გიორგი ლეონიძემ, — ქვევრის თავზე წარწერა რომ ამოიკითხა.

სოსო ბარნაბიშვილი გიორგი ლეონიძის ყრმობის დროინდელი, თანაგიმნაზიელი, თანაკლასელი მეგობარი იყო. იგი თეზში ჩაფიქრებული, სახელგანთქმული მევენახისა და მეურნის ლადო სილაგაძის სიძე აღმოჩნდა.

როცა მარანში ქვევრებსა ყრიდნენ, ქვევრების თავზე მათი მოამაგების სახელი ამოკაწრეს, ერთს მარნის პატრონის სახელი დააწერეს, მეორეს – ამ ოჯახის სიძის სახელი და გვარი ამოკაწრეს – „სოსო ბარნაბიშვილი“.

— არ იტყვით, ეს რომელი სოსო ბარნაბიშვილია?! — კვლავ იკითხა გიორგი ლეონიძემ.

— დიდი სოსო.

— „სოსო ბარნაბიშვილი“, — კვლავ ქვევრების თავის წარწერა. — ისევ ისე ბრეცელა ხელით დაუწერია, გიმნაზიაშიც ასეთი ბლაგვი ასოებით წერდა.

დიდი სოსო იმ დროისათვის ცოცხალი აღარ იყო. სამაგიეროდ იქა ტრიალებდა მისი შვილი — ავთანდილ ბარნაბიშვილი.

გიორგი ლეონიძემ დიდი სოსოს საღვევრო დალია, მერე გამომარტოვდა, გამოიხურა მარნის კარები და დიდი ასოებით დააწერა ლექსპრომტი. მერე თავისთან იხმო ავთანდილ ბარნაბიშვილი, ქვევრის თავზე მსხდომნი ზურაბ ანჯაფარიძე და ბარე ორი სხვა მეინახე და ხმამაღლა წაუკითხა მარნის კარებზე იმ წუთას მიწერილი:

### სოსო ბარნაბიშვილს

სალამი და გამარჯვება,  
ჩემო ძმაო, სოსო!  
მე მინდა, რომ ამ შაირმა  
გული დაგიკოცნოს.  
ამ ოჯახის სიქადულო,  
სოსო, დიდო ბოძო,  
შენს მარანში ვიქეიფე,  
აქ მოვხადე ქოცო,  
მოგიგონე, გაღლეგრძელე,  
ყრმობის სირინოზო,  
შენი ბიჭიც გადავკოცნე,  
დაგილოცე, სოსო,  
ჩვენი ყრმობაც მოვიგონე,  
გულმა გული კოცნოს,  
ჩვენი ძველი მეგობრობა  
ყველამ გაიოცოს,  
გაუმარჯოს საქართველოს,  
ვინც მის მიწა კოცნოს!

გალერიან გოგოლაშვილი

### „მშობელ მილაში მედგას ვესვები“

1960 წლის 5 მაისს გამოვიდა გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ პირველი ნომერი. ქართული საზოგადოებრიობა დიდი სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს. ახალი გამოცემა ერთგული მეგობარი და მესაიდუმლე უნდა გამხდარიყო არა მარტო გლეხობისა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ხალხისა ამიტომაც, არამედ საქართველოს მთელი მოსახლეობისა. თითოეული ქართველის — გლეხისა თუ მუშის, ხელოვანისა თუ მეცნიერის, ჯარისკაცისა თუ სასულიერო პირის ფესვი და ძირი ხომ მშობლიურ მიწაშია გადგმული, ის იქიდან იღებს მატერიალურ, სულიერ და ზნეობრივ საზრდოს, არის ეროვნული ცნობიერების, ეროვნული ღირსებისა და სიამაყის ჭეშმარიტი სააკვნე.

გიორგი ლეონიძემ სწორედ ამ თვალთახედვით აღიქვა „სოფლის ცხოვრების“ დაბადება და მისი პირველი ნომერი ფრთიანი ლექსითაც დაამშვენა.

სამშობლოს ვაზი ძირტებილი  
დასხმისთვის რამდენს იცდიდა?  
რამდენი ხეხილს და ვარდ-ყვავილს  
მოველით სტუმრად მიწიდან?  
შენ აღონივრე ბარაქით  
ქართველის ოფლით ნასხური, —  
რჩეული ვაზი საღვინე,  
ყანები თავთავწასხმული,  
შენ გაგვიმრავლე დოვლათი:  
ჩაი, ცხვარი თუ ფუტკარი,  
შენ შრომით გაასინათლე  
მშობელი ხალხის სიმართლე,  
ხალხს გამარჯვება უთხარი.  
ნათელზე გამოგეტანოს  
ახალი სოფლის ცხოვრება,  
დაგვიშრიალე ყოველდღე  
ცხოვრების განმაცოცხლებლად.  
მოგესალმები გაზეთო,  
სიტყვავ ნაჭედო, ძლიერო,  
შენმა ნაკვესმა ნათელმა  
სამშობლო მიბეჭნიეროს!

იმ დღიდან მოყოლებული გოგლა გვერდიდან არ სცილდებოდა გაზეთს. კვირა არ გავიღოდა ორჯერ მაინც არ შემოევლო რედაქტიაში, ხან წერილს გვაახლებდა, ხან რაიმე მოვლენაზე გამოხმაურებას.

უმეტეს წილად კი მოდიოდა უბრალოდ, როგორც ახლობელი ახლობლებთან. სიკეთით გაცისკროვნებული მისი ცისფერი თვალების შუქი, გულის სიღრმიდან ჩანჩქერივით ამოხეთქილი, კახური „მრავალუამიერის“ ბანივით ტკბილი ხმა ენით გამოუთქმელი ხიბლით ავსებდა იქაურობას.

რედაქტის თანამშრომლები, ცხადია, ვა-მაყობლით დიდი პოეტისა და მამულიშვილის ამგვარი კეთილგანწყობით. თუმცა, ბოლომდე ვერ ჩავწვდით ერთ საიდუმლოს, რატომ იჩენდა ასეთ გამორჩეულ უურადღებას მაინც-დამაინც ჩვენი გაზეთისაღმი. ამის მიზეზი ალბათ არ უნდა ყოფილიყო მარტო ბატონი გოგლას და ჩვენი რედაქტორის, ბრწყინვალე უურნალისტის, მოქალაქისა და მოღვაწის მიხეილ დავითაშვილის პირადი მეგობრობა.

ერთხელ მოვიკრიბე გამბედაობა და მორიდებით ვკითხე ბატონ გოგლას:

— ბატონო გიორგი, ბოლო ხანს დაწერილი თითქმის ყველა ლექსი და სტატია „სოფლის ცხოვრებაში“ რომ მოგაქვთ გამოსაქვეყ-ნებლად, რომელი, არანაკლებ ავტორიტეტუ-ლი გაზეთი და უურნალი იტყოდა უარს მათ გამოქვეყნებაზე?

გოგლას თვალები ეშმაკურად აუციმციმდა და მიპასუხა:

— შვილო, „სოფლის ცხოვრება“ ხალხის გაზეთია. მე კი სახალხო პოეტი, სხვაგან სად უნდა დავიბეჭდო.

სიმართლე უნდა ითქვას: დიდი პოეტის მიერ ხელდასხმულმა გაზეთმა და კოლექტივმა, იმედი გაამართლა. „სოფლის ცხოვრება“ თავისი ოპერატიულობის, მებრძოლურობისა და მრავალფეროვნების წყალობით, სულ მოკლე ხანში ძალიან პოპულარული გახდა ქალაქად და სოფლად. ერთ წელიწადში მისი ტირაჟი 26 ათასიდან 160 ათასამდე გაიზარდა, შემდეგ კი ნახევარ მილიონამდე ავიდა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ახარებდა გაზეთის ეს წარმატება გიორგი ლეონიძეს.

1964 წლის 5 მაისს „სოფლის ცხოვრების“ მეათასე ნომერი გამოვიდა, მეათასე ნომერსაც,

როგორც პირველს ბატონ გოგლას ლექსი ამშვენებდა:

„გუთნისდედის,  
მეზვრის,  
მწყემსის,  
მხენელ-მთესველის ხარ გაზეთი,  
მეგობარი მუდამ გეთქმის  
მინდვრების და სავაზეთის,  
სიყვარულთან შეათავსე  
შრომა, ცოდნა ერთგულებით,  
გამოსული მეათასედ  
კვლავ ჭაბუკად მეგულები,  
მინდა დღესაც გაგვილადდე,  
გავლილი გაქვს სწორად ხნული,  
შემოდგომით გაანაღდე  
ნაოფლარი გაზაფხულის.  
კიდევ გვითხარ აღტაცებით  
ჩვენი ქეყნის მარჩენალზე,  
შეგვახედე ვაჟკაცების  
დაუღალავ მარჯვენაზე.  
აუმატე ბარაქასა,  
შეებრძოლა არაკაცსა,  
შეუტიე ჩამორჩენას  
ყველგან, ყოველ ალაგასა,  
იყავ მარად  
მეომრად  
შრომისა და მხნეობისა,  
დამრაზველი ველ-მინდორის,  
სულ უშორეს ხეობისაც...  
მახარობლად შენ მინდოდი  
ერის კეთილდღეობისა.

„სოფლის ცხოვრების“ მეათასე ნომრით გამოსვლის აღსანიშნავად მთაწმინდის პლატოზე, რესტორანში დიდი სუფრა გაიშალა, სადაც მოწვეულნი იყვნენ ქართული საზოგა-დოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, სტუმრები სხვადასხვა რესპუბლიკებიდან.

სუფრას გოგლა თამაღობდა. ეს იყო ქართული სულის, სიბრძნისა და სიყვარულის ნამდვილი ზემინ რომელსაც ბუმბერაზი პოეტი და ვაჟკაცი მესაჭეობდა.

მეორე დღეს მიხეილ დავითაშვილმა ტელე-ფონით დაურეკა ბატონ გოგლას და მადლობა მოახსენა შესანიშნავი თამაღობისათვის, — სიცოცხლის ბოლომდე, მეცა და მთელი რე-დაქტიაც თქვენს ვალში ვიქნებითო.

ამაზე გოგლამ უპასუხა:

— რაკი ვალზეა ლაპარაკი, შეგიძლიათ დღესვე გადამიხადო, ძალიან მომეწონა ენამთის ღვინო, თუ დაგრჩათ ცოტაოდენი გამომიგზავნეთ და ვალიც გასტუმრებული გექნებათ.

მორჩენილ ღვინოს გოგლას როგორ ვაკადრებთ, როგორც მახსოვს, ბატონ მიხეილ დავითაშვილის თხოვნით, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის სახელგანთქმულმა თავკაცმა ნიკო ყოჩიაშვილმა დიდ პოეტს მიართვა კოლმეურნეობის კუთვნილი ენამთის ზვრების რჩეული ღვინო.

ბატონი გოგლა საოცრად თავმდაბალი პიროვნება იყო. მისი მორიდებულობის „წყალობით“ კურიოზული შემთხვევაც კი მოხდა რედაქციაში.

ბატონ მიხეილ დავითაშვილს გრძელი თათბირების გამართვა უყვარდა. სწორედ ამ დროს მოსულა ბატონი გოგლა და რედაქტორის მისაღებში მორჩილად დამჯდარა იმის იმედით, რომ თათბირი მაღლე დამთავრდებოდა. ასე უცდია საათზე მეტ ხანს, მერე მდივნის მაგიდასთან მჯდომ ახალგაზრდა თანამშრომლისთვის დაუბარებია, ბატონ მიხეილს გადაეცით გოგლა ლეონიძე იყო-თქო.

როგორც შემდეგ გაირკვა, იმ დღეს რედაქტორის მდივანი შეუძლოდ გამხდარა და თავის ადგიოზე შიკრიკი გულო გურგენაშვილი დაუტოვებია. გულო შესანიშნავი შიკრიკი იყო, მაგრამ დიდად განსწავლული არ გახლდათ.

თათბირი რომ დამთავრდა, ბატონმა მიხეილმა გამოიძახა და პკითხა, ხომ არავის ვუკითხივარო.

— როგორ არა, ვიღაცა გოგლა ლეონიძე იყო, იცადა, იცადა და წავიდაო.

ბატონი მიხეილი სირცხვილისგან კინაღამ დაიწვა. მაშინვე ტელეფონს უცა, ბინაშიც დარეკა, სამსახურშიც და სადღაც მიაგნო ბატონ გოგლას, ათასი ბოდიში უხადა, ეს რა სამარცხინო საქმე დამემართაო.

— რა მოხდა შე კაი კაცო, — დაამშვიდა გოგლამ და თან დაუმატა — მაგ ცხელ გულზე ეგ გოგო არ დასაჯო, დიდი ამბავი თუ ვერ მიცნოო.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ბატონმა გოგლამ უკლო ჩვენს რედაქციაში სტუმრობას, ცუდად გვენიშნა. რაღაცა დიდი მიზეზი უნდა პქონდა მას მიუსვლელობას, თურმე ეს მიზეზი უკვე სცოდნია ჩვენს რედაქტორა, მაგრამ არ გვიმხელდა. ერთი კი იყო, ყოველთვის საქმეებით დატვირთულმა და მოუცლელმა ბატონმა მიხეილ დავითაშვილმა მოუხშირა წყნეთში სიარულს. კარგა ხნის შემდეგ გამოგვიტყდა, თურმე გოგლა განუკურნებელი სენით ყოვილა დაავადებული და საათობით ეჯდა გვერდით გაზეთის დიდ მოჭირნახულესა და მეგობარს...

გოგლა აღარ იყო ამ ქვეყანაზე, მაგრამ მისი სული მუდმივად ტრიალებდა ჩვენი გაზეთის რედაქციაშიც და მის ფურცლებზეც. წლების მანძილზე „სოფლის ცხოვრებას“ წამდლვარებული პქონდა გიორგი ლეონიძის უკვდავი სტრიქონი „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“.

## ლადო მრელაშვილი

### „მივლინება“

გიორგი ლეონიძე ქართულ მწერლობაში არა მარტო დიდი პოეტია, არამედ დიდი პროზაიკოსიც, იშვიათად მეგულება მწერალთაგან ისეთი, რომელიც ასე იყოს შეყვარებული ქართულ სიტყვასა და მის ჯავარზე. ამის დასტურია მისი ნოველების კრებული „ნატვრის ხე“.

ჩემს სხვენაში ბარე ათიოდე „უფროსი“ გამოიცვალა მწერალთა კავშირმა და არავის ახსოვს ასეთი „დემოკრატიული“ თავმჯდომარე.

მის კაბინეტში დიდსა თუ მცირეს შეეძლო თავისუფლად შესვლა. სხვა თავმჯდომარეთა მსგავსად არავინ დარაჯობდა ცერბერივით მის კარებს, იჯდა თავის სავარძელში ოლიმპიურად და თავისი ოდნავ მოხუჭული თვალებით სითბოსა და სიკეთეს ასხივებდა. შეჰქოდა ხშირ-ხშირად ახალგაზრდა პოეტებს თავის კაბინეტში და ეტყოდა:

— აბა, რომელიც კარგი ლექსი გაქვს ის გვითხარი.

გახარებული ახალგაზრდაც რიხიანად კითხულობდა თავის „კარგ“ ლექსს.

ვისაც უკვე იცნობდა, იმას უფრო ახლობლურ-შინაურულად მოიკითხავდა.

— აბა, ახალი წუხელ რა დაწერე?

გაზაფხულიდან იწყებოდა „მივლინებაში“ წასვლა მწერალთა კავშირის წევრებისათვის. ზოგს ერთი თვით, ზოგს სამით და ყველაზე დიდებს ნახევარი წლითაც კი. კარგ ფულს იძლეოდნენ მივლინებებწი. მწერალი მიღიოდა იმ მხარეს და რაიონში, რომელზედაც აპირებდა ლექსის, მოთხოვდის, პირის თუ რომანის დაწერას.

ახალგაზრდობას, თანაც არაწევრს არ აძლევდნენ ამ მივლინებას. მაგრამ თუ როგორდაც მიიღებდა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

უკვე რაღაცნაირად ნიშნავდა მწერლად აღიარებას.

მე, ჩემს თავში დარწმუნებული, რომ კარგად ვწერდი, ცოტა წავიამპარტავნებდი და შეურაცხყოფად მიმაჩნდა იმდენ ჯგროში პიონერივით მეთქვა ლექსი, მაგრამ ერთხელ

მაინც გავრისებე და ვთქვი. ვიგრძენი, რომ მოეწონა, ბატონ გიორგის. პოეტის სახელის მაძიებლებით სავსე, კაბინეტს თვალი მოავლო და იკითხა:

— აბა, რას იტყვით, ერგება ამას მივლინება?

თანატოლები პატივს მცემდნენ, ვუყვარდი კიდეც და ერთხმად შესძახეს:

ერგება, ერგება!

ერგება და შერიგება კიდეც, რადგან ეს ლექსი წყლიანი კი არა „წვნიანია“ — მივცეთ ერთი თვე.

და ეს იყო ჩემი პირველი მივლინება.

ელიზბარ მაისურაძე ჰყავდა მდივან-თანაშემწედ. მე და ელიზბარი ვმეგობრობდით და ერთხელ გამომიტყდა:

— სამთვიანი მივლინება დავირტყი ქართლში წასასვლელად.

ვკითხე მე: მე არ მომცემენ-მეთქი?

— ამათ პროზა უჭირთ, დაწერე განცხადება, რომ რომანზე მუშაობდი და მოგცემენ.

მე წერა კი მეხერხებოდა, მაგრამ რაც მწერლობაში არ შედიოდა, იმის დაწერა მესიკვდილებოდა. — განსაკუთრებით ყოველ-გვარი განცხადებისა. ამის გამო კინალამ ხელი ავიღე სამთვიანი მივლინების თხოვნაზე. მერე მაინც სულმა წამძლია და ვკითხე:

— რა შინაარსისა უნდა იყოს?

— უნდა ჩასწერო რომ ცხოვრებას არ იცნობ და მივლინებაში გაგაგზავნიან.

მეც რა მენაღვლებოდა, რა ეწერებოდა განცხადებაში, ჩემთვის მთავარი მივლინება იყო. დავწერე და დაუუწყე ლოდინი, როდის დამიძახებდნენ: — „მობრძანდი, შენი მივლინება წაიღეო“.

ველოდე, ველოდე და მთელი წელი ისე გავიდა, ჩემთვის ყურიც არ შეუბერტყდათ.

მერე, წლის ბოლოს მწერლებით გაჭედილ კლუბში, რაღაც თათბირსა თუ პლენუმზე, გიორგი ლეონიძემ, სხვათა შორის, თქვა:

— ერთმა ახალგაზრდამ ასეთი განცხადება დამიწერა: „ცხოვრებას არ ვიცნობ და მივლინებაში გამგზავნეო“.

დარბაზი ახარხარდა.

— აბა, იმ მამაცხონებულისგან რა მწერალი უნდა გამოვიდეს, რომელიც ცხოვრებას არ იცნობს და მწერლობას აპირებს?

მაშინდა მივხვდი, რატომ არ მომცეს იმ წელს მივლინება.

ამის შემდეგ აღარც რაიმე მითხოვნია მისთვის...

\* \* \*

„ყაბახის“ პირველი წიგნის გამოქვეყნების შემდეგ, მე და გიორგი ლეონიძე როგორ-დაც ერთად მოვხვდით მწერალთა კავშირის ფოიეში მეორე სართულზე.

სერგი ჭილაიამ თავისი სამდივნოს კარი გამოაღო და ჩვენს დანახვაზე შეჩერდა.

გიორგი ლეონიძემ თავისებურად დაიბუზუნა:

— ჰა, როგორა ხარ გუნებაზე, — ხო გაჯობეთ იმერლებს კახელებმა: მე მოთხოვობებში და ამან რომანებში! (მაშინ ახალი გამოცემული ჰქონდა „ნატვრის ხე“) — აი, შეხედე ფოიეში მდგარ ლომ-ვეფხვის ფიტულებზე მიუთითა, — ერთი მე ვარ და ერთიც ეს არის!..

\* \* \*

ერთხელ, ყვარელში, „ილიაობას“, გიორგი ლეონიძის პირისპირ მოვხვდი სუფრაზე, წინ მრგვლად მოხარშული დედალი იდო, რომელიდაც მწერალმა მითხრა: „რას უყურებ, დაჭერი, საჭვრეტად კი არა საკვნეტად არი მოტანილიო“.

ავიღე ჩლუნგი დანა დავუწყე ქათამს ღიჯანა.

გიორგიმ შემნიშნა და აღშფოთდა:

— დედლის დაჭრა ვის გაუგია? — დედალი უნდა დაიხლიჩოს.

გამომართვა ხელიდან საცოდავი ქათამი, მიხლიჩ-მოხლიჩა და ნაგლეჯები იმავე თევზე დაყარა...

\* \* \*

ბატონ გიორგის ძალიან უყვარდა მთიელები, განსაკუთრებით ფშაველ-ხევსურნი.

ერთხელ ვუთხარი: „ერთი ძმაკაცი ხევსური მყავს, რომელიც ლექსებს წერს-მეთქი“. „მომიყვანეო“.

დავით გოგოჭური მივუყვანე.



გოგლა ლეონიძე ცეკვავს ვაჟაობაზე. ჩარგალი 1961 წელი.

გიორგიმ ახედ-დახედა ვეება ვაჟკაცს, რომლის ნაღდ ხევსურობასაც სანჯლით შუაზე გაჩეხილი კაი მოზრდილი ცხვირიც ადასტურებდა. პირდაპირ კითხა:

— აბა, მითხარი, რას ეტანები?

დავითისთვის ასეთი კითხვა მოულოდნელი იყო და დაიბნა.

— როგორ თუ რას ვეტანები?

— აი, მაგალითად... მგელი ცხვარს ეტანება, შენ რას ეტანები ლექსსა, მოთხრობას, კრიტიკას თუ რასა?

ახლა კი აშკარა იყო, რასაც ეკითხებოდნენ, მას იუმორი არ აკლდა და თანაც ძალიან ამაყიც გახლდათ.

— მე, მართალია, მგელი არა ვარ, მაგრამ ცხვარსაც და ძროხასაც მგელზე არანაკლებ ვეტანები, განსაკუთრებით თუ ცხელ-ცხელა-დაც არ ამოყრილი ქვაბიდან, რაც შეეხება მწერლობას, ცოტ-ცოტას ყველაფერს ვეტანები, გარდა პიესებისა.

— კარგი, ახლა აქ ძალიან ბევრი ხალხია, მერე მოდი და მე და შენ ცალკე დავილაპარა-კოთ, — აშკარად მოეწონა გიორგის ხევსური.

მაგრამ, ნურას უკაცრავად, სანამ „მნათობში“ ორი მშვენიერი მოთხრობა არ გამოაქვეყნა, დავით გოგოჭურს გიორგი ლეონიძესთან ფეხი არ მიუდგამს...

ოთარ ხუციშვილი

## ქართული სიზყვის ფალავანი

(გიორგი ლეონიძის გახსენება)

გიორგი ლეონიძე, როგორც ახლა ჩემი მეგობარი პოეტი სილოვან ნარიმანიძე იტყვის ხოლმე, ქართული სიტყვის ფალავანი იყო. მართლაც წნორივით პქონდა ფესვები გადგმული მშობლიურ მიწაში მასაც და პოეზიასაც.

დღესაც თვალთაგან არ მცილდება იმ წუთების ხიბლი, რომელიც სასიქადულო პოეტთან პირველი შეხვედრისას განვიცადე.

კარგად მახსოვს 1955 წლის (მაშინ სტუდენტი ვიყავი) გაზაფხულის ის დღე.

მაისის ცხრათვალა მზე დასთამაშებდა გომბორის კალთაზე შეყუულ ერეკლეს ქალაქს. ისტორიული ჭადრის ქვეშ უამრავ თელაველს მოეყარა თავი, ირგვლივ შემოკრებილი ხალხის შუაგულში გიორგი ლეონიძე ჩამდგარიყო და მისთვის ჩვეული სილალით ენამზეობდა. თავიანთი ქედუხრელობითა და მხარგაშლილობით საოცრად პგავდნენ საუკუნეთა ქარტეხილებგამოვლილი რგაასწლოვანი ჭადარი და ქართული სიტკვაკაზმულობის სწორუპოვარი ოსტატი.

რამდენიმე წლის შემდეგ დედაქალაქში შესაძლებლობა მომეცა სასიქადულო პოეტს პირადად გავცნობოდი. ეს მოხდა იმდროინდელ სარაიონთაშორისო გაზეთ „სამგორის“ რედაქციაში (მას ცნობილი პოეტი სილოვან ნარიმანიძე რედაქტორობდა), სადაც მე წლების მანძილზე ვმუშაობდი.

სწორედ სილოვან ნარიმანიძის წყალობით, რომელთანაც გიორგი ლეონიძეს შემოქმედებითი მმობა და მეგობრობა აკავშირებდა, მგოსანი ჩვენს რედაქციას ხშირად სტუმრობდა.

ამოირბენდა ჭარმაგი პოეტი კიბეებს (კიბეზე ნელა ასვლა არ სჩვეოდა, აირბენდა რამდენიმე საფეხურს. გაჩერდებოდა, დაგელაპარაკებოდა და ისევ გარბოდა, ეტყობა, ამაშიც იყო რაღაც პოეტური, მხოლოდ გოგლასთვის დამახასიათებელი) შემოხსნიდა კარს და თვითონ მზითა და სიყვარულით

სავსე ჩვენც მამულიშვილური და კაცომყვრული იდეებით დაგვმოძღვრავდა.

— გამარჯობათ „ლოჭინოტაიმსელებო“ (ჩვენს გაზეთს ხუმრობით „ლოჭინოტაიმსეს“

— ეძახდა) — დაიბუხუნებდა პოეტი, მერე სათითაოდ ხელს ჩამოგვართმევდა, შინაურულად მოგვიკითხავდა, ნაწერ-ნაღვაწს შეგვიქებდა და იქვე ჩამოჯდებოდა, ყოჩად სილოვან, ის რა ტალიკ-ტალიკი (ის სიტყვა განსაკუთრებით უყვარდა) გყავსო! — ფრთებს ასხავდა რედაქტორს.

ჩვენ, პატარა რედაქციის „წვრილფეხა“ უურნალისტები და მწერლები (იმუამად რედაქციაში მუშაობდნენ მწერლები გიორგი პაპუაშვილი, სოლომონ ლემურხანაშვილი, პენრი კობიძე, პოეტები: გივი მნელაძე, ოთარ შალამბერიძე, ნუგზარ წამტურია, ნოდარ ნარსია, უშანგი ბედია და სხვები) გაკვირვებულით ვიყავით და აღფრთოვანებულიც — ამხელა პოეტი და მოღვაწე ასე ძმაკაცურად რომ გველაპარაკებოდა.

არადა, გოგლას ხელწერა სწორედაც ეს იყო — მას ყოველთვის უბრალო ხალხისკენ მიუწევდა გული, სწორედ მათში პოულობდა თავისი უბადლო პოეზიის მადლსა და თავწყაროს.

სხვათაშორის, თუ დავპატიშებდით, არც პურ-მარილზე უყვარდა „ცხვირის აბზუება“, წამოგვყევებოდა, თვითონაც მამაპაპურად მოილხენდა და ჩვენც ზეციურ მადლსა გვწევდა.

მახსოვს, ერთხელ გიორგი პაპუაშვილმა, რომელიც გოგლასთან ძალზე შინაურულად იყო (კაკაბეთელობით სარგებლობდა), სახლში მიგვიპატიუა. თავანკარა კახურმა და შემწვარმა ინდაურმა (პოეტს ინდაური გამორჩეულად უყვარდა) გიორგი ლეონიძე ისე გაახალისა, სადღეგრძელოებში სულ ვარსკვლავებს წყვეტდა. ყურებდაცქვეტილნი

ვუსმენდით, გვინდოდა ყველა ყველა სიტყვა ჩაგვეყლაპა და დაგვემახსოვრებინა. ასეთ სიტუაციაში თავი ვეღარ შევიკავე, ეს რა ღვთისნიერი თამადა გვყავს-მეთქი, გადავულაპარაკე გვერდით მჯდომ ჰენრი კობიძეს.

გიორგი ლეონიძემ იფიქრა, არ მისმენენ და დაგვტუქსა:

— თუ ჩემი თამაღობა არ მოგწონთ, მოღით და თქვენ ითამადეთო. — ესა თქვა, სადღე-გრძელო შეწყვიტა და სკამზე მოსხლეტით დაეშვა.

ჩვენ პირკატა გვეცა, სასწრაფოდ წამოვხტით და მოვუბოლიშეთ. სიტყვა დამთავრებულიც არ გვქონდა, რომ პოეტი კვლავ ფეხზე იდგა. დასხელითო, დაგვამშვიდა, მე ის კაცი არა ვარ, ვინც თამაღობას ასე იოლად შეელევაო, თქვა და დამაჯერებლობისთვის თავის მოთხოვის გმირი ღვინჯუა დაიმოწმა, რომელიც დავიწყებული საყოვლადწმინდოს სათქმელად სამი კილომეტრის მანძილიდან მობრუნდა.

...სიცოცხლის ბოლო პერიოდში პოეტი უკვალოდ დაკარგული, ჩვენი გულუბრყვილო გენისი მხატვრის — ფიროსმანის ბედით დაინტერესდა. მაშინდელ „ლოჭინოტაიმსე-ლებს“ გვახსოვს, როგორი სიყვარულითა და თავგამოღებით დაეძებდა გიორგი ლეონიძე ნიკალას ნაკვალევს, მის საფლავს, რომელსაც ვერა და ვერ მიაგნო, ყველაზე საბედისწერო კი ის იყო, რომ როცა ყველა ცნობას თავი მოუყარა და მათ საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანას აპირებდა, მთელი ეს მოკვლეული მასალები დაუკარგეს. ძალზე შეწუხებული იყო, არა იმდენად დაკარგული მასალების, რამდენადაც ნიკალას ბედის გამო — ის ხალხი მიღის, ვისაც მხატვრის შესახებ ჯერ კიდევ რაღაც ახსოვს, მერე კი შთამომავლობა ვისგან რაღას შეიტყობსო.

აკი ვეღარც რა შევიტყვეთ.

სულ-ხორც-მაღლიანი იყო გიორგი ლეონიძე და მაღლიანი მემკვიდრეობაც დაუტოვა შთამომავლობას.

თბილისი, 2002 წლის მარტი.

## უშანგ სახლობეუციშვილი

### გიორგი ლეონიძე ლატვიურად

სამი საუკუნე მაინც იქნება, რაც ლატ-ვიელებმა და ქართველებმა ერთმანეთის არსებობა გაიგეს. ქართულ საისტორიო წყაროებში ლატვიის დედაქალაქი რიგა 1711 წელს იხსენიება, როცა ქართველი ბატონიშვილი, ალექსანდრე ბაგრატიონი, შვედების ტყვევებიდან ბრუნდებოდა და გზაში, რიგის მახლობლად გარდაიცვალა. დავით და ბაგრატ ბატონიშვილები თავიანთ შრომებში, რუსეთისა და საფრანგეთის ჯარების ბრძოლის ადგილებს რომ აღწერენ, ხშირად ასახელებენ ტოპონიმებს ლიფლანდიას, კურლანდიას და მათ მთავარ ქალაქებს – ოიგასა და მიტავას /დღევანდელ იელგავას/.

ჩვენი დიდი მეცნიერი, პირველი ქართველი აკადემიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონი ევროპაში მოგზაურობისას აღფრთოვანებით წერს რიგისა და მიტავის ქუჩების სილამაზეზე.

როცა, 1832 წელს, ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულება გამჟღავნდა და აქტიური მონაწილენი მკაცრად დასაჯეს. ჩვენი სასიქადულო პოეტი გრიგოლ ორბელიანი დიდი ხნით /1834–38 წწ./ ბალტიისპირეთში გადაასახლეს. რიგიდან და ლატვიის სხვა ქალაქებიდან გამოგზავნილ წერილებში, რომლის აღრესატებიც არიან მარიამ დედოფალი, ზაქარია ორბელიანი /პოეტის ძმა/, სალომე ჭავჭავაძე /აღ. ჭავჭავაძის მეუღლე/ და სხვები, მკითხველი ბევრ საინტერესო ცნობას ამოიკითხავს ლატვიის დაბა-ქალაქებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრებაზე.

საქართველოს, ქართველების შესახებ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ქვეწლება ლატვიაში გამომავალ გერმანულ და ლატვიურ პრესაში საინტერესო წერილები. XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისში კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ლატვიელი მწერლები, ერნესტ ბირზნიეკ-უპიტი პავულ რუთზე, იან ეზერინი... რომელთა შემოქმედებაშიც აისახა საქართველოს ბუნება, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებანი,

თავგამოდებული ბრძოლა რუსიფიკატორების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ქართული ენა სკოლებიდან გამოედევნათ.

XX საუკუნის გარიურაუზე გამოჩენილმა ლატვიელმა მწერალმა ანდერი უპიტმა და რუდოლფ ეგლემ შეადგინეს მსოფლიო მწერლობის ექსტომიანი ენციკლოპედია, რომელშიც ვრცლადა განხილული ქართული ლიტერატურა მეხოტბეებიდან და რუსთაველიდან მოყოლებული მეოცე საუკუნის დასაწყისამდე. ეს ენციკლოპედია უფრო შევსებული 1931 წელსაც გამოიცა. ნარკვევის ავტორი, რომელიც ლატვიელ მკითხველს ქართულ მწერლობაზე მოუთხრობს თავად ანდრეი უპიტი გახლავთ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბევრი ლატვიელი მწერალი ეწვია საქართველოს. მათ შემოქმედებაში გაჩნდა ახალ-ახალი სახეები და მოტივები, რამაც ლატვიელ მკითხველის უდიდესი ინტერესი გამოიწვია. პოეტი იან პლაუდი მთელ ციკლს ქმნის საქართველოზე, მის ლამაზ ბუნებასა და გამრჯე ადამიანებზე. ლატვიაში დაბრუნებული პოეტი თავის სტუდენტების, რომლებიც შემდეგში ცნობილი მწერლები ხდებიან, აღფრთოვანებული უზიარებს იმ შთაბეჭდილებებს, საქართველოში რომ მიუღია. როგორც პოეტი ანდრივეიანი იგონებს, ეს იყო დაუგეგმავი ლექციები, მთელი სემესტრის მანძილზე რომ უკითხავდათ ქართველთა სიყვარულით აღტაცებული ლექტორი. ამ ლექციებმა კი მალევე დიდი ნაყოფი გამოიღო.

ქართული მწერლობითა და საქართველოთი დაინტერესებული ახალგაზრდები სამხრეთში მოემგზავრებიან და აი, უკვე ორმოცდაათიან წლებში ლატვიელი მკითხველი მშობლიურ ენაზე ეცნობა ქართულ კლასიკურ და თანამედროვე მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ ქართული ენის მცოდნე ლატვიელი მთარგმნელები, ქართული პროზაული თუ პოეტური ნაწარმოებები რუსული გამოცემებიდან თარგმნეს ლატვიურად. იმ ადამიანებს, ვისაც კი წვლილი

მიუძღვის ქართული მწერლობის ლატვიურად ამეტყველებაში, ბევრს ახლოს ვიცნობ. მათ შორის დავასახელებ პოეტებს ანდრი ვეინასა და არვის სკალბეს („ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელს). სწორედ ანდრი ვეინისგან მომისმენია ასეთი ფრაზა: როცა ქართულ მწერლობას სათავეში ედგა გიორგი ლეონიძე, ქართული ლიტერატურა სულ უფრო იფურჩქნებოდა, ეს დიდი პოეტი ყოველნაირად ცდილობდა, ამ მშენებელი თაიგულის სურნელი სხვებსაც ეყნოსათ. გიორგი ლეონიძეს არასოდეს შემოუთავაზებია თავისი ნაწარმოები, სათარგმნელად სხვათა შემოქმედებას გვისახელებდა, განსაკუთრებით კი ქართველ კლასიკოსთა თხზულებებს. ბელნრიერია ერი და მისი მწერლობა კი წელგამართული, როცა ასეთი კაცი ეყოლება სათავეშიო.

ლეონიძის პოემები: „ბერშოულა“ და „სამგორი“ განა თვითონ ავტორმა არ შემოგთავაზათ სათარგმნელად? – შევეპარე კითხვა. „არა, ჩვენ თვითონ შევარჩიეთ, ამ ორმა როცა ეს გაიგო, პოემები უკვე თარგმნილი გვქონდა“.

დიახ, თამამად შემიძლია ვთქვათ, რომ ქართული მხატვრული სიტყვის ლატვიელ მკითხველთან მიტანაში ჩვენს დიდ მგოსანს, გიორგი ლეონიძეს, ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის. ქართულმა ლიტერატურამ 50–იან წლებში ისეთი დაინტერესება გამოიწვია ლატვიელ მკითხველში, რომ უკვე გაჩნდა სურვილი ქართული ენის შესწავლისა. რათა უშუალოდ დედნიდან ეთარგმნათ ჩვენი კლასიკური თუ თანამედროვე მწერლობის საუკუთესო ნიმუშები. ამის დასტურად ლატვიის სახალხო პოეტის იან სუდრაბკალნის სიტყვებიც კმარა: „თუკი პუშკინის მთარგმნელმა აუცილებლად უნდა იცოდეს რუსული ენა, განა ბარათაშვილისა და ჩიქოვანის მთარგმნელს არ სჭირდება ქართული ენის ცოდნა?“

სუდრაბკალნის ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. 1962 წელს, ლატვიისა და თბილისის უნივერსიტეტმა, ლატვიური და ქართული ენების, ლატვიური და ქართული

ლიტერატურების ისტორიის შესასწავლად სტუდენტები გაცვალეს. ეს კი პირველი ექსპერიმენტი იყო მთელ საბჭოთა იმპერიაში. ამ ექსპერიმენტმა სულ მაღლე ნაყოფი გამოიღო. უკვე 1967 წელს ლატვიურად გამოდის გიორგი ლეონიძის ნოველების კრებული „ნატვრის ხე“, რომელიც თარგმნეს თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილებმა მაია გუსარებ და მარგა ნიერობენ.

„ნატვრის ხე“, ბელნრიერი წიგნი გამოდგა. ჩვენმა ლატვიელმა ქართველოლოგებმა მ. გუსარებ და გ. ნიერობები ლატვიელ მკითხველს გააცნეს ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები.

მ. გუსარებ შეადგინა და თარგმნა ქართული ნოველების კრებული, რომელშიც შესულია ოცი მწერლის ნაწარმოებები, მათ შორის გიორგი ლეონიძის ნოველა „ფუფალა“.

1969 წელს ლატვიელმა მკითხველმა მიიღო ეწ. ქართული პოეზიის მცირე ანთოლოგია საერთო სათაურით „წეროს თოვლი“. კრებული შეადგინეს ცნობილმა პოეტებმა იან პეტერმა და ოლგა ლისოვსკამ. აქ შეტანილია მეოცე საუკუნის ოცი ცნობილი პოეტის ლექსები, მათ შორისაა გიორგი ლეონიძის ხუთი ლექსი: „წეროს თოვლი“, „ოლე“, „ქართული ენა“, „მყვირალობა“ და „სურვილი“. მართალია, ეს ლექსები პწყარედიდანაა ლატვიურად თარგმნილი /მთარგმნელი ვიტაუტ ლუდენი/, მაგრამ საოცრად ლალად იკითხება და დელის სურნელიც შენარჩუნებული აქვს.

დიახ, როგორც გითხარით, გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“, ფეხბედნიერი მეკვლე გამოდგა, ლატვიურად უკვე მრავალი ქართველი მწერლის ნაწარმოებთან პერსონაჟები ამეტყველდნენ, და ამეტყველდნენ ისე გამართულად, რომ ჩრდილოელ მკითხველს, რომლის ყურიც უფრო იყო სკანდინავიელ პერსონაჟთა საუბარს შეჩვეული, ქართველთა საუბარი აღარ ეხამუშებოდა, რადგან მათ გულისნადებს, ფიქრსა და მისწრაფებას უკვე ადვილად იგებს.

## „ერთხელ საქართველოში“...

### რადიოგადაცემა

დიდი გოგლას დაბადებიდან ას ნლისთავს საქართველოს რადიოს ლიტერატურულმა რედაქციამ არაერთი და ორი გადაცემა უძღვნა, მათ შორის, ალბათ, გამორჩევით საყურადღებოა რადიოპროგრამის „ენაი შემკული და კურთხეული“ რუბრიკა „ერთხელ საქართველოში“, სადაც პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი და მწერალი თამაზ ხმალაძე ერთ საინტერესო ფაქტს იხსენებენ და აანალიზებენ გიორგი ლეონიძის ცხოვრებიდან.

**გთავაზობთ გადაცემის სრულ ტექსტს.**

**თ. ხ.** პატივცემულო რადიომსმენელებო, 27 დეკემბერს შესრულდა 100 წელი XX საუკუნის ერთ-ერთი უთვალსაჩინოები ქართველი მოღვაწის, დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის დაბადებიდან. მართალია, საიუბილეო კომისიის გადაწყვეტილებით ამ თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მომავალი წლის მაისში გაიმართება, მაგრამ ჩვენ მაინც კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი მისი ცხოვრების არცთუ ხანგრძლივ, მაგრამ უაღრესად რთულ და შინაარსი ან გზას. დიახ, კიდევ ერთხელ გადავავლე მეც თვალი ჩვენი გადაცემის თანავტორთან, პროფესორ გიორგი გოგოლაშვილთან ერთად და კიდევ ერთხელ გავიოცეთ და კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა დიდი ქართველის ცხოვრების ერთმა ეპიზოდმა.

**გ. ბ.** დაგვაფიქრა იმან, რაც მოხდა ერთხელ საქართველოში და რამაც ჭარმაგ ღვაწლმოსილ გიორგი ლეონიძეს მწარედ ატკინა გული. რისთვის და რატომ ხდებოდა და ხდება ასეთი რამ. რატომ არ ვუფრთხილდებით იმას, რაც ასე უშურველად გვიბოძა ღმერთმა – დიდი კაცები; ვისა აქვს უფლება და რატომ ასეთი დაუდევრობისა?..

**თ. ხ.** დიახ, სჯობს, მაინც დაუდევრობა დავარქვათ იმას, ვიღრე წინასწარ გამიზნული ავი ქმედება. მაშ ასე, ერთხელ საქართველოში, 1959 წელს, გადაწყდა, გიორგი ლეონიძეს დისერტაციის დაუცველად მინიჭებოდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის

ხარისხი განსაკუთრებული დამსახურებისათვის“.

**თ. ხ.** და მოხდა ის, რასაც ალბათ არავინ იფიქრებდა: თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ გიორგი ლეონიძის დოქტორობა არ დაამტკიცა. თუმცა ეს ფაქტი უფრო დეტალურად აღვადგინოთ.

**გ. ბ.** პროფესორ ივანე ლოლაშვილის მოგონება ჩავიკითხოთ გიორგი ლეონიძეს. „ამ დიდ მეცნიერსა და პოეტს, რომელმაც მოიპოვა პოეტ-აკადემიკოსისა და სახალხო პოეტის წოდებები, აგრეთვე სახელმწიფო პრემიის ლაურეტობა, არ ჰქონდა სამეცნიერო ხარისხი...“

**თ. ხ.** ზოგი რამ დავაკონკრეტოთ: გიორგი ლეონიძის სახელმწიფო პრემიები მიენიჭა 1941 და 1950 წლებში; 1944 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია; 1959 წელს მიენიჭა სახალხო პოეტის წოდება, არ ჰქონდა სამეცნიერო ხარისხი...“

**გ. ბ.** დაუბრუნდეთ ივანე ლოლაშვილის მოგონებას: იმას ვამბობდით, სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონდა და „უწინ მას არც არასდროს უზრუნია ამაზე – განაგრძობს მოგონების ავტორი, მაგრამ როდესაც 1957 წლიდან სათავეში ჩაუდგა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. სამეცნიერო საბჭომ 1959 წელს კორნელი კეკელიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რეკომენდაციებით აღმდაშუამდგომლობა უნივერსიტეტის ფილოლო-

გიის ფაქულტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რათა გიორგი ლეონიძეს დაუცველად **Honoris causa** მინიჭებოდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი“.

**თ. ხ.** მივაქციოთ ყურადღება: ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს მიაჩნია, რომ გიორგი ლეონიძე ამას იმსახურებს.

**ბ. ბ.** პატრიარქი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე და მისი ერთგული მოწაფე აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე რეკომენდაციას აძლევს, რათა მიენიჭოს დოქტორის ხარისხი და, რა თქმა უნდა, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაქულტეტის სამეცნიერო საბჭო ამ რეკომენდაციის საფუძველზე ანიჭებს გიორგი ლეონიძეს დოქტორის ხარისხს.

**თ. ხ.** განვაგრძოთ ივანე ლოლაშვილის მოგონების კითხვა: „ფაქულტეტის საბჭოზე საკითხი დადებითად გადაწყდა, დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცა უნივერსიტეტის დიდ საბჭოს. გოგლა გახარებული იყო და მადლობას უთვლიდა ყველას, ვინც კი მისი მეცნიერული დამსახურება ჯეროვნად დააფასა“.

**ბ. ბ.** გავხაზოთ, საქმე ეხება გიორგი ლეონიძის მეცნიერული დამსახურების ჯეროვნად დაფასებას.

**თ. ხ.** თუ რა იყო ეს დამსახურება, ამის თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

**ბ. ბ.** აქ კი იმ დროს (1959 წელია) არსებული წესის თაობაზე გავამახვილებთ ყურადღებას: ხარისხს ანიჭებს ფაქულტეტის სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან კათედრის გამგები და ფაქულტეტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები. ხოლო ამ გადაწყვეტილებას აღასტურებს უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭო, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია და წარმომადგენლობითი უნივერსიტეტის ყველა ფაქულტეტია მასში წარმოდგენილი.

**თ. ხ.** გიორგი ლეონიძე კმაყოფილია და ბედნიერი, რომ ფილოლოგიის გრანდებმა აღიარეს მისი მეცნიერული დამსახურება და მიანიჭეს დოქტორის ხარისხი.

**ბ. ბ.** ისიც გავიხსენოთ, ვინ წყვეტს ამ საკითხს: კ. კეკელიძე, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოვლურია, ს. ყაუხჩიშვილი, ი. აბულაძე, დ. მგელაძე და სხვები.

**თ. ხ.** ამის შემდეგ, ერთი შეხედვით, რჩებოდა ფორმალური საკითხი: ფაქულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება უნდა დაემტკიცებინა დიდ სამეცნიერო საბჭოს.

**ბ. ბ.** ფორმარული იმდენად, რამდენადც ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭებისას ფილოლოგთა აზრი უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი. მით უმეტეს, როგორ ვთქვით, იმ ფილოლოგებისა, რომელთა უმაღლესი პროფესიონალიზმი და უსყიდველი მსაჯულობა საეჭვო არავისთვის უნდა ყოფილიყო...

**თ. ხ.** კვლავ დავუბრუნდეთ მოგონებას: „სწორედ იმ დღეს, როდესაც გოგლას დოქტორობის დამტკიცება უნდა მომხდარიყო უნივერსიტეტის დიდ საბჭოზე, მე მოსკოვს მივემგზავრებოდი – განაგრძოს ივანე ლოლაშვილი, – და წინა დღით გოგლამ მთხოვა, რომ საბუთები BAK-ში წამელო და კანცელარიისათვის ჩამებარებინა. მეორე დღეს, დილის 10 საათისთვის, მან დამიბარა კიდეც უნივერსიტეტის წინ, სადაც თავს იყრიდნენ ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები ბოლნისში გასამგზავრებლად (იქ სამეცნიერო სესია უნდა ჩატარებულიყო). მე რომ მივედი კ. კეკელიძე და ა. შანიძე მანქანაში სხდებოდნენ, გოგლამ დამინახა თუ არა, განზე გამიხმო. გადმომცა შალვა სააკაძის დეპეშა, რომელშიც გიორგი ლომიძის სახელზე ეწერა რუსულად, რომ „ლეონიძის საკითხი გადაწყდა დადებითად. დოკუმენტებს ორშაბათს ჩამოიტანს.“

ლოლაშვილი“.

ამავე დროს მომცა სახელდახელოდ დაწერილი ბარათი.

**ბ. ბ.** თუ გიორგი ლეონიძეს მანამდე არასოდეს უზრუნია ხარისხებისათვის, ახლა როცა სხვამ იზრუნა ამის თაობაზე და ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდა. გიორგი ლეონიძემ გადაწყვიტა, ამ ეტაპზე

ჩარეულიყო, რომ მოსკოვში უმაღლეს საატესტაციო კომისიას შემდგომისთვის არ გადაედო ეს საქმე (მოგეხსენებათ, უმაღლესი საატესტაციო კომისია საოცარი ბიოკრატიული აპარატი იყო). ამიტომაც აცნობს ამ ამბავს მოსკოვში მოღვაწე ცნობილ ქართველ წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ გიორგი ლომიძეს. ივანე ლოლაშვილისთვის წერილიც მიუცია, მოსკოვში გიორგი ლომიძისათვის გადასაცემი.

**თ. ხ. აი.**, ის წერილიც: „ძმაო გიორგი, სალამი და გამარჯვება! გაიგებდი ჩემს ამ-ბავს დოქტორობის შესახებ. თუ დამიჩქარებ ისე, რომ შემოღვიმისათვის არ გადავიდეს, ძალიან მაღლობელი დაგრჩები. შენი იმედი მაქვს ძალზე, როგორც ჩემი მეგობრის და ჩვენი წარმომადგენლის.

ერთი სიტყვით ვიდრე „ვაკი“ შვებულებაში წავა, გამიკეთე, თუ ძმა ხარ.

შენი გ. ლეონიძე“.

**ბ. ბ. ორშაბათია.** ტრადიციულად უნივერსიტეტში დიდი საბჭოს სხდომის დღე. გიორგი ლეონიძე სხვებთან ერთად ბოლნისში მიემგზავრება სამეცნიერო სესიაზე, ივანე ლოლაშვილს დაავალა საბჭოს სხდომის შემდეგ საბუთების გამოტანა და მოსკოვში წაღება.

**თ. ხ. „მე შევპირდი, რომ უნივერსიტეტის საბჭოს სხდომის დამთავრების უმაღლე მზა დოკუმენტს წავიღებდი მოსკოვში და ხსენებულ ბარათსაც გიორგი ლომიძეს გადავცემლი, – იგონებს ივანე ლოლაშვილი, – გოგლა ჩაჯდა მანქანაში და ბოლნისისაკენ დამშვიდებული გაემგზავრა“.**

**ბ. ბ. მოვლენები** სხვაგვარად განვითარდა. ისევ ნაწყვეტი ხსენებული მოგონებიდან: „ორი საათისთვის უნივერსიტეტში მივედი დოკუმენტების მისაღებად, მაგრამ დამხვდა უცნაური ამბავი: საბჭომ გიორგი ლეონიძის დოქტორობა არ დაამტკიცა“.

**თ. ხ. მერე თითქოს საქმე გამოსწორდა:** „ფაქულტეტის სამეცნიერო საბჭომ უკანონოდ ჩავარდნილი საკითხი ხელახლა დააყენა უნივერსიტეტის დიდ საბჭოზე; შედგა მეორედ

კენჭისყრა და გოგლას ხმათა უმრავლესობით მიენიჭა ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, რაც BAK-მა დაადასტურა კიდეც, – წერს ი. ლოლაშვილი და განაგრძობს, – მაგრამ გოგლა მაინც გულნატკენი იყო სიკვდილამდე იმ „გაშვებით“, რომელიც ყველას მოულოდნელად მოხდაო“.

**ბ. ბ. რა მოხდა, რატომ ატკინეს ასე მწარედ გული „ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლულ პოეტს“. გვახსოვს, რა თქმა უნდა, ეს მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებია. ეს უსამართლო გადაწყვეტილება, აღვილი წარმოსადგენია, რა მძიმე გასააზრებელი იქნება იმ კაცისათვის, რომელსაც თანამედროვენი ასე ახასიათებენ: „გოგლა ამაყი იყო და თავისი სახელის აუგად მოხსენებას ვერ იტანდა. ყველაფერს ბრდდვნიდა, თუ ვინმე მას არაობიერებულ მოეპყრობოდა, ან თუ ვინმე გარეშეს უსამართლოდ დაჩაგრავდა. თუ მოწინააღმდეგე ძლიერი ჰყავდა, უკან არ იხევდა; პირიქით, კამეჩის ღონეს გამოიჩენდა და იბრძოდა გამარჯვებამდე, დამარცხება რა იყო, არ იცოდა...“ (ი. ლოლაშვილი)**

**თ. ხ. მაგრამ ამჯერად ცხადია მისი ბუნების კაცი თავისი სამეცნიერო ხარისხისთვის ვერ იბრძოლებდა, მეკუთვნის და პატივი მომავეთო, არ იტყოდა, სხვისთვის უფრო იბრძოდა.**

**ბ. ბ. და სხვამ იბრძოლა, როგორც ჩანს, სიმართლის გასატანად, მაგრამ რატომ გახდა ეს ბრძოლა საჭირო? რატომ ხდებოდა ასე?**

**თ. ხ. 1959 წელია.** თითქმის 45 წელია გიორგი ლეონიძე სამოღვაწეო ასპარეზზეა. რამდენიმე ათეული წელია ქართული პოეზიის „მოწინავე დროშა“ უჭირავს და აურაცხელ სიკეთეს თესავს სიტყვით თუ საქმით. რა ვიფიქროთ, არ იცოდნენ საბჭოს წევრებმა, ვის „აშავებდნენ“?

**ბ. ბ. მე შემთხვევით არ ჩამომითვლია წელან, თუ ვინ შედიოდა ფაქულტეტის სამეცნიერო საბჭოში. ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლების, ქართული ფილოლოგის მესაძირკვლეთა გადაწყვეტილებას ვინ და რატომ აყენებს ეჭვებეშ?**

**თ. ხ.** იქნებ ფიქრობენ, რომ გიორგი ლეონიძე დიდი პოეტია, მაგრამ მეცნიერება სხვააო...

**ბ. ბ.** არა მგონია, იმ საბჭოში უკეთ სცოდნოდა ვინმეს, რა არის მეცნიერება, ვიდრე კ, კეკელიძეს, ა. შანიძეს, გ. ახვლედიანს, არნ. ჩიქობავას და სხვებს... მოდით, მაინც გავიხსენოთ, რა დამსახურებისათვის გადაწყვიტეს გიორგი ლეონიძისათვის ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

**თ. ხ.** ცხადია, ვთქვათ კიდეც, ეს მოხდა ფილოლოგის მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის.

**ბ. ბ.** როგორც ჩანს, გიორგი ლეონიძეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი ინტერესი ჯერ კიდევ სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს გაუჩნდა.

**თ. ხ.** 1911–1917 წლებში გიორგი ლეონიძე თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობს.

**ბ. ბ.** გაზეთ „საქართველოს“ 1917 წლის ერთ-ერთ ნომერში ამ სემინარიის შესახებ ვკითხულობთ: „დღეს ამ სასწავლებლის მეთაურია დეკანოზი კორნელი კეკელიძე. ცნობილი საეკლესიო მეისტორიე; დღეს აქ მამობრივად მუშაობა საყვარელი ბელეტრისტი ვასილ ბარნოვი. აქ მასწავლებლობს ჩვენი მწერლობის მკვლევარი იპოლიტე ვართაგავა, აქ ტრიალებს ძვირფასი მემუსიკე ია კარგარეთელი; აქვე არიან სხვა ქართველებიც, რომელთაც გული შესტკივათ საქართველოს საქმისათვის“.

**თ. ხ.** სხვათა შორის, ესაა ამონარიდი გიორგი ლეონიძის კორესპონდენციიდან და ამ ამონარიდიდანაც ჩანს, როგორი იყო მისი დამოკიდებულება იმ წრისადმი, სადაც იგი იზრდებოდა...

**ბ. ბ.** ბარათაშვილისადმი მიძღვნილი საღამო გამართულა სემინარიაში. კვლავ გაზეთი „საქართველო“: „ახალგაზრდა სემინარიელმა მგოსანმა გ. ლეონიძემ კარგი დეკლამაციით წაიკითხა ორიგინალური ესკიზი „დაჭრილი სული“, რომელშიც ისტორიულად განავი-

თარა ის აზრი, რომ ბარათაშვილი არ არის ციდან ჩამოტეხილი ფრაგმენტი. ანდა მასაც ჰყავდნენ წინამორბედები ჩვენ პოეზიაში – თავისი განმარტება მან დაადასტურა თავისივე მოყვანილი სევდანარევი ციტატებით: გიორგი მთაწმინდელის, შოთა რუსთაველის, თეიმურაზ პირველის, ბესიკის და ხალხური პოეზიიდან“.

**თ. ხ.** 1917 წელი. ეს იყო 17–18 წლის ყმაწვილის ვარჯიშობა. ეს იყო კვლევა, რომელსაც ვასილ ბარნოვი ხელმძღვანელობდა და ისიც გავიხსენოთ რომ სასწავლებელს კორნელი კეკელიძე უდგას სათავეში.

**ბ. ბ.** როცა „დაჭრილი სული“ იწერება გიორგი ლეონიძისა, იგი უკვე ავტორია არაერთი საინტერესო გამოკვლევისა: 1912 წელს წერს სტატიებს: „სამების მონასტერი კახეთში“, „ნინოწმინდის ეკლესია“.

**თ. ხ.** მივაქციოთ ყურადღება: გიორგი ლეონიძე ამ დროს 13 წლისაა.

**ბ. ბ.** 1914 წელს იწერება სტატიები „ქართული სული“, „კონსაექტი ქართული თეატრის ისტორიისა“, 1915 წელს „პლატონ იოსელიანი“, „ოსკარ უაილდი“...

**თ. ხ.** გარდა ჩამოთვლილისა, სემინარიელი გიორგი ლეონიძე აქვეყნებს მიმოხილვითი ხასიათის წერილებს „მიქელ მოდრეკილი“, „ათონის ივერიის მონასტერი“, „სამების მონასტერი“, „ქართული წიგნის ისტორიისათვის“, „ქართული მუსიკალური ინსტრუმენტების ისტორიისთვის“...

**ბ. ბ.** როგორც მიუთითებენ სპეციალისტები, ამ წერილებში კარგად ჩანს გიორგი ლეონიძის მკვლევარის ნიჭი, განსწავლულობა და ინტერესთა სფერო.

**თ. ხ.** და ეს ინტერესი გიორგი ლეონიძეს სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია. შედეგი? უაღრესად შთამბეჭდავი.

**ბ. ბ.** თუმცა მაინც ასე უნდა ვთქვათ: რაც შემდგომ გიორგი ლეონიძემ გააკეთა ქართულ ფილოლოგიაში, არის მყარი საფუძველი სწორედ სემინარიამ მოამზადა და ეს ფაქტი დიდად საგულისხმო ფაქტად მიმაჩნია დღე-ვანდელი ჩვენი სკოლის შემყურეს.

მარტო სათაურების დასახმელებაც საკმარისია იმისათვის, რომ გავიაზროთ, თუ რა სერიოზული სახე პქნონდა სწავლებას სემინარიაში. ეს ისე, შედარებისთვის.

**თ. ხ.** რომ არ ავცდეთ ჩვენს ძირითად მიზანს, მოდით, ჩამოვთვალოთ და მთლიანობაში გავიაზროთ, როგორც მკვლევარმა, რა ღვაწლი დასდო გიორგი ლეონიძემ ქართულ კულტურას...

**ბ. ბ.** 1920 წელს გიორგი ლეონიძემ გამოსცა სულხან-საბა ობელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ რომელსაც ახლდა ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც წარმოდგენილი იყო ძეგლის შექმნისდროინდელი ეპოქა სურათი, გაარკვია სულხან-საბას ძირითადი საბიოგრაფიო საკითხები, გააანალიზა იგავთკრებულის ლიტერატურულ-მხატვრული მხარეები, გამოიძია ძეგლის ლიტერატურულ-ფოლკლორული წყაროები, დაადგინა „გასაოცარი ანალოგიები და პარალელები“, მახვილგონივრულად მიუთითა „ქილილა და დამანას“ ქართული რედაქციის ანდერძის კავშირზე სულხან-საბას შემოქმედებით ბიოგრაფიასთან“.

**ბ. ბ.** გიორგი ლეონიძეს პირველს მიუქცევია ყურადღება სულხან-საბას „სწავლიანისათვის“ და პირველს დაუხასიათებია ეს ძეგლი.

**თ. ხ.** სიმონ იორდანიშვილთან ერთად გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ფეშანგის საისტორიო პოემას „შაჰნავაზიანი“ (1935 წელი).

**ბ. ბ.** გიორგი ლეონიძემ გამოსცა და შეისწავლა იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“ (1939 წ.).

**თ. ხ.** შესანიშნავი გამოკვლევები უძღვნა დავით გურამიშვილს, ანთიმოზ ივერიელს...

**ბ. ბ.** 1930 წელს ცალკე წიგნად გამოიცა გიორგი ლეონიძის ნაშრომი „მგოსანი საიათნოვა“ და ნათელი მოპევინა მრავალ ბუნდოვან საკითხს...

**თ. ხ.** საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გიორგი ლეონიძის დამსახურება ბესარიონ გაბაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევისა თუ მისი თხზულებების გამოცემის საქმეში.

**ბ. ბ.** დიდია გიორგი ლეონიძის დამსახურება რუსთაველოლოგიაშიც... მონოგრაფია უძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს...

**თ. ხ.** გვაპატიებს ალბათ ჩვენი მსმენელი, თუ მხოლოდ ჩამოვთვლით და ვრცლად ვერ ვისაუბრებთ თითოეულ მათგანზე. ერთს კი ვიტყვით: გიორგი ლეონიძის ნაშრომები ესაა მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული ფილოლოგიური გამოკვლევები; ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობის დიდმნიშვნელოვანი შენაძენი...

**ბ. ბ.** ყოველივე ეს გაითვალისწინა 1959 წელს ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ, როცა დასვა საკითხი გიორგი ლეონიძისათვის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭებისა.

**თ. ხ.** და ყოველივე ეს ვერ გაითვალისწინა იმან, ვინც კენჭისყრისას შავი ჩაუგდო სახელოვან გიორგი ლეონიძეს. მაინც ის კითხვა მიღრნის გონებას: რა იყო ეს – გამიზნული ავკაციობა თუ უგულისყურო დამოკიდებულება საქმისადმი?..

**ბ. ბ.** გამართლება არცერთს არა აქვს. სიცოცხლის ბოლომდე ტკივილად გაპყვაო ეს ამბავი გიორგი ლეონიძეს.

**თ. ხ.** საქმის გამოსწორებამ ეს ტკივილი ვერ დაუყუჩაო...

## ირინე ჯაჭიაშვილი

### „ქვეყანას ოთხი რამ აკლია...“

(გ. ლეონიძის „მარიტას“ სწავლებისათვის)

„ალაზნის ვაზებს დასცვივათ ოქრო,  
დაღნება, რაც თებს დაპვერცხლებია,  
ვინ იძობოქროს?  
უკვდავების დღეს  
მხოლოდ ლექსები დაესწრებიან“. გიორგი ლეონიძის შემოქმედებას ყოველი მომდევნო თაობა თავისებურად კითხულობს, თავისას ეძებს და თავისას პოულობს.

ჩვენი მოსწავლეები გიორგი ლეონიძის პოეზიის მაღლს მხოლოდ რამდენიმე ლექსის შესწავლით რომ ვერ ეზიარებია, ფაქტია ალბათ, ეს გაითვალისწინეს, ქართული ენისა და ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელების ავტორებმა და დღეს ჩვენს სკოლებში „ნატვრის ხის“ რამდენიმე ნოველა და მოთხრობა ისწავლება

ახლა, როცა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა ყოფამ დააჩქარა ურბანიზაციის პროცესი, როცა ქართველთა დიდი ნაწილი საკუთარ ქვეყანაში ხიზნადაა ქცეული, მეორე ნაწილი კი საზღვარგარეთ მიღის საშოვარხე, როცა მომრავლდა ნასოფლარები და ნასახლარები, სკოლაში „ნატვრის ხის“ სწავლება აუცილებელია, რათა ბავშვებმა მშობელი მიწის, სოფლის, წარსულის ძეგლების, სიკეთის, სილამაზის, გლეხკაცის შრომის ფასი იცოდნენ, რაც მთავარია, საკუთარი ფესვები კიდევ უფრო მეტად იგრძნონ.

ქართველი კაცი უხსოვარი დროიდან უმდერდა მზეს და ჭეშმარიტი ღმერთის შეცნობამდე მზის თაყვანის მცემლები ვყოფილგართ. მზიური მშვენიერს ნიშნავდა და ფიქრობდნენ, რომ, სადაც მზის სხივები სწვდება, ყველგან სიკეთე და სილამაზეაო, ბუნების უმაღლესი ქმნილება, ადამიანიც, მზიური და მშვენიერია.

მზიურია და მზე ანათებს გ. ლეონიძის „ნატვრის ხის“ ტოტებს, რომელთაც ჩვენ მოთხრობებს, ნოველებსა და ესკიზებს ვეძნით ნათელი სულის ადამიანები არიან პერსონაჟები ამ წიგნისა.

წარმოგიდგენთ „ნატვრის ხის“ გაკვეთილების ერთ ჩემეულ ვარიანტს, კერძოდ, „მარიტას“ გაკვეთილს, ჩატარებულს XI კლასში (მიმდინარე სასწავლო წელს „მარიტა“ VIII კლასშიც ისწავლება).

მოსწავლეებს წინასწარ ზაფხულის არ-დადაგებზე წავაკითხე გ. ლეონიძის „ნატვრის ხე“.

„მარიტას“ ტექსტზე ვიმუშავე კომენტირებული კითხვის მეთოდით, რომელიც, უმთავრესად გამოიყენება წინასწარ წასაკითხად მიცემული ეპიკური ნაწარმოების ტექსტობრივი შესწავლის და მისი ანალიზისთვის ნიადაგის მოსამზადებლად. „ასეთ შემთხვევაში, ტექსტის ანალიზის დაწყებამდე, კლასში იკითხება მხოლოდ სკეციალურად შერჩეული ის ადგილი, რომელიც შინ კითხვის პროცესში მოსწავლეთვის ნაკლებად მისაწვდომია, აღემატება მათ დამოუკიდებელ შემოქმედებით ძალებსა და ნაწარმოების შინაარსის მთლიანობაში სწორად გაგების მიზნით მასწავლებლის განმარტებას მოითხოვს, განმარტება და ახსნა ასეთ ვითარებაში შეიძლება შეეხოს არა მხოლოდ გაუგებარ სიტყვებს, არამედ საკითხს, ეპიზოდს, საგნისა თუ მოვლენის ისტორიას და სავსებით დასაშვებია, მოცემული იყოს ნაწარმოების არა მხოლოდ დასაწყისში, არამედ შუაში ან ბოლოშიც.

მაშასადამე, ასეთი კითხვა გამორიცხავს თანამიმდევრობის პრინციპის დაცვას, რაც ესოდენ სავალდებულოა, საერთოდ, ტექსტის პირველად წაკითხვისას.

ამრიგად, კომენტირებული კითხვა ტექსტის არა პირველი, არამეო განმეორებითი კითხვის ერთ-ერთი ფორმაა და მისი მთავარი დანიშნულებაა გაუადვილოს მოსწავლეებს ტექსტის დამოუკიდებელი კითხვით მიღებული

შთაბეჭდილებების გამთლიანება, მის რთულ „მისახვევ-მოსახვევში“ გარკვევა, მისი ათვისება და გაგება“.

გამომეტყველებით წავიკითხე „მარიტას“ დასაწყისი:

„ვის არ უყვარს მზე“?

მზეს ესწრაფვის დიდი არწივი, პატარა ტოროლაც, „ცას წავალო“, რომ წკრიალებს ყოველ დილით, აქანება ცისკენ მთრთოლვარი ფრთხებით.

პირველ რიგში ბროწეულს უყვარს მზე!

მიყვარს ცეცხლური ყვავილი, მზიანეთის სხივმფინარა, აღნაკადი, ოქრომდინარი, სეფესანთელივით რომ ბდლვრიალებს; მიყვარს მისი გულის ავსებულობა! თითქოს მზე სავსებით შეუწოვათ.

მზის ნაბადებია, მის კოკორში დაგუბებულია სხივთა ნაგალობარი, შიგ ჩაწერილია ანკარა სხივთა რაკრაკი, მზისობა უჩანს თვითონეულ ნაკვთში.

— ყვავილი კი არა, მზის ნაკადულის კამპამია! — ასე იტყვის გულისმყოფელი.

ბუნების ასეთივე საჩუქარი იყო, ჩემს ოცნებას რომ შემოხვევია ბროწეულყვავილივით, — მარიტა! ნათლით სავსე, ღიმცისკროვანი ყვავილი ჩემი ყრმობისა!

მარიტა!

მარიტა! — თითქოს მზეს ჩამოვარდნოდა!

მარიტა! — ჩემი ყრმობის მეგობარი! ქალებში დედოფალი.

— შენ „მზევარი“ უნდა გერქვას, „მზევინარა“, — ბევრს უთქვამს მარიტასთვის.

მარიტას მერე აღარ გამკვირვებია არც ყინწვისის ღვთაებრივი ფრესკა, არც არმაზელი ტურფა სერაფიტა.

— ვისაც ღმერთი არ გინახავთ, მოდით და ნახეთ მუხათწყაროში!“

აქ კითხვა შევწყვიტე და ვუჩენე ყინწვისის ანგელოზის ფრესკის რეპროდუქცია. ვესაუბრე არმაზელი სერაფიტასა და ყინწვისის ანგელოზის შესახებ. წავუკითხე ის ადგილები ტექსტისა, სადაც მარიტას გარეგნული და სულიერი მშვენიერებაა მოცემული.

ყურადღება მივაქციე ავტორის მიერ ხალხური „ეთერის“ პერსონაჟებთან გავლებულ პარალელს.

დავავალე, ზეპირად დაესწავლათ მარტის დამახასიათებელი ადგილები და პეიზაჟის ნიმუშები:

„ყვითელი აბრეშუმივით თმა-კულული...“

ლურჯი თვალები... ისე ვიგრძენი, თითქოს ჩვენს ეზოშია ია შემოვიდა, შემოვიდა და შემოეფინა.

„ახლაც ჩემს თვალწინ დგას ალმასური სახე, მწყაზარი, მოციმციმე მტრედონა, წყნარი, როგორც მაისის თეთრი წვიმა, ქალი მტევანივით შემკობილი, ჩაკდემით მოსიარულე, ნაზი, როგორც ნიავი, ვერწვში შეხიზნული“. „თვითონაც გრძნობდა მარიტა ბუნების მიერ მომადლებულ ნიჭს, გულში მადლიერობდა, რომ მშვენიერების ღირსი გახადა ბუნებამ და ამ ნაჩუქარ დიდებულ განძს თავისი ზეობითაც უვლიდა, ნაზად და სათუთად უვლიდა... იცოდა რომ უხვად იყო დასაჩუქრებული“. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე მარიტას სიკეთის, სიფაქიზისა და შრომის-მოყვარეობის აღმნიშვნელ ადგილებს, ღიდედა ლელაურას საალერსო სიტყვებს, „არიფანას“ ტრადიციასა და ხალხურ თამაშობებს.

თუ მარიტა მზეა და მზიურია, როგორც მწერალი ამბობს, გედიაც მზიური და ნათელია. დავაკვირდეთ მის გვარს — ნათლიძე. გავახსენე სახარების იგავში მოხსენებული „ამ სოფლის ძენი“ და „ნათლისძენი“.

პირველთ ყოვლისთვის ახსოვდათ საკუთარი თავი და ყველაფერში მხოლოდ სარგებელს ეძებდნენ, მეორენი კი სულიერ სიმდიდრეზე ზრუნავდნენ და სრულებით არ ფიქრობდნენ მატერიალურ სიმდიდრეზე. პირველნი შეთეს გვაგონებენ, მეორენი — გედიას.

აქვე ამოვიკითხე შეთეს დამახასიათებელ ადგილები და ხაზი გაუსვა მის ნათქვამს: „თანატოლები რათ უნდა ვიყვნეთ ქონებული და უქონელი?“

ავტორი ყურადღებას აქცევს მისი დგომის მანერასაც. („გაბოტილი იდგა“ და ისე „გათალა: ეს სიტყვა“).

გავახსენე ნინიას სიტყვები („მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი“): „ყველა რომ მდიდარი იყოს დედამიწაზე, დარიბი ვიღამ მოიგონოსო.

არასოდეს უნატრია სიმდიდრე, მხოლოდ თავისი პურის ხვავით იყო მადლიერი“.

კლასშივე წავიკითხე დილის სურათის აღწერა მარიტას დასჯისას. ბუნებაც ისეთივე მკაცრი და ცივი იყო, როგორც სოფელი, ბრძო, ციციკორე მარტო ჩუმი წვიმის წვეთები თანაუგრძნობდნენ უბედურ ქალს. ეს წვეთები შეციებული, შეტალაკებული, გამურული ციდან შემქრთალი ანგელოზის ცრემლებივით ცვიოდა, თითქოს სურდა, ტალახისა და საქონლის ფუნის ლაქები ჩამოერცხა მარიტას მხრებიდან.

მხოლოდ პოეტის დედა და თვითონ პატარა პოეტი განიცდიან ქალის ტრაგედიას. დედა—შვილი ბრძოზე ამაღლებული ადამიანები არიან. სხვისი სიკეთის დანახვა, უსამართლოდ დაჩაგრულის სიბრალული, უღირსებოს არ შეუძლია: ასეთები სხვისი ღირსების შემჩნევას ვერ ახერხებენ.

მოთხოვობის დასასრული — მარიტას სიკვდილი და გლოვაც — კლასში წავიკითხეთ:

„გლოვის კვამლით სოფელი გაშავდა..

სოფელს თავისი თამარ დედოფალი მოუკვდა... ხეებიც კი სტიროდნენ...“

სამარის პირად, როცა დადგა უკანასკნელი წუთები გამოთხოვებისა და მიწის მიყრისა, იმ წამს, კუბოსთან მიჯრილმა მარიტას შეურაცხმყოფელმა ხალხმა, ახლა შეშინებულმა, უეცრივ უკან დაიხია, თითქოს ამაზე სხვა რამ უფრო საზარი დაინახა, კინაღამ ერთმანეთი გადათელეს და გათქერეს... რადგან ერთი მუჭა მიწის მიყრა ვერავინ გაუბედა ამ ღვთიურ სილამაზეს. ვერავინ... ვერავინ...“

\* \* \*

მიწას არ შერცხვა, მაგრამ ბალახი მიწაში ჩაძვრა სირცხვილით.

უცებ მზე გაჩაღდა. აბრიალდა, თითქოს მისი ნაწილი მარიტა მასვე შეუერთდაო“.

აქ გავიხსენე ნესტან-დარეჯანის მიერ ქაჯეთიდან ტარიელთან გამოგზავნილი წერილის სტროფი:

„მზე უშენოდ ვერ იქნების,  
რადგან შენ ხარ მისი წილი,  
განაღამცა მას ვახელ  
მისი ეტლი, თუ არ წბილი,  
მუნა გნახო, მაღვე გსახო,  
განმინათლო გული ჩრდილი,  
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილ-  
იმცა მქონდა ტკბილი!“

აკაკი ბაქრაძისეული განმარტება ამ სტროფისა ასეთია:

„ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ადამიანი ღმერთის ნაწილია და სიკვდილის შემდეგ უზენაესის წიაღში ბრუნდება. როცა ამას გავითვალისწინებთ, ციტირებულ სტროფის აზრი ასე წაიკითხება: ღმერთი უშენოდ ჩემთვის არ არსებობს, რამეთუ შენ მისი ნაწილი ხარ. როცა მას ეახლები (ე. ი. მოკვდები), მე მის წიაღში შეგხვდები და დაჩაგრული გული გამინათდება. სიცოცხლე მწარე მქონდა, რაკი შენთან ყოფნა არ მეღირსა, სიკვდილი ტკბილი მექნება, რადგან ღმერთის სასუჯეველში მარადიულად შენთან გიქნები“.

მაშ, მარიტაც მზის ნაწილი, მზეს შეუერთდა. დაკვირვებით წავიკითხე ის ლეგენდები, მარიტას სიკვდილის შემდეგ რომ გავრცელდა ხალხში. რატომ დასჭირდა ხალხს ასეთი ლეგენდების მოგონება? „სასოწარკვეთილების დროს ადამიანი ეძებს უცნაურს, გაუგონარს, ლეგენდურს, რეალური სინამდვილიდან ილუზიურში გადასახლდება და ცხოვრების გასაძლებად ახალ ენერგიას, ბრძოლის უნარს იძენს“.

სწორედ ასეთი ლეგენდური დასასრული მოუძებნა სოფელმა (შერცხვენილმა) საიქიოში გამგზავრებულ უმშვენიერეს მარიტას ამბავს:

„მარიტას სული პეპელასავით გაფრინდა და ანგელოზები ზარის რეკვით შეეგებნენო!“

„საიქიოში ოქროს სკამი მიართვეს დაღლილსაო. ღვთისმშობელს ეთქვა თურმე: ფერზე, გეტყობა, ძლიერ დაღლილხარ, დაჯე, შვილო, შორიდან მომავალი ხარო!“

„იესო ქრისტემ კი ხელმანდილი ამოიღო, შუბლზე უნდა მოესვა, რომ გაეცოცხლებინა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყო, მიწაზე დასაბრუნებლად ვერ გაიმეტაო. მოინდომა სულ გვერდით ჰყოლოდა. ახლაც გვერდითა ჰყავს ვარსკვლავადო“.

— მაგ, მარიტა გააცოცხლა ხალხმა ე. ი. სოფელი, ბრძო, მიხვდა შეცდომას და ისინი ასეთ საქციელს აღარ ჩაიდენენ.

მარიტას მიმართ გამოჩენილი უსამართლობის გამო ღმერთმა (მზემ) დასაჯა ხალხი:

„მთელი წელიწადი უწვიმარი იყო... ყნელი ჩაიწვა, ვენახები გადახმა... ყანწი ვერავინ გაასველა!“

დაშრა ჭური და საწნახელი!“

მოთხრობის ეპილოგი წავიკითხე მთლიანად და ზეპირად და სასწავლად მივეცი.

ტექსტზე მუშაობისას ყურადღება მიექცა პოეტურ ენას, მწერლის სტილს, ფერებსა და მათ ფუნქციას.

თუ დავაკირდებით, მოთხრობა სამი ნაწილისაგან შედგება პროლოგის, ძირითადი ამბისა და ეპილოგისაგან.

პროლოგში მზისა და მარიტას ქებაა, ძირითად ნაწილში გედიასა და მარიტას უიღბლო სიყვარული და მათი ტრაგედია მოცემული, ხოლო ეპილოგი მარიტას გარდაცვალებას, მის ბროწეულის ხედ და ყვავილად მოვლინებას გვაცნობს და აქვე მწერალი მრავალმნიშვნელოვან კითხვას გვისვამს: „საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება, თუ დროებით მიეფარება? ვინ იცის?“

ამ კითხვაზე პასუხის მოფიქრება ყველა მოსწავლას დაევალა.

II გაკვეთილზე მოთხრობის შინაარსის გამოკითხვის შემდეგ გადავედი მის იდეურ-მხატვრულ ანალიზზე.

გაირკვა მოთხრობის თემა (მარიტას და გედიას უიღბლო სიყვარულის ისტორია), იდეა – სიყვარული, სიკეთე და სილამაზე არ ქრება; ქორწინების საფუძველი მხოლოდ სიყვარული უნდა იყოს.

კითხვებით გავაანალიზეთ, რატომ ატარებს მოთხრობა მარიტას სახელს, რომელ მხატვრულ ხერხებს იყენებს ავტორი პერსონაჟების გარეგნული თუ სულიერი თვისებების გადმოსაცემად.

რატომ გაათხოვს მარიტა უსიყვარულოდ? როგორ აფასებენ დიდედა ლელაურას და ჩასიკას საქციელს? რატომ ვერ გაბედა ოჯახის საწინააღმდეგო ნაბიჯი მარიტამ? რატომ „ჩამოყარა ვარსკვლავა გვირგვინი?“.. რას ნიშნავს „ლალის საყურე გაშავდა?“

ადრე შესასწავლი რომელი ნაწარმოები და მისი პერსონაჟების სამიჯნურო ურთიერთობა გაგუახსენათ ამ მოთხრობამ? (აღ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“). რით პგვანან და განსხვავდებიან მარიტა, გედია, შეთე და ძიძია, ონისე და გუგუა? (ერთგანაც ირლვევა ქალის

უფლებები და მეორეგანაც). აქვე გავაცანი „ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის“ მე-16 მუხლი: „დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას“, დაახასიათეს გედია და შეთე. განსაკუთრებული მღელვარება გამოიწვია შეთეს პიროვნებაზე მსჯელობამ.

ერთი ცდილობებ მის გამოქომაგებას. მეორენი ფიქრობდნენ, რომ არც ბრბო მისცემდა მას ცოლის დაცვის უფლებას და არც თვითონ მოისურვებდა ამას.

ნაწარმოებში ერთმანეთს სიკეთე და ბოროტება ეჯახება. „სიკეთეს გედია და მარიტა განასახიერებენ, ბოროტებას კი მეჭორები და მათ აყოლილი სოფელი. სიკეთეს მოკლებულმა ხალხმა იმსხვერპლა მარიტა – ხალხისა და ციციკორეს მოქმედებას ზნეობრიობის საბურველში გახვეული, შეუბრალებლობა და დაუნდობლობა წარმართავს.“

აქ უარყოფა ქრისტიანული ზნეობრივი პრინციპებისა: „უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი“.

უცოდველი კაცი არ არსებობს. გავახსენე სახარების იგავი: ხალხს ერთი დედაკაცი შეეპბრო. ამ ქალს მრუშობა ედებოდა ბრალად. მოპგვარეს იგი იესოს და უთხრეს: მოძღვარო, ეს ქალი მეძავია. მოსეს რჯულის თანახმად, იგი ქვით უნდა ჩაიქოლოს, რას იტყვით? იესომ თავი ჩაღუნა. იგი დუმდა. მერე თავი ასწია, მიმოიხედა და თქვა: თქვენ შორის ვინც უცოდველია, პირველად მან ესროლოს ამ დედაკაცს ქვაო და ისევ დადუმდა. ყველა ჩუმად გაიპარა. უცოდველი არავინ აღმოჩნდა. მაშინ იესომ ჰკითხა მეძავს: სადა არიან შემსმენელი შენი? არავინ განიკითხა შენ?

დედაკაცმა მიუგო: არავინ, უფალო, მაშინ ქრისტემ ეს თქვა: არც მე განგიკითხავ შენ, წარვედ და ამიერიდან ნუღარა სცოდავ.“

განა მარიტას თანასოფლელებში იქნებოდა ვინმე უცოდველი?..

ქალის სიკვდილმა ხალხის დიდი სულიერი გარდატეხა გამოიწვია, კუბოსთან ბრბომ კინაღამ ერთმანეთი გადათელა, ერთი მუჭა მიწის მიყრა ვერავინ გაუბედა ლვთიურ სილამაზეს. რატომ? იმიტომ რომ ხალხი მიხ-

ვდა შეცდომას, ასეთი იყო ბავშვების აზრი, რად მოექცა სოფელი ასე მკაცრად თავის ღვთვებრივ შვილს? განა სხვა გამოსავალი არ იყო? აქ პასუხს ისევ „ნატვრის ხის“ პერსონაჟი ყადორი („საღვთო საბალახე“) გვაძლევს: „ქვეყანას ოთხი რამ აკლია ცას – ციბე, ზღვას – ხიდი, ჯორს – შვილი და კაცს – სამართალი“.

მაშ, სოფელს სამართალი ჰკლებია...

ბრძომ სახარების მცნებები დაარღვია: „არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“, „არა კაც ჰკლა“.

და ბოლოს, კვლავ ეპილოგს დავუბრუნდეთ: „ამ გაზაფხულის პირზე ვინაზულე ჩემი სოფელი და მარიტას ნაეზოვარიც. ირგვლივ ყველაფერი დამუჯჯებულიყო, ნამოსახლარზე მარიტას სახლის ნაკედლარებიც კი აღარ ჩანდა...“

აღარც ერთი ხე არ გადარჩენილიყო მარიტას ეზოში. მხოლოდ ძველი კერის ადგილზე თავისით ბროშეული ამოვარვარებულიყო...

ვუყურებდი მხიარულ, მზიან ყვავილს და არა მჯეროდა, რომ მარიტა აღარ ამშვენებს დედამიწას! არც ის მეჯერებოდა, რომ ამ მტვერსა და ნაგავში ასეთი ბრწყინვალე ხე-ხილიანი ხე ამოსულიყო თავისით!“

აქ გავიხსენე (VII კლასში შესწავლილი ნ. დუმბაძის მოთხრობა „ძაღლი“) ბაბუა სპირილონის სიკვდილისწინა დარიგება შვილიშვილისადმი:

„თუ მართლა უნდა გარდაიცვალო და მეტი არაფერი, მაშინ მით უმეტეს, არ უნდა შეგეშინდეს. ისევ ამ ქვეჭად დავრჩები და სხვა სახით მოვალ, ან ხედ, ან ბალაზად, ან ჩიტად, ან ძაღლად, ... და თუ რამეში სითბო, სიხარული და სიყვარული იგრძნო, ქვაც რომ იყოს, იცოდე ის ქვა ბაბუაშნია“...

მარიტა (სილამაზე, სიკეთე) გარდაიცვალა, დროებით მიეფარა და შემდეგ მზიურ ყვავილიან ბროწეულის ხედ მოვიდა თავის კერაზე.

ადამიანის თვალში ხე არის შემოქმედის მიერ ბუნებაში განფენილი სიცოცხლის ძალის ცხადი გამოვლინება უძველესი ბიბლიური სიმბოლური სახეა ყვავილიც.

„ბროწეულის ყვავილივით ჰყვაოდა მისი სილამაზე“, – ამბობს მწერალი მარიტაზე.

ყვავილი წარმავალი მშვენიერებაა. დავით წინასწარმეტყველის 102-ე ფსალმუნში ვკითხულობთ:

„კაცისანი ვითარცა თივა არიან დღენი მისნი და ვითარცა ყვავილი ველისაი, აგრეთ ყუავიან, ჰქეროს მას ქარმან, არღარა იყოს, არღალა ჩანდეს ადგილი მისი“.

ადამიანები ვერ იტანენ სილამაზის გაქრობას, დროებითაც კი...

გალაკტიონი გავიხსენოთ:

„პვდომა ბუნების წესია,

მაგრამ ჩემს გულში ასეა:

ნუ კვდება, რაც უბრძნესია,

ნუ კვდება, რაც ლამაზია!“

და კვლავ კითხვა: „მართლაც, საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება, თუ დროებით მიეფარება?“

ჩემი მოსწავლეების აზრით, ყველაფერი ღვთისგანაა. სილამაზეც ღვთისმიერია.

ღვთიურია მზეც, მარიტაც, დიდი არწივიც, მზისენ აფრენილი ტოროლაც და ცეცხლის-ფერი ბროწეულის ყვავილიც.

ღმერთი სამყაროს სილამაზის და სიყვარულის გარეშე არასოდეს დატოვებს, არასოდეს...

მზის, სიცოცხლის, სილამაზის და სიყვარულის პიმნია „მარიტა“...

ა. თოფურია, ქართული ლიტ. სწავლების მეთოდიკა, თბ., 1991, გვ. 235–236.

ა. ბაქრაძე, რწმენა, გვ. 88, თბილისი, მერანი, 1990.

იქვე, გვ. 412.

## ლევან გოთუა

### „ლექსად მოსული ქართული მიწა“

ქართველ მწერალთა კარზე ისევ ჩამოირეცა ზარი გლოვისა. ეს დღისა და დამის ზღვარი კი არ არის, სულისა და ხორცის გაყრაა!

ქართული ლექსი ძაბით შეიმოსა, შავ ჩარჩოში ჩაჯდა ქართული წიგნი.

კვლავ კალმების დახრისა და შემჭიდროების დღეა, შემოქმედთა შუბლის შეკვრისა, ისევ ამოუკსებ ხარვეზის შეძლებისდაგვარ თავმობმის უამია!

ხშირად იტყვიან ხოლმე, რომ შეუცვლელი პიროვნებანი არ არსებობენ... დიდ მწერლების მიმართ, ეს მეტად პირობითია!

გიორგი ლეონიძე დიდი, გამოკვეთილი, ვეება ნიჭისა და თავისი სამყაროს მქონე შემოქმედი იყო და ამიერით მას ვეღარავინ შესცვლის, ისე როგორც, არსებითად შეუცვლელი დარჩნენ ილია და აკაკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაქტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი...

ისევ უბეს შლის მთაწმინდა. ამ ბოლო დროს მან მეტად დიდი ლალა აიღო. უფრო დიდი ვიღრე სამშობლოს ერთობლივმა აკვანმა ახალი ფარდი ნიჭი შვა.

წავიდა სიცოცხლიდან დიდი მგოსანი და მოღვაწე, დაუცადელი შემოქმედი და მოუსვენარი მკვლევარი. ისე მოულოდნელად დაეცა,

სილოვან ნარიმანიძე, გიორგი ლეონიძე, ლევან გოთუა, მედეა კახიძე

რომ ვერც სამშობლის სიყვარულით ოჯერა გული და კალმის მიღმაც უამრავი გამომწიფებული წიგნები დარჩა.

შეირჩა ახალ-ქართული ლექსის ჯავარი და ის, რაც სისხლსავსე სიცოცხლით სჩეკევდა და ბრწყინავდა, ამიერით უკვდავების კრთომით აღიკვრო.

გადაიწურა დიდი მგოსნის ხორციელი წუთისოფელი. დადუმდა ლომის ბუბუნი, მისი ჩაბოხებული ხმა, ურიამულა ქუჩებში აღარ



გაიელვებს მისი ცოტა აჩეჩილი მხრები, მკაფიო და მძლე, თითქოს ბოლნისის ქვიდან მოკვეთილი სახე-სხეული.

ადამიანის გარდაცვალება, საზოგადოებრივად, საზომების გამოცვლასაც ნიშნავს. ერის მეხსიერებაა ყველაზე დიდი სამხილავი და განსაწმენდელი... და მრავალ ამაქვეყნის დიდს მხოლოდ სამარის კარამდე მიჰყვება თავისი საქმე და სახელოვნობა.

გიორგი ლეონიძე, ერში ლექსად გასული გოგლა, მუდამ სხვა ანდამატიანი შემოქმედი იყო. იგი თითქოს რამდენიმე, ნიჭით აღსავსე კაცისგან იყო შენადუღარი:

ლექსი, პოემა, მხატვრული პროზა, გამოქვლევები, ლიტერატურული და ისტორიული ძიებანი, მომმე ლიტერატურათა მცოდნეობა, ხელმართალი რედაქტორობა, ინსტიტუტის მესვეურობა, მრავალ საზოგადოებათა ბურჯობა, თავდაჭერილი ეროვნული მოღვაწეობა. მუდამ ახალი ზრახვებით აღსავსე და მოუსვნარი.

მისთვის გულგრილობა ისევე უჩვეულო იყო, როგორც ნელი სიარული ან ულექსოდ ნათევი დამე. მუდამ შემოქმედების ქარბორბადაში მშფოთვარე, ყოველი სამშობლოსეული და მწერლური, მისთვის იყო უაღრესად ახლო შემხები და არაფერი ადამიანური მისთვის არ იყო უცხო!

იშვიათად თუ რეგებია ვინმეს ბედი მშობლიური ენის ასე გრძნობისა და ფლობისა, ერის ჩანგის მფლობელიც იგი იყო. ამიტომაც ყოველი მისი ახალი ლექსი, თუ გუნდი ლექსთა, ჯერ ფრთამალ მერცხლად დაივლიდა მთელ საქართველოს, გულში ჩაუბუდებოდა მრავალ მკითხველს, მერმე სიტყვა-სიტყვად ჩაჯდებოდა წიგნებისა და ლექსიკონების სათანადო ბუღებში, როგორც ქართული სიტყვის ახალი თარგულ-კაზმული!

ხალასი ნიჭის და პოეტური ბუნების კაცი, ცოცხალი „დედაენა“ და „ბუნების კარი“ ერთად, ჩვენს შორის „მომდინარე“ იორი და ალაზანი, ხან პირმცინარე, ხან ბობოქარი ერთად ზოდებისა და ზათქის მომტანი, ჩაძიებული მევლევარი – ხელნაწერების ხელი, ბუნების გულთმისანი, აღფრთოვანებული ტრფიალი ხორციელი და სულიერი სილამაზისა!

გიორგი ლეონიძე, როგორც ლიტერატუ-

რული მოვლენა, იმ სამკუთხედის არეშია, რომლის განმსაზღვრელი ისეთი სხვადასხვა დროისა და ხასიათის მწერლებია, როგორც საბა-სულხანი, ბესიკი, ვაჟა-ფშაველა!

იგი საოცრად გრძნობდა საქართველოს ყოველ სულიერ თუ ყოფით გამოვლინებას, აკალემიდან – მარნებამდე...

მის დაუცხრომელ ოცნებაში ერთად თავს-დებოდნენ ძველი, დანგრეული ტაძრები, სა-სახლეები და ახალი ქოხ-სამკითხველოები, ბულდოზერები და ატომური დანაღვარები! ალაზნის ჭალები და ივრის არხები, წინანდლის ვარდები და მარტოდ მდგარი ოლეები!

იგი – სულით და ხორცით – დიდებული ქართლოსანია, ჩვენს მჭექარ საუკუნეში, ჩვენს შორის, ქარს შერკინებულ ნატვრის ხედიდა, ლექსესა და ხატოვან სიტყვას ხმლად იქნება, ჯაჭვის პერანგად აცმევდა თავის ერსა და მწერლობას!

„არ დაიდარდოს“ გულითა და ღვიძლით წერდა, სხვას ამშვიდებდა, თავად შემხნევებულად დარდობდა და სწორედ გულ-ღვიძლში სწვდა მსახვრალი ხელი!

ლეონიძე ორმაგ გზაჯვარედინზე იდგა და ბევრ რასმეს აკავშირებდა... იგი ამჟამად, ჩვენ მგოსანთაგან, ყველაზე უფრო დიდი, ცოცხალი ხიდი იყო ძველსა და ახალ თაობათა შორის. მან დახურა ვაჟა-სეული ფრთა საუკუნის მიჯნიდან მაღლიანად გაღმოწვდენილი.

...და ლეონიძე ყველაზე უფრო მორჭმული და ფესვგადგმული, ხალხურ საწყისებნაწოვარი მგოსანი იყო... ლექსად მოსული ქართული მიწა, თავისი მთებით, ველებით, ზეცით.

ცა და მიწად ქცეული წინაპრებით... ჩამოხვეწილი, ჩუქურთმიანი, მზენასვამი შემოქმედებით! ამიტომ ახლავს მის ყოველ ლექსს ბუნებრივი სურნელი დაღვრილ ხსენისა, ხან დასეტყვილი ვაზის მტევნისა, ხან ახალგაღეწილ ხორბლისა, ხან ცხელ თონიდან ამოყრილ დედის პურისა!

კეთილ წიგნს დაობლება არ უწერია, დამწერის შემდეგ, მთელი ერი ხდება მისი მიმოქმედი. ამიერით, ახალქართულ მწიგნობრობის თითქმის ყოველ დარგში, მარად დარჩება ლეონიძერი კალმის და სულის მაღლიანი მონაქნიერი! მისი წიგნები და ლექსები ჩვენს შორის ისე ივლიან, როგორც მომავალში გატყორცნილი თანამგზავრები!



გიორგი (გოგლა) ლეონიძის საფლავი  
მთაწმინდაზე.

კიდევ ერთი მთაწმინდელის დასავანებით ამაღლდება უკვდავების წიგნად გადაშლილი მთა! უფრო გულმხურვალედ გადმოადგება ტფილისს! ჩვენც უფრო გულისხმიერ აღტა-ცებით აღვაპყრობთ მზერას...

დაახ, „ვეჯხისტყაოსნის“ შემდეგ, უდიდესი ჩვენი ერთობლივი რწმენისა და სიყვარულის „წიგნი“ ხომ მთაწმინდა არის... ვაგლახ, რომ იგივეა, მრავალ განუხორციელებელ ოცნებათა და მწერლურ ზრახვათა დუმილთ სავანეც.

ჩვენი გულები შევამჭიდროოთ, დაგუბრუნ-დეთ ისევ ჩვენს კალმებს, ფიქრებს, დარღებს... სადღეისო და სახვალიო საქმიანობას... ვი-მოქმედოთ, ვისწავლოთ, ვიმუშაოთ, ვწეროთ წიგნები ჩვენი ერისა და მთაწმინდის შესაფ-ერისი... ეს იქნება ჩვენი ნუგეში!..

თუ კალამი კალმობს, იგი ერის სულის საზომი და თერმომეტრია! ეს თავისი ცხოვრე-ბითა და შემოქმედებით, ერთხელ კიდევ ნა-თელპყო მთაზე წასულმა, გიორგი ლეონიძემ – აწ – მთაწმინდელმა!

11. 8. 66  
არმაზი.

## რედაქტორის გვარდი



დეკანოზი ილია ჩიკვაიძე

### გიორგი ლეონიძე

ქვეყნის დიდება—გადსარჩენის ცხებული საქმე პოეტმა და მეომარმა თავდადების საძირკველზე აშენებულა.

ამ კურთხეული მშენებლობისთვის ჩვენს წინაპრებს კალამი, ხრმალი და საჭრეთელი უხმარიათ და ქვეყნისადმი ამგვარი სამსახურის ღვთივკურთხეულობის დამოწმებად ამ სამთა საგმირო იარაღთა საჩინო აღგილზე უფლის ჯვარი გამოუსახავთ.

გიორგი ლეონიძე — დიდებული გამობრწყინება ქართული გენისა...

მარგალიტი, ქართული პოეტური კულტურის მზისთვალი.

ამ სიტყვა-მადლიანი ლაჟვარდის მზე-წვიმა დასდის ჩვენს სააზროვნო ქვეყანას, ამ მზე-წვიმიანი მადლით პურდება ჩვენი ცხოვრების ყანა-თავთუხები.

მისი ომახიანი ხმა ელვა-მეხია ჩვენს გულებსა და ყურთასმენას რომ უპყრობს და გვათქმევინებს: ოო, რა ტკბილ არიან ჰანგები შენი დიდო მგოსანო, სამშობლოს სულით ანთებულო ღმრთაებრივ და მუნ ცეცხლოვან საქურთხეველთან.

ოო, რა ნათელია შუბლი მგოსნისა, ამ შუბლს სამშობლოს საუკუნოვანი სევდა პფენია...

1999 წელი, სექტემბერი...

## ზვიად გამსახურდია - 85



საქართველოს პირველი პრეზიდენტი,  
(1991-1992 წ.წ.)

საქართველოს ეროვნული გმირი.

### წმინდა გიორგი

წმინდა გიორგი,  
დიდების მხედარო,  
კუმჩერ შენს ხატებას  
და სული მხნედ არი...  
შემუსრე უწმინდურ  
დრაკონთა ორგია,  
იხსენ სამკვიდრო  
შენი – გეორგია,  
დიდების უფალი  
მართალთა მწედ არი.  
წმინდა რაინდო,  
გველი არ დაინდო,  
მოგვმადლე იმედი  
და უფლის სვე-დარი!

ზ. გამსახურდია

ზვიად გამსახურდიას  
სიტყვა,  
წარმოთქმული 1989  
წლის 26 მაისს


„საქართველოს ძენო და ასულნო!  
მმანო და დანო! გეორგიანნო!  
ქრისტეს აღსდგა! ჩვენთან არს ღმერთი!  
ჩვენი არსებობა, ჩვენი ყოფა დღიდან დასა-  
ბამისა ადასტურებს რომ ჩვენთან არს ღმერთი  
და რომ ჩვენთან მარადის იქნება ღმერთი. და  
ამ რწმენით, და ამ შეგნებით ვძლიერ უთვა-  
ლავ მტრებს, ბნელეთის ძალებს, ბნელეთის  
იმპერიებს და ბნელეთის იმპერიათა შორის  
უდიდესსა და უბოროტესსაც დავამარცხებთ!  
რამეთუ ჩვენთან არს წმინდა გიორგი, რამეთუ  
ჩვენთან არს წმინდა სისხლი ჩვენი მოწამეე-  
ბისა, რომელიც დაიღვარა საქართველოსთვის,  
დაიღვარა ქრისტესთვის, კვლავაც დაიღ-  
ვარა 9 აპრილს! დიახ, მოწამეთა სისხლი,  
რომელიც შეუერთდა იმ წმინდა მოწამეთა  
სისხლს, ასიათასთა და მრავალთა ბევრთა  
მოწამეთა სისხლს და ეს მოწამეთა სისხლი  
გვიხსნის ჩვენ, მეგობრებო!

ეს არის ჩვენი ერის გზა. სხვა გზა ჩვენს  
ერს არ გააჩნია. ჩვენი გზა არის მოწამეო-  
ბრივი გზა, გზა ქრისტესი, გზა ეკლის  
გვირგვინისა, ჯვარცმისა და გარდაუვალი  
აღდგომისა!

წმინდა გიორგის ხატზე, ქართულ ხატე-  
ბზე, დრაკონის ადგილას გამოხატულია რო-  
მის იმპერიის სიმბოლო — დიოკლეტიანე,  
რომელსაც წმინდა გიორგი გმირავს სიმართ-  
ლის და ვაჟკაცობის შუბით. ასევე განგმირავს  
საქართველო დრაკონის ახალ იმპერიას!

გაუმარჯოს, დამოუკიდებელ, თავისუფალ,  
ქრისტიანულ, უძლეველ საქართველოს!“

## მერჩე კოსტევა-85



საქართველოს ეროვნული გმირი.

### „ქრისტე აღსდგა!..“

ეს მომხდარა 1978 წელს თბილისის სუკის ციხეში, სადაც მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია მოუთავსებიათ საქმე ნომერ 131-თან დაკავშირებით. აქაური საკანი უნდა ყოფილიყო მატარებლის კუპეზე ოდნავ მოზრდილი.

დღის სინათლე ატანდა გისოსებიანი ფანჯრიდან, რომელიც ჩვეულებრივზე მაღლა ყოფილა დატანებული კედელში. პატიმარი გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ მიზნითრკინის კარს ჰქონდა საგანგებო საჭვრეტი, საიდანაც ზედამხედველის ფხიზელი თვალის თეთრონი და გუგა მოჩანდა თურმე. დამდგარა ლიტანიობის დამე.

ადვილი არაა იმ სიმბიმილის ცხადად წარმოდგენა, ადამიანს რომ ეუფლება, ამგვარად შეჭირვებულს: მთელს საქრისტიანოში მორწმუნენი ზეიმობენ, ზარები რეკავენ, წირვაზე მყოფნი ერთმანეთს ეს ვევიან და ულოცავენ მარადიული ცხოვრების დღესასწაულს, აქ კი ჯერ კიდევ სიკვდილის აჩრდილი ტრიალებს. მერაბს შინაგანად უგრძვნია ამ უამის დადგომა, ზეწამოჭრილა, ხელებით ჩაფრენია გისოსებს, აწეულა ისე, რომ შიდა ეზონაწილობრივ დაულანდავს და მთელი ხმით დაუჭექავს: „ქრისტე აღსდგა!“

არ არის ძნელი იმის წარმოდგენა, თუ როგორ იმოქმედებდა ეს ხმა ციხის პერსონალაზე. დაახლოებით იგივე სურათი იქნება, თუ ერთ ჭიქა გახურებულ ზეთს კრაზანების ბუდეში ჩაღვრით. ამტყდარა განგაში. „ქრისტე აღსდგა!“ – განმეორდა კიდევ.

ზედამხედველები მერაბის საკანში შეჭრილან, ჩამოკიდებიან ფეხებზე, მთელი ძალით ეზიდებოდნენ დაბლა. მერაბი ფიზიკურად ისედაც ძლიერი იყო, „მაგრამ, ამ დროს საოცარი ძალის მოზვავება ვიგრძენიო“, იგონებდა.

„ვიძიახებ იქამდე, ვიდრე არ მიპასუხებს ვინმე“, ფიქრობდა თურმე. არადა, არსაიდან ისმოდა „ჭეშმარიტად!“ სიკვდილის, რღვევისა და გაქვავების საუფლოში. „ქრისტე აღსდგა!“ – ისევ სჭექდა მერაბის ხმა,

რაც ზედამხედველებს კიდევ უფრო აცოფებდა, მაგრამ ვერაფერს აწყობდნენ. და მერვედ თუ მეცხრედ დაძახების შემდეგ სადღაც შორიდან მართლაც მოისმა: „ჭეშმარიტად!“

ალბათ პატიმარი თუ იყო ვინმე. „მაშინ კი შევუშვი ხელები გისოსებს...“ – იგონებდა მერაბი.

კონსტანტინე გამსახურდია,  
2006 წელი.

## ლიტერატურული ნობათი

### ჩ ო რ ე ხ ი

სკოლიდან მხიარულად გამოცვივნულ ბავშვებს სოფლის დიდ ცაცხვთან დაგვხვდებოდა ჩორები და როგორც ბატქნებს მწყემსი, ისე გადაგვარჩევდა რამოდენიმეს და გვმოძღვრიდა, გვწვრთნიდა, გვრჯულავდა, გვასწავლიდა

ჩვენი ნამდვილი მასწავლებელი მართლაც ჩორები იყო და არა ჭროლა ლონგო, რომელმაც თავისი გაკეთილების მეტი არაფერი იცოდა!

დარბაისელი ჩორების საგანი ერთადერთი იყო – საქართველო და მისი სიყვარული!

და აი, ახლაც, ცაცხვის ქვეშ, გვიკითხავს „საქართველოს ისტორიიდან“ ოვედორე მღვდლის თავდადებას და ბოლოს ლოცვასავით ჩაგვიკითხავს ზეპირად, როგორც გულში გადამდნარ საკუთარ გულისთქმას, და ხმამაღლა გაგვამეორებინებს „კალმასობიდან“:

„ქართველნი წინაპარნი ჩვენი იყვნენ თუმცა კირთვებასა შინა სხვათა და სხვათა მპყრობელთა მიერ, – მაკედონელთაგან, რომაელთაგან, ბერძენთაგან, ევვიპტელთაგან, სპარსთაგან, სკვითთაგან, ოსმალთაგან და ჩინგიზთაგან, მაგრამ სიყვარული მამულისა და სიმაგრე სულისა ვერა დაატოვების, იძლევდნენ და სძლიეს, იდევნენ და განდევნეს და ესრეთ მოიგეს უკვდავებისა სახელი!“

ამ სიტყვებზე ჩვენ ვბორგავდით, ვბობოქრობდით, აღარ ვიცოდით, სად წაგველო ხელები.

რა გვაწროთობდა მაშინ ქართველ ბავშვებს? – „დედა ენა“, „ჯეჯილი“ და რუსთა მეფის სიძულვილი!

მამულის თავისუფლების აზრის ცაცხლი იძვროდა ჩვენს სულში, მან დააალმურა ჩვენი გონებაც და უკვე მოზარდები, მამულის სევდით სახეშეკომლილები დავდიოდით. ეს სევდა გვაკაუებდა მაშინაც, ულვაშის გინგლი რომ დაგვეტყო, როცა „ყოველივე ფერმკრთალდებოდა ოცნების წინაშე!“

თუ აქამდე ჩვენ გვწამდა „წმინდანი ზეცისანი“, ახლა შემოგვესხივნენ „წმინდანი ქვეყნისანი“, – ჩვენი ქვეყნის მამულიშვილები, – ვახტანგ გორგასალი, დავით ალმაშენებელი,

თამარი, გიორგი ბრწყინვალე და, როგორც ჩორები იტყოდა, „ხმალშეუხსნელი ერეკლე!“

ერეკლეს სახელს ჩორები უსათუოდ ოხვრით დაატანდა: – ა, ბეჩავ, ბაგრატიონო!

ბაზალეთის ლერწმოვანები ჩვენთვის საიმედოს მღეროდნენ და ყურიც კარგად არჩევდა შორეულ მუსიკას.

„უკეთუ დაგვიციწყო შენ, იერუსალემ, დაივიწყე მარჯვენე ჩვენი!“ – ეს იყო ჩვენი პირველი აღთქმა მამულისადმი, აღთქმის საყვარელი გამოოთმა!

– ემთხვიეთ ქართულ მიწას! – და ჩვენც ვემთხველით.

– აკოცეთ წარსულის ნაშთებს! – ჩვენც ვასრულებდით ჩორების ბრძანებას და ძველი ტაძრის თუ კოშკის ხავსიან ქვებს დაჩოქილები ვეამბორებოდით.

ბავშვი ისე არ გაეტირება თავის დედას, როგორც ჩორები მისტიროდა საქართველოს წარსულ დიდებას.

გაშლიდა რუკას, შემოგვისხამდა გარს, დაადებდა თითს რუკაზე:

– მესხეთი, – შეეალერსებოდა, თან ლიმილით იტყოდა, – ჩემი გვარიც იქიდან არი! იქიდან ვართ წამოსულები!

– სამცხე, აჭარა, შავშეთი, ტაო, კლარჯეთი, ერუშეთი, სრულიად ჭანეთი, – აი, საქართველოს ნატამალი! კურთხეული მხარე! არ დაივიწყოთ საქართველოს მოჭრილი ძუძუ! ჩვენი აკვანი! ქართული სალმით ამოდის იქ მზე. იქ გამოიგონეს ქართველებმა პირველი ფოლადი; იქ დაარტყა პირველად ურო თუბალაურმა!

„აწ მტვრად აღგვილან იგი ძალი და იგი ღონე!“

თითებს შემოატარებდა ჩვენს დაგლეჯილ მიწა-წყალს და მთრთოლვარე იტყოდა:

– იქ ჩვენი ქედ-წაგრებილი მომძენი ცხოვრობენ, ქართველები. გადაწვეს ჩვენი ტაძრები, ციხე-კოშკები, სულ ნაღმებით ააფეთქეს, ბევრი იმაგრა მესხეთმა, ომში გადადნა, მაგრამ ძალამ აღმართი მოხნა, ბევრი სისხლი გვაქვს გამოშვებული!

— მეცოდება ჩემი სამშობლო — საქართველო ნაქარალი, ნაქორალი, გაგლეჯილ-გამოგლე-ჯილი, დაჭრილი არწივი, ვეფხვი უსულოდ დანარცხებული!

მოთქვამდა და მოთქვამდა:

— ეჲ, როდის აკუწება წიბონი გველეშაპი-სა? ვაი, მამულო, ნაჭირნახულევო, სისხლით შეღებილო, აკლებულო, დამწვარო, ტყვექმ-ნილო, იავარქმილო, ვაი, ძნელბედო, ვაი, მამულო, გამესამედებულო!

ჩორეხი თვალნათლივ ხედავდა საქართ-ველის ჭრილობებს, თითქოს ხელს ურევს ამ წყლულებში და იქიდან იღებს გამოულეველ ძალას ბრძოლისას, სიყვარულისასო!

ეს იყო მისი გულის ნაღარი.

უცბად დაცემოდა გულის სიღამე:

— ვაი, ნაოხრობას, დაქცეულობას! არ გეს-მით ნანგრევების დაღადისი?

— იმარხება საქართველო, იმარხება ქრისტეს კუნძული!

— ღმერთო, შენი მაქვს იმედი! ფეხზე ააყენე ჩვენი მამული, ჩვენი შემფერხებელი ისტორია, მოგვეც განახლების ძალთა ღონიერება! ღმერთო, შენ დაამხე ჩვენი მტერი ქართველთყლაპია!

— აღსდექ საქართველოვ! — თან ფეხს ღონივრად დაარტყამდა მიწას.

— აღსდეგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი და ივლტოდეს მოძულენი მისნი პირისაგან მისისა!

— ესე არს დღე იგი, რომელ ქმნა უფალმან! ვისარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა! — თითქოს წინასწარ ზეიმობდა ჩორეხის სული. — მალე გავიგონებთ მომავლის ხმას, მალე!

მაგრამ უეცრივ მოიღუშებოდა მისი შავი და მკაცრი სახე.

— შავ ზღვაში ჩავარდა მზე საქართველოსი! რაღა ამოიყვანს?

— რამ შეგადარდა, ჩორეხო?

— რათ დაჩუმებულა საქართველოს წიაღი, რათ? მესხია რას იგვიანებს? — გმინავდა ჩო-რეხი.

— პატარა ერი ვართ! ეჲ, რაც მკლავზე სისხლი დაგვდენია! სულ სისხლმა იავდრა ჩვენს მიწაზე! აი, ეს მარწყვიც კი ჩვენი წინაპრების სისხლის წვეთია, — იტყოდა ჩორეხი, როცა მარწყვს მოსწყვეტდა.

— ქაღალდზე მეოცნებეთა დრო წავიდა! საქმე საჭირო, საქმე! — და თვალებში რომ სევდას

შეგვატყობდა, გაგვაშნევებდა: — ისევ დაისხავს ჩვენი ვენაზი. ისევ დაგვებადება რუსთაველი, აღმაშენებელი, თამარი! ნუ გეშინიათ!

იმდის დაოქროებაც კარგია! რა ვქნა, რა ვუყო ამ სიყვარულს, სათქმელად რომ დუღდება გულში!

— ქუდზე კაცი! ქუდზე კაცი გამოვიდეს და დავიხსნათ მამული! — შესძახებდა უცბად აღგზნებული ჩორეხი და თვალები ცეცხლით ევსებოდა.

— ქუდზე კაცი! — ყვიროდა ჩორეხი და ცოლი ორივე ხელს პირზე აფარებდა:

— დაჩუმდი, კაცო, არ გაგიგონ, არ დაგვ-ღუპო!

ლონემიხდილი ჩორეხი უღონოდ მიუშვებოდა ტახტზე.

— ო, ყური მომიგდეთ, რა არის თქვენი სამ-შობლო და კარგად დაიხსომეთ! — გვეტყოდა ბავშვებს და თვითვე მიუგებდა: „გარნა არს ქვეყანა მშვენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა ღვთისა მიერ“!

— „ნაყოფიერი ყოვლითვე, ვენახ-ხილითა, თესლ-მარცვლითა, ფრინველი მრავალნი, გა-რეულნი და შინაურნი, ზამთარ თბილი და მშვენი, ზაფხულ შეზავებული. წყარონი ცივნი, მშვენი, ჭალა-ტყენი, ბალახნი და ყვავილნი მრავალნი“

— ო, აი, ჩვენი სამშობლო!

კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ, ლამაზად მორთულ და მოკაზმული.

მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიკვდება გული!

ჩამარცვლით ჩაყოლებდა ლექს და იქვე შეგვასწავლიდა

— დიდი მშრომელი ხალხი ყოფილა ჩვენი წინაპარი ქართველობა! შეხედეთ, ჩვენ სამშო-ბლოში პატარა გორაკიც კი არ არის, რომ ზედ არ იდგეს ტაძარი, ციხე-კოშკი, სიმაგრე. დიდი ოფლია დაღვრილი, დიდი! ეს უნდა გვახსოვდეს. მარტო ყანწის ტრიალი კი არ ვიცოდით!

სამაგალითოდ გვაჩვენებდა ძველ, საგვარუ-ლო ხელნაწერს, მისი პაპის პაპის, მამამზეს მიერ ერთი კალმით გადაწერილს.

წიგნის ბოლოს მართლაც ეწერა:

„მოიხსენეთ, რომელ ერთის გამოჭრილის კალმით დამიწერია, რომ არ გამომივცლია კა-ლამი და ჩვემ შემდგომ, ვინც ეს ასე მწერლობა ეცალნის, საქებელ იყავნ“!

ჩორეხი ხელს დაჭრავდა წიგნს და იტყოდა:

— აი, ვინ იყო ჩემი პაპა! მათი სული კიდევ

მუშაობს, — ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვანი დადგეს და არწევენ ახლაც, ამწამს, შიგ ოქროს ხუჭუჭომიანი ყრმა წევს, ჩვენი მომავალი, ის ყრმა გაიზრდება და გაათავისუფლებს საქართველოს!

ასე სწამდა ჩორეხს, სასწაულით, ხელგაუნძრევლად თავისუფლების მოპოვება. გაიზრდება და გაათავისუფლებს! ჩაგვიკითხავდა ლექსს ბაზალეთის აკვანზე და შემპარავი სიტქბორებით მოგვიყვებოდა: ბაზალეთის ტბის ძირას ძვირფასი ოქროს სახლია თურმე! ჭერი ვაარსკვლავებისა არის, იატაკი თვალ-მარგალიტით შემკული, შუა იატაკზე ოქროს აკვანი დგას თვლებითვე მოჭედილი. ზედ მტრედი ზის და არწევს ამ აკვანს ის მტრედი თამარ დედოფლის სულია!

დღევანდელი ცხოვრებისა ჩორეხს ბევრი არა გაეგებოდა რა, „არა შეესმოდა“, შოთას თქმისა არ იყოს, „სოფლის გაღმა გაებიჯა“. იყი მხოლოდ წარსულში იყო შელტოლვილი და იყოცა მისი მბევალი!

თვით მისი მეზობელი სოფლის მღვდელი ზირაქი, სულის კაცი, ისიც კი დასძენდა: — არც მეტის მეტი განტევება უნდა ცხოვრებისაგან. ნათქვამია, ეშმაკი რომ სახლს აგებდეს, ერთი ქვა შენც დაადეო!

მაგრამ ჩორეხი მხოლოდ წარსულით სუნთქვდა.

როცა წარსულზე ჩამოვარდებოდა საუბარი, პირველად თამარი უნდა ეხსენებინა. გზნებით აღიგზნებოდა: — ჯერ გული გავიწმინდოთ, სიტყვა მოვილამაზოთ, მერე ისე ვახსენოთ ჩვენი ლამაზი დედაო, და დაატანდა მამია გურიელის ლექსი:

თამარ! — ვინ იტყვის რა იყო,  
მეათასედსა ნაწილსა!

თან დაადიდებდა: „დიდი თამარი, საქართველოს დედათა პირის წყალი!“

თამარის ნაწალმართევი საქართველოს ყველა გორაკსა და მწვერვალზეა დარჩენილი, აბა, შეხედეთო! არ ასვენებდა თამარის ასხივებული დიდება:

- სიცოცხლითვე დედამიწას არ ეკარებოდა! ერთ ადლზე მაღლა დადიოდა მიწიდგან.
- მაშ შვილი როგორდა ეყოლა?
- როგორ არ იცი, მზის სხივის მიერ ეყოლა შვილი! — ისეთი დარწმუნებით გვეტყოდა, რომ შეუძლებელი იყო, არ დაგეჯერებინათ. ძალიანაც აწყენინებდით.

თუ რამეს დავაშავებდით ბავშვები, დაგვაშინებდა, — დიდი პირიმზე გაჯავრდება, თამარ მეფეო!

ერთხელ, ერთ მორჩილს, საფქვილე გუდაში ბლომად ფქვილი რომ ჩაუყარა, ჰკითხა:

- რომელ წმიდანს ემსახურები?
- თამარ ღვთისა სწორის სამლოცველოს!
- სად არის ეგ საყდარი?
- გომარეთში, ხევ-გაღმა დვალეთთან!

აღარ გაუშო მორჩილი. მთელი დღე დასვა, ასადილა, პატივი სცა. ფულიც აჩუქა და ბევრიც ელაპარაკა თამარ მეფეზე. მეორე კვირას, შეჯდა თავის კავშა ცხენზე და გაემგზავრა გომარეთს, თამარის ხატის სანახავად და დიდადაც კმაყოფილი დაბრუნდა.

შინგაზრდილი მწიგნობარი ჩორეხი „ვეფხისტყაოსანს“ „შოთას ძღვენს“ უწოდებდა.

— ნეტა ჩემს გახარებას! — და გაშლიდა რუსთველის წიგნს.

- შენს პირს შაქარი, ოქროს ნისკარტო!
- შეელზინებოდა, თითქოს ოქროს ბულბულს იჭრის წიგნის თითოეულ კაბადონზეო. კვირაძლზე შოთას სურათს სანთელს უნთებდა, როგორც წმიდანს და ოთახში ჩაკეტილი, მარტო, ხელაპყრობით ავედრებდა საქართველოს.

— დიდო რუსთველო, ლექსთა მამაო!

— ოდეს ენანი დადუმდეს და არავინ დაღადებდეს, მაშინაც რუსთველის სიტყვა იქდერებს მხოლოდ! შოთას ლექსის წინაშე ყოველი საქმე დადუმდება!

დიდად მონდომებული იყო ჩორეხი, წასულიყო რუსთავს და ჩოქით, თაყვანისცემით შემოევლო რუსთავის მიწა-წყალი!

— რა წიგნია! რა მაღლად და შშვენივრად თქმული! საქართველოსი კი არა მარტო, სამთელქვეყნოა! ტყუილად კი არ უთქვამს თვითონ შოთას:

სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო,  
ცათამდისცა ხელი აპყო!

— ნეტავ, რა გულიდა უნდა შერჩენოდა შოთას, როცა თავისი გული ასე მძლავრად დაადნო თავის ნაწერში.

ტკბილად ჩაიკითხავა:

- „ანუ არის ბრძენი ვინმე,
- მაღლალი და მაღლად მხედი,
- არცა ლხინი ლხინად უჩანს,
- არცა ჭირი ზედა-ზედი,
- ვით ზღაპარი, ასე ესმის,
- უბედობა, თუნდა ბედი,
- სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს,

გონება უმს, ვითა ტრედი!“

შოთას ამ ლექსეში ჩორეხი უპირველესად თავის თავს ჰყულისხმობდა, დღიურ საქმეთაგან განდგომილსა და შორეულ ოცნებაში გარდასულ საკუთარ პიროვნებას. და მისთვისაც საგანგებოდ მოსწონდა ეს ადგილი. შოთას კითხვით დამტკარი, აღფრთოვანებული, ხელს მაღლა აიშვერდა და იტყოდა:

— რით არის სახარებაზე ნაკლები? — მიაჩერდებოდა მღვდელს და თან დასძენდა: — შემრისხენ და შემიწყალენ, მამაო, ვითხოვ მეოხებას!

მაგრამ მღვდელს არცა სწყინდა, არც ეცალა რუსთველისათვის. ის მეტად მიწიერი კაცი იყო და ხეჭაში გართული.

— ვკითხულობ და გულს ძერა ემატება!  
— განაგრძობდა ჩორეხი, განა ასეთი თაყვანისმცემელი და ტრფიალი სხვა კიდევ იქნებოდა რუსთველისა?

— მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები! ტყუილად კი არ უთქვამს დალოვცილს!

მაგრამ რუსთველის ლექსის გარდა, მამულიშვილ ჩორეხს კიდევ უყვარდა ბიბლიიდან ეს ადგილი:

„მდინარეთა ზედა ბაბილონისათა დავსხედით და ვსტიროდით, რაუამს მოვიჩსენიერთ ჩვენ სიონი!

ძეწნთა ზედა შორის მისთა დავკიდენით საგალობელნი ჩვენი.

უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ, დაივიწყენ მარჯვენე-ცა ჩემი!“

დადიოდა ქედდადრეკილი, გულშეძრული მამულიშვილი, ოხრავდნენ მისი გულის ბაგენი და გმინვანი შორს ისმოდა:

— ვაი, ფრთამოტეხილო არწივო! ბოლომოჭრილო ხოხობო! ვაი, ქართლო, საქართველო!

მორწმუნე ჩორეხს სრულიადაც არ სჯეროდა, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილზედომი იყო:

— ღვთისმშობელო, თუ შენი წილი ვართ, შენი წილდებული და ხელდებული, რაღათ ააოხრებინე ლექსა და თათარს საქართველო, ეს ვერ გამიგიაო!

— არა, მმაო, თუ ღვთისმშობლისა იყო საქართველო, განა თავის მამულს ვერ მოუვლიდა?

— იტყოდა გაკვირვებული.

სულ ერთთავად დადიოდა, ან შარაგზაზე უნდა გენახათ, ან ტყე-ღრეში იარებოდა აწოწ-

ილი, წვერულვაშიანი, სათვალიანი, გამხდარი, ახოვანი ჩორეხი. მკაცრი შესახეოდაობისა, თმაგაბურძგნული, უქუდო, მტკრიანი, გაოფლი-ანებული, ძველებურ მასრებიან ჩოხაში, ხარა-ზულ წულებში.

ყოველდღიური ხეტიალისა და წანწალისათვის მუდამ ჩანთით, წერაქვითა და ჭოგრით მავალს, წანწალოსანს უწოდებდნენ:

— მოდის ჩვენი წანწალოსანი!

სოფელში ალმაცერად უყურებდნენ. თუმცა პატივს სცემდნენ უანგარობისათვის.

— ნეტავი დღეს რა გათხარა, სად რა ხაზინა იპოვა? — კითხულობდნენ მეზობლები, მეგობრები, დასცინოდნენ. მაგრამ როცა მოუახლოვდებოდათ, პატივისცემით შეეგებებოდნენ, ისიც გააცნობდა თავის ახალ აღმოჩენებს, წენად, დამაჯერებლად.

ლამეობით ჩორეხს ერთთავად ვახუშტის ისტორია თუ გეოგრაფია ედო წინ და მის შემოწმება-შესწავლაში ათენებდა დამეს.

— ვეჟო, ნუ მისცემისარ უქმისა და უსიცოცხლო არქეოლოგიურ ოცნებებს! გეყო გუნდრუკის კმევა წარსულისადმი, სულს ნუ იჭუჭყიანებ წარსულის მტკვრით! — შესძახებდა მეგობარი.

— ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც მთავრდება წარსულის ხსოვნა! — უპასუხებდა ჩორეხი და განაგრძობდა: — ჩემი გონების მანათობელი ჩემი ქვეყნის წარსულია! მისი შუქი მესხივნათელა! იცი, რა ტკბილია წარსულზე ოცნება!

მართლაც, წარსულზე ფიქრით იყო დაფერფლილი და მით სამშობლოზე მტლედ შემოდებული ჩორეხი.

— აფსუს, რა ბიჭი იღუპება ქვეყნისათვის! — გულმტკივნეულად დასძენდნენ მეზობლები.

დიდი ფიქრი ჰქონდა ჩორეხს ნატვირთი, დიდ სევდას ატარებდა; მისი არავის ესმოდა და ასეთ განდგომასა და ხვაშიადის კრძალულებას ზოგი ზვიადობაში ართმევდა.

დილით გასწევდა ტყისკენ, მთისკენ, ახალ-ახალი ისტორიული ნაშთების საძებრად. ხელით გადასწევდა დაბურულ შინდსა თუ თხილსა, კუნელსა თუ წითელი ასკილის ტოტებს, ტაბარს რომ გარსმოჰვეოდა, გულმოდგინედ ეძიებდა ფრესკებს და უსურვაზიან ქვებზე ამოკეთილ წარწერებს. სევდით ივსებოდა, გული ეტირებოდა, როცა ნანგრევებთან იხილავდა გადაჯიშებულ ვაზს, — ველურ კრიკინას, ზოგჯერ მხარს რომ ძლივს შემოატევდი.

შინგასწავლული აზნაური ჩორეხი უძვილდირო იყო.

შავი გურანა თითქმის ძალით შერთეს, რომ გვარი არ ამოვარდნილიყო. უსწავლელი იყო გურანა, ძლივს იცოდა ყვავისფრჩილოვანი წერა.

უმეცარმა და უწყინარმა პატარძალმა მაღლე გამოაჩინა მიმალული ჭანგები. ტყე-ღრეში მოსიარულე ჩორეხს უსაფუძვლო ეჭვებით სტანჯავდა, საყვარელთან პაემაზე ხომ არ დადის ტყეში! ბევრი დღე უსამართლოდ გაუმწარებია ჩორეხისათვის, მაგრამ რომელ ქმარს არ გადაჰქიდა „ესე ამბავი“ მგრძნობიარე ცოლისაგან?

ჩორეხმა ძილში ლაპარაკი იცოდა, და პირველ ხანებში ალქატი გურანა ჩუმად ხაშ-ხაშს აპარებდა, აძინებდა და მთელი ღამეობით სულ თავთ ეჯდა ქმარს, უგებ საყვარლის სახელი, ანუ საქმე წამოსცდესო! გაფაციცებით ეჭირა გულისყური! გათენებამდე ფხიზელსა და ღამენათევს მხოლოდ დილით ჩაეძინებოდა. ასე ნებაყოფლობით იწამებდა თავს ბედკრული ქსანტიპა, ახალმა სოკრატემ კი არაფერი იცოდა.

რა უნდა წამოსცდენოდა ხეტსა და ოლოლოს თუ არა ნადარბაზევი, ნაპალატევი, ნაქალაქარი, ნაკოშკარი, ნარუჯები, ნაოხრები, ნალეწები ბევრი ღამე უთია მძვინვარე ცოლმა მშვიდად მძინერე ქმარს და ბოლოს მიანება თავი. ახლა კი ჩორეხს გინდაც ათი საყვარელი მოეყვანა, სულაც აღარ ენაღვლებოდა გურანას. ერთი კი სჭირდა, საღამოობით, ნაშთების ძიებიდან დაღლილი, ტყე-ღრეში ნახეტიალები ჩორეხი შინ რომ დაბრუნებოდა, გურანა უსათუოდ ცეცხლზე წყალს დაასხამდა, ევონა, ძევლი კოშკებიდან, ეკლესიებიდან, აკლდამებიდან ჩორეხს უსათუოდ ქაჯები, ეშმაკები და ავი სულები მოჰყვებიანო და შემოყოლილ ეშმაკებს ოხშივარი გარექსო! ახლა იმათ ებრძოდა გამწარებული, ქმარი არ მიმიხილონ, არ წამართვანო! აი, ასეთი თანამოაზრე მეგობარი ჰყავდა საბრალო ჩორეხს.

ერთხელ, ნაქალაქარის ტყის ნატაძრალიდან ძველი ხატი ჩამოიტანა. ზედ გამოსახული იყო წმიდა გიორგი, ხუჭუჭოთმიანი, ალისფერ ტანისამოსში, თავზე ჩაჩქანი უელავდა, ხელთ შუბი და ფარი ეპყრა. ძირს, წმიდანის ფერხთა ქვეშე ხმლით დასისხლული, კბილებდაღრჭენილი ვეშაპი გართხმულიყო.

— ერთხელ ვეშაპი დაამარცხა, ახლა კი წვიმის წვეთებს დაუუჯაბნიათ! — შეწუხებული ხმით მეტყოდა ჩორეხი წმიდაზე და თან დასძენდა:

— ნაწვეთს უდენია ზედ ხატზე! ეპ, რამდენი ძველი დახატულობა იღუპება. წვეთი რო დასდით, თითოეული წვეთი მე გულს მიღარავს, გულს მიხვრეტს, დამებებით არ მეძინება, ტანჯვაში ვარ, გამოუთქმელ ტანჯვაში! იღუპებიან ჩვენი სიძველეები ყოველწამიერ, შეიძლება ჩემს სიცოცხლეში სულაც წაიშალონ! იღუპება, ჩემს თვალწინ იღპება! — გმინავდა ჩორეხი, გულთ ეყრებოდა და წამალი ვერსით ეპოვნა.

— რათ გინდა დაობებული ხატები? — შეკრებილებაში შეეკითხა ახალგაზრდა კნეინა. სჯობდა კი, რომ არ ეთქვა, ისე მრისხნედ შეხედა ჩორეხმა.

მახსოვს, იმავ შეყრილობაში ამბობდა გულმობრუნებული ჩორეხი:

— ვენაცვალე საქართველოს! რა მომცემი მიწაა! რძეც სდის და თაფლიც! ჩვენი ბუნება ერთი ხელით ოქროსა ჰყრის, მეორეთი — ვერცხლს! ღალიანი მიწაა, მაგრამ თვითონ ჩვენ, ქართველობა, რათა ვართ გადამწირული?

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ვითარებაც აფიქრებდა წანწალოსანს. ამიტომაც, ძევლი ნაშთების გარდა, ხეტიალის დროს ღელებსა და ხევებში მაღნებსაც ექცდა. დიდი სისათუთით ჰქონდა პარკებში შენახული ოქრონარევი ქვიშა, მომბზინავი რიყის ქვები და სხვა მინერალები, როგორც დიდი მაღნების ნიშნები და დიდ იმედებსაც ამყარებდა მათზე, — მომავალი მოდგმისათვის.

ნაღვლიანი ჩორეხი მოლად იმედიანი გახდა მას მერე, რაც ერთხელ, ნანახი სიზმრის შემდეგ, უცნაური ქვა აღმოაჩინა საჩვენოში, უჯარმის ნანგრევებში, სწორედ იმ ადგილას, საღაც სიზმარში ეჩვენა, ქვემო კოშკის ლიბოში.

მეც თვითონ მსმენია ხალხში, რომ უჯარმის მფლობელი ვახტანგ გორგასალი ხელთ ოქროს ბურთს ათამაშებდაო.

აი, ამ ბურთად მიიჩნია ოცნებით მთვრალმა ჩორეხმა ეს მართლა ბურთივით მრგვალი ქვა, სხვინარა, ოქროს ზოდივით მომბზინვარე. ზედმიწევნით სკეროდა ჩორეხს, რომ სწორედ ის ოქროს ბურთია, გორგასალი რომ ხელთ ათამაშებდაო! რაკი სიზმარმა უთხრა, რომ ეს ქვა კარგი ნიშანია, ჩორეხმა, დიდი იმედების ნიშნად, პირდაპირ ეროვნების სამლოცველოდ გაიხადა ეს ქვა. ხან უჩოქებდა, ხან ემთხვეოდა, ხან გულში იკრავდა.

მართლაც, სწორედ აღგზნებულ ქადაგს ჰეგავდა მაშინ ჩვენი ჩორეხი!

სულ გამოიცვალა, რაც მოიპოვა ელვასავით გამომკრთალი, ბრწყინვალებით აელვარებული ქვა; მას ეგონა, ქვის ოქროს კრომა თავისუფლების ღვთის კრომა იყო. არც ერთ მპრობელს არ ჰქონდა ამქვეყნად ასე დანივთებული სიძლიდრე, როგორც მეოცნებე ჩორებს.

— ნეტავ, სადმე კიდევ თუ იქნება ასეთი განბი და შესამკობელი? — იტყოდა გულში სახემტკბარი.

— ახლა კი ეშველა საქართველოს! — გულში გალობა და ზატიკობა უნდოდა

ეს ყოველივე მისი ფიცხელი გონების ნაგონარი იყო და ჩორებს ნამდვილად ეგონა, რომ ეს პატარა ქვა სიკეთის უცილოდ ზეგარდმო ნიშანი იყო.

ბოლოს იხმო მღვდელი, დიდი საიდუმლოებით სახარების ფიცით გაენდო, ქვაც უჩემდა, თუმცა ხელი არ ახლებინა, როგორც სიწმინდეს, და ფიცის ჩამორთმევის შემდეგ დავვედრა, წმიდა ქვა ტრაპეზში დაეკრძალა, მთავრობისაგან ფარულად, შთამომავლობისათვის გადასაცემად. მხოლოდ წელიწადში ერთხელ უნდა ეხილა ეს ქვა თვით ჩორებს, — სახელდობრ, აღდგომა ლამეს, ლიტანის შემდეგ.

გორგასლის ქვა დაგილიდგულებული ჰქონდა ჩორებს, — მისი დარღების მოსაფონარი.

ახლა ქართლოსის საფლავი და ქართლოსის ძეგლის თავის აიჟინა.

— უნდა ვიპოვოთ!

— წმიდა ნინოს ლოცვით სეტყვამ არმაზი კი არ დაამსხვრია, არამედ ქართლოსის ოქროს ძეგლი! ქართლოსს იქროს თავი ჰქონდა გამოქნდაკებული, ბრწყინვალე! სეტყვის და ქარიშხლის მერე იქვე, ხევებში ჩაგორებულა, იქ უნდა ვეძიოთ, სადღაც იქ არის ჩამარხული, უნდა ვიპოვოთ და ისევ იქ დავდგათ, სადაც უწინ.

მსმენელები იღიმებოდნენ — მოზღაპრე გახდა!

ჩორები კი შეუპოვრად მისდევდა თავის ოცნებას, ვიდრე, ერთხელ, ჩენდა საოცრად, სრულიად არ გამოიცვალა, რაღაც დარღმა მოიქვეშია, მაგრამ ვინ იყო მისი ახალი დარღის თანამშილველი?

ოდესლაც მტკიცე და ლალი, ახლა რაღაც შესეტყვილი, მოღვედილი გეგონებოდათ.

რა დაემართა, რა ჩაქრა ჩორების გულში ან საიდან გაჩნდა მის გულში ნაცარი? რა სევდის ზღვა შემოადგა გულზე? ვერავინ ვერა თქვა! იყო სიტყვების გადაკოწიწება, ნართაული ხმები

ჭორელებისა, ფარული გაღიმებაც, მაგრამ კვანძი ვერ გაიხსნა, ვერა და ვერა!

— რა მოხდა? — საიდუმლო მერე ძლივს შევიტყვეთ, როცა მოვისმინეთ ჩორების აფოთებული ლაპარაკი. წირვის შემდეგ ვეება ცაცხოვან ცეცხლმოკიდებული შეეძგარა ზირაქ მღვდელს.

— ქვა მოუპარავთ, გორგასლის ქვა! მოიპარა მღვდელმა, რათა დაწინაურებულიყო მთავრობაში, ანგარძა, უძველეს ტაძარში ძველითგანვე დახიზნული ნივთეული, ხელნაწერები, საძნე ურმით ჩაუტანა თბილისში რუს ექსარხოსს, ზედ გორგასლის ქვაც მიაყოლა ტრაპეზში ჩამალული!

— ერის ქვა! ინდოეთიდან მოტანილი!

— რა პასუხს გასცემ ერს, შე უკეთურო, შენ ხომ გაძარცვე ქართველი ერი! მზეზე გაშავდა შენი სახელი! დაიღუპა დიდი განბი, გორგასლის ქვა! საოცარი, იმედის ქვა, რომელსაც სითბოცა ჰქონდა, ცეცხლივით შუქსაც იძლეოდა. განა იქროს სჯობდა? უოქროესი ქვა იყო, წმიდა ქვა, დალოცვილი, შელოცვილი გორგასლის ხელით! — ჩორებმა ხომ მღვდელს ჩაბარა შესანახად, ვიდრე „მამულის გამოხსნის დღე“ დადგებოდა.

ახლა კი...

გულაზავთებული, გულდამსხვრეული, ცეცხლმოკიდებული ეძგერა მღვდელს:

— რა უცა ჩემი დიდებული ქვა — საქართველოს სიმტკიცე, წმიდა ქვა! ფესვი მოათალე ჩვენს სიმარეს და მტერს მიართვი, შენივე ხელით ჩაბარე! — მღვდელს კი არაფერი ესმოდა,

— რა გესაწყვენარა? — ჰკითხავდა მღვდელი.

— და ნუთუ არ იცი, რა მნიშვნელობა ჰქონდა გორგასლის ქვას, ანუ ვინ იყო გორგასალი? შე ღვთის გარეგანო, ურჯულო, უკეთურო, მწარედ ცოდვილო, გაქსუებულო, საქართველოს დამშლელო, დამაქცეველო! ჩემი ცოდვის პასუხი შენ გაეცი! — თითქმის თავზე ნაცარი გადაიყარა

ზირაქ მღვდელი გაშტერებული იყურებოდა; სად ჰქონდა შესაქციელი, შესაგებარი სიტყვა? მას ჩორების რისხვისა არც ეშინოდა, მხოლოდ ენანგოდა, რომ ცდებოდა, საქმეზე მიმავალს უგვიანდებოდა და ჩორების პატივისცემით იდგა მის წინაშე, მეტი არაეფრი.

მაღალი, ქერა, აწითლებული, ამოგანგლული, მუდამ ანაფორაშემოკეცილი, სოფლის ამაოებაში გართული ქვრივი ზირაქ მღვდელი მეტად მიწიერი ადამიანი იყო, თუმცა სულის მხედრობას ეკუთვნოდა. მას წირვა-ლოცვისათვის არ

ეცალა, ერთგულად მუშაობდა თავის საოჯახო საქმეებზე და სხვასაც ამუშავებდა თავის გას-ამდიდრებლად.

სად ეცალა გორგასალის ქვისათვის? — ჰყავდა მოჯამაგირეები, მწყემსები, მეღორეები, მეჯიგეები. ჰქონდა საკუთარი წისქვილი, ჰყავდა ცხვრისა და ღორის ფარები, ვაჭრობდა ტყით, ჯონჯოლით, თაფლით, სანთლით, პურით, ღვინით, სინდისით; ჰქონდა საკუთარი ეტლი, ანუ „დილიჯანი“, თბილისში რომ დაჰყავდა მგზავრები, ჩუმად ჰხდიდა არაყს და ფულს ასესხებდა დიდი სარგებლით, ჰყავდა საყ-გარლები და ჩუმჩუმადვე კიდეც მაჭანკლობდა.

აბა, ასეთ მოუცლელ კაცს სად ეცალა გორგასლის ქვაზე საოცნებოდ?

დიდი და პატარა მღვდელს ემორჩილებოდა სოფელში. უიმისოდ არც ერთი საქმე არ ისკენებოდა: არცა მამულის ყიდვა-გაყიდვა, არც საძირკვლის ჩაყრა და მით უფრო, არც ქორწილ-ძეობა-ნათლობა, სახლის განათვლა, სიკვდილი, საღვთო და საერო საქმე, სულისა თუ ხორცისა!

ყოველივე და ყველაფერი ზირაქ მღვდელს უნდა დაელოცნა.

მრავალი ქორწილი ჩაშლილა მხოლოდ მისთვის, რომ მღვდელს სასიძო ან საპატარძლო არ მოსწონებია. მრავალი გონჯი ქალი გათხოვილა კოხტად შეღერებულ ბიჭუზე და მრავალი უსახური, მაგრამ შეძლებული ვაჟი, მღვდლის იმედით, ლამაზი ქალის პატრონი გამხდარა. ამ ნიადაგზე მღვდელს მრავალი მომღურავიც ჰყავდა სოფლის მზეთუნახავებში! მაგრამ ვინ შეაბამდა „სულქონიან“ კატას ეუვანს?

ხშირად, ქრთამაღებული მღვდელი ასე ლოცავდა შებერებულ, შემჭერარ პატარძალს: „გამრავლდით, ვითარცა აბრამ და სარა, ვითარცა იაკობ და რახილი“-ო!

არ უყვარდა ბერს ბერწი, უშვილო, უნაშენო ხალხი, რომელთა საგულდაგულოდ იტყოდა ფსალმუნიდან: „ნეტარ არს კაცი, ვითარცა ხე დანერგილი, თანაწარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცის ნაყოფი თვისი უამსა თვისესა და ფურცელნი მისნი არა დასცვივენ“!

აივნის დაპირისპირებით, ეზოს ყურეში, შემოწნული იყო საქონლის ბაკი. იქ მღვდლის საქონელი ება. ბაკი სავსე იყო ნეხვითა და ყვითელი, ჩაგუბებული წუმბით. შებინდებისას დაეყრებოდნენ ნახირიდან დაბრუნებული კამეჩები, ხარები, ძროხები, განარებული შავი

ბუღა. ისმოდა თქერა, დგრიალი, ხვნეშა. ქვრივი მღვდელი იჯდა აივანზე, სვამდა ჩაის და თან პურისმცხობელ მარინეს ეაშიკებოდა.

აბა, მითხარით, სად ეცალა ზირაქ მღვდელს გორგასლის ქვისათვის?

გავიდა დრო, მღვდელმა არ აპატია და ჩორეხი დაასმინა. გაფითრებული ჩორეხი ჩუ-მად იდგა განრისხებული ექსარხოსის წინაშე, როგორც მთავრობის წინააღმდეგ დასმენილი მეამბოხე. ჩორეხს ხმაც არ ამოუღია ციხეში ჩასვეს, რამდენიმე თვის შემდეგ გამოუშვეს, რადგან ხელმოსაკიდი ვერა უპოვნეს რა.

დაბრუნდა შინ ჩორეხი მოტეხილი, მობერებული, მომჩვარული. თითქმის არავის არ სცემდა ხმას. მხოლოდ ჩიოდა, იმდენად ციხემ არ მომტეხა, რამდენადაც ქართველი კაცის ღალატმაო! მას ვერ წარმოედგინა ზირაქ მღვდლის საქციელი. ამიტომ ცხოვრებაზე ხელჩაქნეული დადიოდა ბოლოს ლოგინში ჩაწვა. სულის დორშა დაკეცა ჩუმად ღნებოდა, ჩაწვა, ჩაი-მუმლა. ვერ შეებრძოლა უცნაურ სენს, არც უნდოდა.

\* \* \*

შემოდგომის წვიმიან დღეს სოფლის დუქანში რამდენიმე კაცი „შესანდობარს“ სვამდა.

— რას წვალობდა, წანწალობდა ამდენს საწყალი?

— თან რა წაიღო, არაფერი! — თქვა აზნაურმა დოლამ და თვალი შეატარა სავსე სუფრას და კიდევ დასძინა:

— პურის მაღლმა, არაფერი!

— ან ჩვენ რა უნდა წავიღოთ წუთისოფლიდან?

— არაფერი! თქვენმა დღეგრძელობამ! — დაიძახა ბევრითამ.

— არც არაფერი! მამითქვენის მზემ, არაფერი!

— კვერი დაუკრა წვერიკმაზიამ.

— მაშ, დავლიოთ, — აზნაურმა დოლამ დიდი ჯამი გაავსო ღვინით და ჩამოარიგა:

— ღმერთმა შეიწყალოს ჩორეხი და სულით გაანათლოს!

— რა უნდოდა საწყალ ჩორეხს, არც ჩვენ გვიდებდა თაგა! მთელი სიცოცხლე ნანგრევებსა და საზინის ძიებაში გაატარა! ეცხოვრა, ჩვენ-სავით ღვინო მაინც ესვა, არ ერჩივნა? ღმერთო, შეუნდე!

ზირაქ მღვდელმა დამარხა. სიტყვაც კი შეაწია.

— უსასყიდი კაცი იყო, გარდაუწეველი მოსამართლეო, თუმცა ფიცხი და ეჭვიანი! მშვიდობის ანგელოზმა დამშვიდოსო იმქეყნად! მადლი და მშვიდობა ვუსურვოთ ჩორების სულსაო, თუ რაც უსჯულოებანი და ცოდვანი ჰქონია, მაღალმა ღმერთმა აპატიოსო! — ეს იყო და ეს!

სოფელი არ შეძრულა კუბოს გარშემო არ ისმოდა სალმობა, სულთქმა-მწუხარება თმები არავის გაუწეშია პირი არავის არ ჩამოუხოკია სისხლიანი თითებით. დასაკლისი ვერ გაიგეს. გურანა დაღვრემილი იდგა — ამდენი ჭიდრუბულება გამოვიარეთ ერთად, ახლა მარტოს რადა მტოვებო!

ანდერძის მიხედვით, ჩორებმა კოტმანის წმიდა გიორგის სამრეკლოს ქვეშ დაიმკვიდრა საფლავი.

ასე წავიდა ამ სოფლიდან კეთილი, თუმცა ძველმანი ადამიანი, დახავსებული თვალებით, დაღამებული გუნების კაცი, რომელიც მხოლოდ წარსულის დამეში ცხოვრობდა, რადგან არ ჰქონდა აწმყოს მხედაობა; იყო ცალმაგი, ერთმაგად ნაქსოვი ადამიანი, ერთის თვალით მხედავი!

— ახლა შენ გაიხარე ჩორების მემკვიდრევ!

— ჩორების ნებაწადილობით შენ დაგრჩა მისი მამული — სახლი, კარი, მთა-ბარი, წისქვილი, ვენახი, სახნავი, სათიბი, მარანი, ბაღი, კალო, საბძელი, კარ-მიდამო, — მიმართა დიდი ჯამით წვერიკმაზიამ ახალმოზარდ ოფიცერს — მამრიკა ჩაღლაძეს — გურანას მმისწულს, — ჩორებს კეთილი სახსოვარი, შენ — კარგად ყოფნის სიხარული! შენ იცი, დღეიდან როგორი კარგი მეზობელი გვეყოლებით!

მამრიკა იღიმებოდა, ჯერ თვითონაც არ იყო გამორკვეული, რომ ასე უცბად ზელთ ჩაუგარდა ამოდენა მამული, და დაბნეულიყო.

— ტომბახი ჩამოგვისხი, შენც მოილხინე, ხუმრობა ხომ არ არი ამოდენა მამული მოიგდე ხელთაო! — მიმართავდნენ ღვინის ნათლულები და მამრიკაც უხვად იხარჯებოდა მიცვლილი ჩორების ხარჯზე.

\* \* \*

მთელი ცხოვრება ჩორებმა ვახუშტის შესწავლასა და სიყვარულში გაატარა! რამდენი ღამე დასთენებია ზედ ვახუშტის გამო, რამდენი წყრომა გაუგონია ცოლისაგან! და ისე მოკვდა ჩორები, რომ ცოლმა ვერ შეიტყო, ვინ იყო ვახუშტი, ან რა ფასი ჰქონდა მის ნაღვაწს.

ჩორების სიკვდილის შემდეგ გურანამ მოკრიფა მისი მონაპოვარი თუ შენაძენი ძველი, არქეოლოგიური ნივთები: ქოთნები, სურები, მძივები, სამაჯურები, უანგშეწმული ხანჯლები, მახვილები, მათთან ერთად სამადნე პარკები და მთლად გადაყარა, — „ნასაფლავარიაო!“ — ეზიზ-ლებოდა, ეშინოდა. გოგოებმაც კი არ წაიკარეს მისაჩუქრებული ნამკვდრევი მძივები.

ხოლო ვახუშტის წიგნები, თვითონ ჩორების ნაწერები და წერილები გურანამ ხელიერთპირ-წმინდად გასახვევ ქაღალდად მიჰყიდა ისაკა ებრაელს. დარჩა მხოლოდ ვახუშტის სურათი, თვით ჩორების მიერ ფერადი საღებავით დახატული.

გურანამ სცადა სურათის გაყიდვაც, მაგრამ არავინ იყიდა, როგორც იყო, ჩარჩო გაასაღა, მაშინ გაძარცული სურათი გატეხილი მინის მაგიერ ჩასვა სარკმელში!

ჭუჭყიანი ფანჯრიდან სევდიანად იყურებოდა დაღვრემილი ბატონიშვილი ვახუშტი თითქოს ჩორების დაკარგვასა და თავის ბედს დასტიროდა გურანას ხელში!

გურანას კი უკვირდა, რომ მისი მეუღლისა-გან არავითარი საქმე და დოვლათი არ დარჩა. მართლაც, აბა, რას უჯდა იმისი კაცი მთელი სიცოცხლე?

ამ წიგნების იქით, ამ ძველმანების გადაღმა, გურანას კიდევ რაღაც „დიდი“ ეგულებიდა და ეს „რაღაცა“ რომ ვერ აღმოაჩინა, რომ მას ხელი ვერ შეახო, — ეს ძალზე უკვირდა... \*

აღარ არის ჩორები — სამშობლოს ბედით მუდამ მჭმუნვარე, ჭირნანახი, სევდით გულდაღამებული, მხოლოდ წარსულის ტრფიალი, კეთილშობილი, თუმც უღვაწი კაცი, მაინც დიდი მოწადინე და სევდით ნაჯაფარი

გულჭირიანს და ფესვმოკვეთილს ღრმა ძილით სძინავს თავის შავ სევდასთან ერთად

მის გარშემო აღარ ტრიალებდა ეჭვები და ჭორები.

რატომძაც მგონია, რომ ჩორები არ არის მკვდარი; და რომ სადღაც, შავს ტყეში თუ ძველ ნანგრევში არის შეხიზული! თითქოს მისი ხმაც კი მომესმის მგაფიოდ; ხან ბინდისას ვხედავ შარავზაზე აჩქარებით მიმავალს, თმადაბურდულს, აქეთ-იქით თვალის მაძგერებელს.

**ომილა ილია გართლის (ჭავჭავაძეს) სახელობის  
სალიტერატურო ჟურნალი  
„საქართველოს მოამბე“**

---



---



---

ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა, არ ემთხვეოდეს რედაქციისას

მაითხველს ვთხოვთ, მოუფლოთხილდეს ზურნალს  
მასში გამოქვეყნებული მასალების გამო

პრაკიულობის უზრუნველყოფა:  
გოჩა სოზიაშვილი

რეგისტრაციის № 34-4-114

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი.



## პატარძეული

პატარძეული... ჩემი სოფელი,  
ბავშვობის კერა — პატარძეული,  
ჩემი აკვანი წნორის ტოტისა  
იქა ყოფილა გადარწეული.

იქ მზრდიდა ხალხი... იქ მზრდიდა დედა  
და ხალხის ფიქრი ათასწლეული...  
მახსოვს ეზოში დიდი ფშავის ხე,  
სიბერისაგან გადაქცეული...

იმ ხის ფესვებში მელანდებოდა  
ხალხის მზის ოქრო და განძეული...  
ჩემს მზეს ბორბლები არ დამტვრევია,  
ჯერ შუადღე მაქვს არ-დალეული...

მე მინახია ბევრი ქვეყნები  
და ქალაქები ათასეული,  
მაგრამ სუყველგან მე ხელს მიქნევდა  
ჩემი პატარა პატარძეული.

გიორგი ჭეონიძე